# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 იანვარი 2000 №6 (1028) | ფასი 50 თეთრი

2

## დინამო: ოციდან თვრამეტი მოსკოვში

ოთარ კორღალიძე ორ დღეში ოციდან იმ თვრამეტ ფეხბურთელს შეარჩევს, რომელთაც ესენგეს თასზე იახლებს

9

## სან პაულუ, რომელიც რიოზე მეტია






„კორინთიანსი" მსოფლიოს პირველი ჩემპიონია

11

## ავსტრალია გაიღო




შარშანდელ ფინალისტ ტომას ენკვისტისთვის კი გუშინვე დაიხურა

14

## კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მისტერ ტაისონ!



ჰითროუს აეროპორტში მაიკ ტაისონს ჟურნალისტთა და პოლიციელთა არმია დახვდა

# ტომარაძემ ბათუმში ტრიუმფი დაიბედა

### მისი ყოფილი კლუბი, საქართველოს ჩემპიონობით განებივრებული თბილისის „ვითა" კი შეხვედრას სრული შემადგენლობითაც ველარ ამთავრებს

შაბათ-კვირას გამართული საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურის უმთავრესი მოვლენები დედაქალაქიდან შორს განვითარდა.

ბათუმში საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ პირველად უთავკაცა იქაურ „ბასკოს" და ბედობა დღეს 35 ქულით გაანადგურა თსუ.

რუსთავში ტომარაძის ყოფილმა გუნდმა, საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ვითამ" 15-ქულიანი სხვაობით წააგო ბოლო წლების უმთავრეს და უპრინციპულეს მეტოქესთან, ადგილობრივ „აზოტთან". „ვითამ" მატჩი ოთხი კალათბურთელით დაასრულა, ხოლო „აზოტმა" პირველ წრეში მარცხის ჯავრი ამოიყარა.



ზურაბ ტომარაძე

ზურაბ [illegible] ფოტო

ამასობაში თბილისში „შევარდენისა" და სდასუ-ს დაპირისპირება იქნებ დამატებით დროშიც გაგრძელებულიყო, რომ არა მატჩის კომისრის სამართლიანი და შეუვალი გადაწყვეტილება...

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები

## 13 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

15 იანვარი

ბასკო 126:91 თსუ
შევარდენი 86:88 სდასუ
სსუ 63:96 მაკაბი

16 იანვარი

ასკ 87:95 დინამო
გორი 53:104 სტუ
აზოტი 91:76 ვითა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 12 | 12 | 0 | 1221:975 | 24 |
| აზოტი | 13 | 11 | 2 | 1246:1017 | 24 |
| სტუ | 13 | 10 | 3 | 1228:941 | 23 |
| სდასუ | 13 | 9 | 4 | 1168:1074 | 22 |
| ვითა | 13 | 8 | 5 | 1120:1040 | 21 |
| თსუ | 13 | 7 | 6 | 1174:1174 | 20 |
| მაკაბი | 13 | 7 | 6 | 1095:981 | 20 |
| დინამო | 13 | 5 | 8 | 985:1090 | 18 |
| შევარდენი | 13 | 4 | 9 | 951:1093 | 17 |
| გორი | 12 | 3 | 9 | 877:1077 | 15 |
| ასკ | 13 | 1 | 12 | 938:1224 | 14 |
| სსუ | 13 | 0 | 13 | 915:1232 | 13 |

REUTERS მადრიდიდან



ფერნანდოების ორთაბრძოლა „სანტიაგო ბერნაბეუზე": მადრიდელი მორიენტესი (მარჯვნივ) და მალიორკელი ნინო

## სამეფო დაბრუნება

კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში ორი დღის დაბრუნებულ მადრიდის „რეალს" ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცეს, წუხელ პრიმერადივიზიონში „მალიორკასთან" უწია თამაშმა. სამეფო გუნდმა ღირსეულად გაუძლო გამოცდას, რომერიტოს გოლით დაწინაურებულ სტუმარს გაძევებული იეროს გარეშე დარჩენილმა ბოლო ათ წუთში რაულის და რობერტო კარლოსის დარტყმებით უპასუხა — 2:1.

# კიკნაძე და ალანია მოსკოვსა და ბელგიაში

გიორგი კიკნაძის ოდისეა ალბათ მისთვის სასიკეთოდ დასრულდა და ტრანზიტი „დინამო" — „რასინგ მეხელენი" — „დინამო" — „სამსუნსპორი" ვლადიკავკაზის „ალანიაში" ლუზის ჩაშვებით დაამთავრა ფეხბურთელმა. თურქები რომ აფერისტობაში არავის უდებენ ტოლს, ეს ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს იცოდა კვაჭი კვაჭანტირაძემ და ახლა საუკუნის მიწურულს არა მარტო კიკნაძემ, მთელმა საფეხბურთო საქართველომაც გაიგო.

ამიტომ იყო, დროზე უშველა „სამსუნსპორს" ქართველმა ნახევარმცველმა და უკან, სამშობლოს მოაშურა რაიმე ხეირიანის მოლოდინში. კიკნაძე რომ საქართველოში გაჩერებას არ აპირებდა, ეს არაერთხელ უთქვამს „სარბიელისთვის" და ახლაც მიეცა თუ არა „ალანიაში" გადაბარგების შანსი, წუთითაც არ უყოყმანია — იანვარში თურქეთიდან ჩამოსული სატრანსფერო ფურცელი საათებში ოსეთში აღმოჩნდა და გიორგი კიკნაძემაც „ალანიასთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ეს ყველაფერი კარგი და მშვენიერი — „ალანია" ხომ ამ ბოლო წლებში ქართული ფეხბურთისთვის ერთგვარ „ჩარჩობედნიერ ფანჯარად" იქცა. ევროდონეზე გასასვლელად ყველაზე ნაცადი გზა ესაა — მოაწონე თავი „ალანიას" სკაუტებს და დანარჩენზე — როგორ გამოგიყენონ, როგორი ფასი დაგადონ, სად გაგასხვისონ, თავად ოსური კლუბის მესვეურები ზრუნავენ.

უეჭველად კიკნაძესაც ტრამპლინად სურს „ალანიას" გამოყენება, მაგრამ ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ — „დინამო" თითქმის ყოველთვის იტოვებს გარკვეულ უფლებას თავის ფეხბურთელებზე და, ბუნებრივია, დავინტერესდით — რას უნდა ელოდონ თბილისელები გიორგი კიკნაძის შემთხვევაში.

„დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ გვითხრა, რომ კიკნაძე ჩვენმა მარადმა ჩემპიონმა თურქებს მიჰყიდა და ამდენად მასზე აღარავითარი უფლება აღარ აქვს, კიკნაძის ოჯახიდან კი გვაცნობეს, რომ გიორგის „დინამოსთან" გარკვეული მექანიზმები აკავშირებს და მის „ალანიაში" გადასვლას თურქები „დინამოს" თანხმობის გარეშე ვერაფრით შეძლებდნენ.

ფაქტი და გარკვეული ერთია — კიკნაძე უკვე ალანიელია და თავის ახალ კლუბთან ერთად უკვე მოსკოვში იმყოფება. მოსკოვიდან გუცაევი და კომპანია ბელგიაში გაემგზავრება და იქ ორ კვირას დაჰყოფს. ამის შემდეგ „ალანია" და კიკნაძე კიევის „დინამოს" ბაზის — „კონჩა ზასპას" სიამეებსაც იგემებს და...

მალე გაზაფხულიც მოვა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ალექსანდრე იაშვილი



ლევან ცქიტიშვილი



გიორგი კიკნაძემ ამ დარტყმით ბურთი იტალიის ახალგაზრდული ნაკრების კარში გაიტანა

# ქართველები ვარჯიშს შეუდგნენ

## ძილი, ვარჯიში, ჭამა, ვარჯიში, ტელევიზორი, ძილი

გერმანული „ფრაიბურგის" ქართველი ლეგიონერები — ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი გამოჯანმრთელების გზას ადგანან და ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეორე წრეს, რომელიც 4 თებერვალს იწყება, ალბათ სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან. როგორც იცით, ისინი შემოდგომაზე, პირველი წრის მსვლელობისას დაშავდნენ და ამის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდათ. განსაკუთრებით უიღბლო პერიოდი იაშვილს ედგა. მან რვათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რამდენჯერმე მოირგო „ფრაიბურგის" მაისური და ის იყო ჩვეულ ფორმას იბრუნებდა, რომ ისევ დაიმტვრა.

სამეორეწრეო სამზადისში მყოფი „ფრაიბურგი" შეკრებიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ შეგირდებს პორტუგალიურ ალბუფეირაში მოუყარა თავი, რომელსაც ფრაიბურგელები შარშანაც სტუმრობდნენ. ძილი, ვარჯიში, ჭამა, ვარჯიში, ტელევიზორი ძილი — ასეთი გეგმა შეუდგინა ფინკემ ფეხბურთელებს. სწორედ ალბუფეირაში შესდგომია მუხლმოშუშებული იაშვილი მსუბუქ ვარჯიშს. რაც შეეხება გერმანელთა მესამე ქართველს, ლევან კობიაშვილს, იგი ჯანმრთელადაა და მთელი დატვირთვითაც ვარჯიშობს.

შეკრებიდან დაბრუნებულმა „ფრაიბურგმა" გერმანიაში ერთობ პოპულარულ დარბაზის ფეხბურთის ტურნირშიც ითამაშა. ბერლინში გამართულ ოთხგუნდა შეჯიბრში ფრაიბურგელთა გარდა იქაური „ჰერტა" და მეორე ბუნდესლიგის ორი კლუბი — „ბოხუმი" და „ზანქტ პაულიც" მონაწილეობდნენ. პირველ მატჩში „ფრაიბურგი" „ბოხუმს" შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ 0:3-ს აგებდა, 4:3 გაიმარჯვა. ერთი გოლი ლევან კობიაშვილმა შეაგდო. მომდევნო მატჩში „ზანქტ პაულთან" გერმანიის ელიტარული ლიგის წარმომადგენლები 2:3 დამარცხდნენ, ბოლოს კი „ჰერტასთან" 0:4 განადგურდნენ და ტურნირიც ბოლო ადგილზე დაასრულეს. ამ მატჩებში ფინკემ ორი ახალწვეული 19 წლის მეკარე შოპელი და 20 წლის უნგრელი ნახევარმცველი კანიუკი გამოსცადა.

ჩემპიონატის განახლებამდე „ფრაიბურგი" კიდევ ერთ შეკრებას და რამდენიმე ასეთ ტურნირში მონაწილეობას გეგმავს.

**ვანო ოქროპირიძე**

# დინამო: პრესტიჟი და დაბრუნება

21 იანვარს საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო" მოსკოვს გაფრინდება და ესენგეს ჩემპიონთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, ჩვენებურები წლეულს ტურნირის ქვედა, სუსტ გუნდთა ჯგუფში ითამაშებენ. საქმე ისაა, შარშან ორგანიზატორებმა გათამაშება უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო, ისეთი კრიტერიუმი დაადგინეს, რომლის თანახმადაც ჯგუფის აუტსაიდერი მომავალ წელს, ესე იგი ამ ზამთარს, უძლიერესთა მარაქას ჩამოშორდებოდა. „დინამო" სწორედ მათ შორის მოხვდა, რადგან ჯგუფში ერთ გუნდსაც ვერ აჯობა და ახლა პრესტიჟის აღდგენაზე, შემდეგ ტურნირისთვის კი კვლავ უძლიერესთა რიგებში დაბრუნებაზე უნდა იფიქროს.

საამისოდ „დინამოს" მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს 20 ფეხბურთელი ეგულება, რომლებსაც დღეს-ხვალ ორს გამოაკლებს და 18 შეგირდით მოსკოვს ესტუმრება.

*მეკარეები:* სოსო გრიშიკაშვილი, ალექსანდრე ჩიხრაძე;

*მცველები:* ოთარ ხიზანეიშვილი, გივი დიდავა, მურთაზ შელია, ირაკლი ვაშაკიძე, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი შაშიაშვილი, ნუგზარ ლობჟანიძე;

*ნახევარმცველები:* რატი ალექსიძე, გიორგი ნემსაძე, გიორგი ანჩაბაძე, დავით დათუაძე, არჩილ სახვაძე, პაატა ჯინჭარაძე, თენგიზ სიჭინავა;

*თავდამსხმელები:* ლევან ქებაძე, თემურ გადელია, გიორგი შენგელია, კობა წიტაიშვილი.

ტურნირამდე „დინამო" 20 იანვარს დილმის საწვრთნელ ბაზაზე საქართველოს კლუბების ახალგაზრდულ ნაკრებს დაუხვდება და სამოსკოვოდ წაირეპეტიციებს.

**კობა ინასარიძე**

# ბოლნისში დღეს გადაწყვეტენ

სამეორეეტაპო სამზადისს ამ დღეებში ბოლნისის „სიონიც" შეუდგა. თუმცა ბევრი რამ ამ კლუბში ჯერაც გაურკვეველია. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ გუშინ გვაცნობა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება. დღეს ბოლნისში კრება გაიმართება, რომელსაც რაიონის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძეც დაესწრება. ასე რომ, ყველაფერი დღეს გაირკვევა. ეს შეხვედრა უფრო ადრე უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჯაფარიძის მოუცლელობის გამო გადაიდო.

მანამდე კი „სიონი" ვარჯიშს შეუდგა, თუმც არასრული შემადგენლობით. მოგეხსენებათ, ბოლნისელთა აშკარა ლიდერი დავით დათუაძე ამჟამად თბილისის „დინამოში" ვარჯიშობს. „სიონის" მესვეურებს უჭირთ ამ ფაქტთან შეგუება. იმასაც ამბობენ, დათუაძე ჯერაც ჩვენი საკუთრებააო, მაგრამ ეს ტრანსფერი ალბათ მაინც შედგება. თავად არჩვაძემაც აღნიშნა, დათუაძე, თუ სასწაული არ მოხდა, „დინამოში" ითამაშებსო. მწვრთნელს სხვა წასულებზე არაფერი უთქვამს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, თბილისში ყოფილან ნუკრი და მახარე მინდიაშვილები და დავით გოდერძიშვილი, რომლებიც გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ. დღეს ალბათ ეს ფეხბურთელებიც ეწვევიან ბოლნისს.

რაც შეეხებათ ახალწვეულებს, „საშუასეზონო მიდი-მოდიდანაც" გეცოდინებათ, რომ „სიონს" „ტორპედოდან" გიორგი მაზანიშვილი, ხოლო „ლოკომოტივიდან" კახა დაუშვილი შეემატნენ. თუმც ასპროცენტიანად არც ეს ტრანსფერები ითვლება. გუნდში კიდევ რამდენიმე ახალწვეულია, ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც სპარტაკ არჩვაძე მოსამზადებელ პერიოდში გულდასმით დააკვირდება. მათი ბედი მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა.

რა გადაწყდება დღეს ბოლნისში, ამას „სარბიელის" მკითხველი ხვალ შეიტყობს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ჰამლეტ წივწივაძე ოპერაციას გადაურჩა

თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილ მოთამაშეს, ჰამლეტ წივწივაძეს ბოლო დროს ტრავმა აწუხებდა. მას მუხლის ჯვარედინი იოგები ჰქონდა დაზიანებული და თითქოს ოპერაციაც გარდაუვალი ჩანდა, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი ფეხბურთელის საკეთილდღეოდ დასრულდა. წივწივაძეს ქირურგიული ჩარევა აღარ დასჭირდა, იგი მომჯობინდა და ამჟამად დიდუბეში მდებარე მძლეოსნურ მანეჟში ინდივიდუალურადაც ვარჯიშობს.

ჰამლეტ წივწივაძის საფეხბურთო კარიერის ბოლო ნაწილს წარმატებული ნამდვილად არ ეთქმის. მან მეათე ჩემპიონატი ფოთის „კოლხეთში" დაიწყო და კარგადაც. წივწივაძეს გოლებიც საკმაო რაოდენობით გაჰქონდა, გუნდის ბომბარდირიც გახდა „კოლხეთის" თავდამსხმელის შედეგიანი თამაში „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია და რკინიგზელებიც მის გადასაბირებლად დაფაცურდნენ. მიზანსაც მიაღწიეს, თუმცა „ლოკომოტივში" მოხვედრილი წივწივაძე ყველასათვის მოულოდნელად სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. ფეხბურთელმა მწვრთნელების ნდობა ვერაფრით დაიმსახურა. ბოლოს კი თადარიგში ყოფნა ველარ იგუა და უფროსობასთან შეთანხმების საფუძველზე კლუბიდან წავიდა.

ამჟამად ჰამლეტ წივწივაძეს არც ერთ გუნდთან არ აკავშირებს ხელშეკრულება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმის შენარჩუნების მიზნით ინდივიდუალურად ემზადება. სად გააგრძელებს იგი კარიერას, ამას თავად ფეხბურთელი სულ მალე გადაწყვეტს.

**ვანო ოქროპირიძე**

# იზარდა მწვანე ჯეჯილი

## ნორჩი დინამოელი 50 წლისაა

ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნა ბურთისკენ გარბის, თეთრი, ცისფერთვალება, ქოჩორგაშლილი ბავშვია, კოხტა, თეთრ-წითელი ფორმა აცვია, მაისურას ბექჰემის გვარი უმშვენებს, ზურგზეც შვიდიანი დასკუპებია. ძალიან პატარაა, მიწას ძლივს ასცილებია, იტყვით, ის კი სწრაფად გარბის, ჯიქურ ძვრება თანატოლთა შორის, ბურთს ეუფლება და უცებ ისეთ მოძრაობას აკეთებს, მეტოქეებთან ერთად მნახველსაც აოცებს.... მერე კი მოხდენილად აუჭრა ბექჰემივით მარჯვენა ფრთიდან, აქ კი თანაგუნდელმა გარჯა წყალში ჩაუყარა, წამით ხელები გაშალა „ქოჩორგაშლილმა ბექჰემმა" და ისევ ბურთის დასაბრუნებლად გაქანდა... გუშინ „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში ვიყავი.

ჩვენს გაუბედურებულ საფეხბურთო ყოფას ისევ ბავშვთა ფეხბურთის ალორძინება თუ გამოასწორებს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ქართული ფეხბურთის ჭაობიდან გამოყვანის ერთადერთი საშუალება, მაგრამ თქმა არ უნდა — ერთობ მნიშვნელოვანია. ამ მხრივ თითქოს ყველაფერი რიგზეა, გვაქვს ათეულობით საფეხბურთო სკოლა (მეტი თუ არა), რაიონებშიც, ასე თუ ისე, აგორებენ ბავშვები ბურთს. მათ აღზრდა-დაფრთიანებას წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ხელმძღვანელობენ, ტარდება საფეხბურთო ტურნირები სხვადასხვა ასაკის ბავშვთა გუნდებს შორის, შიგადაშიგ ჩვენებურები საზღვარგარეთაც გადიან, „ქოჩორგაშლილ ბექჰემებსაც" ბევრგან ნახავთ, ნიჭიერებს, საოცრად მონდომებულთ, მერე კი საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩვენი ბავშვების ნიჭიერება პერსპექტიული ფეხბურთელის იარლიყს არ სცილდება, ქართველი ბავშვის საფეხბურთო ზრდა დაუმთავრებელი რჩება.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გაგება, თუ რა ხდება და რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს საფეხბურთო სკოლებში.

„ნორჩი დინამოელი" 1949 წელს დაარსდა გრიგოლ გაგუას თაოსნობით. მაშინ, ნახევარი საუკუნის წინ, სკოლაში მხოლოდ ერთი სექცია ფუნქციონირებდა, მერე კი მოვიდნენ თაობები, ვინ არ გაზრდილა აქ. ისეთი სახელებია, ჩამოთვლაც კი მიძნელდება, ვინმე რომ არ გამომრჩეს. „ნორჩი დინამოელი", 35-ე საფეხბურთო სკოლასთან ერთად, ერთ-ერთი მოწინავე იყო ყოფილ საბჭოეთში. დღეს აქ სხვადასხვა ასაკის 36 ჯგუფია შექმნილი, ასდაც 800-მდე ბავშვია გაერთიანებული. საფეხბურთო სკოლაში 27 მწვრთნელი მუშაობს. აქედან თექვსმეტი შტატში ირიცხება, დანარჩენები, შედარებით ახალგაზრდები, კი სტაჟირებას გადიან. ზორბეგ ებრალიძე, ბორის სიჭინავა, ვახტანგ კოპალეიშვილი, თამაზ კოსტავა, ნოდარ ხიზანიშვილი — ძირითადად ამ ხალხის მეთვალყურეობით უწევთ ბავშვებს მეცადინეობა.

„ნორჩი დინამოელის" ყველაზე დიდი პრობლემა საფეხბურთო მოედნებს უკავშირდება. საფეხბურთო სკოლას ოთხი სხვადასხვა ზომის წიდის მოედანი აქვს. წიდაზე მოზარდის ვარჯიშის აუცილებლობა კარგა ხანია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ თავად განსაჯეთ, რამდენად საფუძვლიანია 800 ბავშვის ოთხ მოედანზე ვარჯიში.

ოთარ გეგეჭკორი „ნორჩი დინამოელის" დირექტორი: ეს პრობლემა ჩვენ ყოველთვის გვქონდა, ამიტომაც სექტემბრიდან ძირეულ ცვლილებებს მოვახდენთ. განზრახული გვაქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბება. დამოუკიდებელ ერთეულად ყოფნა ბევრ სიკეთეს მოგვიტანს, უკვე დავიწყეთ საბაზო მოედნის გაკეთება"...

საფეხბურთო სკოლაში მართლაც დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. სპეციალური ბალახის ბელტები ლაგოდეხიდან ჩამოიტანეს, ამჟამად მათი დაგება მიმდინარეობს. აპრილის ბოლოს ახალი მწვანე მოედანი მზად იქნება, მაგრამ საჩქარო არაფერია, ბალახი უნდა „დაჯდეს", ახალ მიწას შეეჩვიოს და სექტემბრიდან უკვე ამ მოედნის გამოყენებაც შეიძლება.

*ოთარ გეგეჭკორი:* „მიხარია, რომ საოცრად ერთსულოვანი კოლექტივი გვყავს. ამ საშვილიშვილო საქმეში მწვრთნელებთან ერთად მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ. თითოეული მათგანი ცოტ-ცოტას იკლებს და საქმეც წინ მიდის. დარბაზის აშენებასაც ვაპირებთ. სასექტემბროდ ალბათ ესეც მოესწრება, გვინდა, აგრეთვე ადმინისტრაციულ შენობას ნაწილი ჩამოვაჭრათ და კიდევ ერთი მოედანი შევმატოთ სკოლას, თუმცა ალბათ ესეც ზღვაში წვეთი იქნება, ამიტომ აუცილებლად შევამცირებთ ჯგუფებს, მაქსიმუმ 400-450 ბავშვს დავიტოვებთ, რათა მათ ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეთ სავარჯიშოდ, შემცირდება მწვრთნელთა კონტინგენტიც, სავარაუდოდ, 12 კაცი დარჩება..."

რა თქმა უნდა, ბავშვთა გუნდების განახევრებას მოედნების გაშენება სჯობს. ასეთ შემთხვევაში ყველასთვის იქნებოდა სამყოფი სავარჯიშო ადგილი, ამას ოთარ გეგეჭკორიც არ უარყოფს, მაგრამ სხვა გზა არცა აქვს, რადგან ნათქვამია, საბანი სადამდეც გაგწვდესო... საფეხბურთო სკოლის კუთვნილი ტერიტორია კი გაცილებით პატარაა საიმისოდ, რათა იქ დამატებით გაშენდეს მოედნები.

*ოთარ გეგეჭკორი:* „ადრე სხვა დრო იყო, სისტემატურად ვმონაწილეობდით საკავშირო ტურნირებში. ბავშვები მეტ ცოდნას იძენდნენ, ბოლოს და ბოლოს საკუთარი ძალის შეფასების მეტი საშუალება ჰქონდათ, გამარჯვების გემო იცოდნენ. ახლა ძირითადად საქართველოს მასშტაბით გვიწევს ფონს გასვლა. მესხის, მეტრეველის, ჩოხელის სახელობის ტურნირებში ვთამაშობთ. ეს რამდენად საკმარისია, თავად განსაჯეთ. ბოლო რვა წლის განმავლობაში „მესხის თასის" ფინალში ჩვენი პირველი-მეორე გუნდები გადიან... ისე, ზოგჯერ საზღვარგარეთაც გვიწევდა გასვლა. ნორვეგიაში ორჯერ ვიყავით, ავსტრიაშიც გახლდით, საფრანგეთშიც, როსტოვის ტურნირშიც მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ [illegible] ბოლო ხუთი წლის მონაცემები [illegible] ზღვაში წვეთია. ამას რომ უფრო სისტემატური ხასიათი ჰქონდეს, ჩვენ მუშაობას დიდი ფასი ექნებოდა, რადგან საქმე უკეთ გაკეთდებოდა."

ამას წინათ ნორჩებს ერთ დროს თავადაც ნორჩი დინამოელი, ალექსანდრე იაშვილი შეხმიანებია და პატარებისთვის საჩუქრად საფეხბურთო აღჭურვილობის 20 კომპლექტი გამოუგზავნია გერმანიიდან. იაშვილს ერთ-ერთი ფეხბურთელის გერმანიის საფეხბურთო სკოლაში სტაჟირების სურვილიც აქვს და ამ მხრივაც დაუდგა გვერდში ძველ საფეხბურთო სკოლას...

დამოუკიდებელ რელსებზე სიარული დასაწყისისთვის საფეხბურთო სკოლის მესვეურთ ერთიორად მოუმრავლებს პრობლემებს, მაგრამ მათი თქმით, „ნორჩი დინამოელს" მათ სერიოზული სპონსორი ჰყავს შეძლებული ბიზნესმენის სახით. ერთიცაა, სკოლა ერთგვარ შემოსავალსაც იღებს, საუბარია იმ 15 ლარზე, რომელსაც თითოეული ბავშვი იხდის ყოველთვიურად. ჯამში სოლიდური თანხა გამოდის — თვეში 12000 ლარი ურიგო შემოსავალი არ უნდა იყოს. მაგრამ...

*ოთარ გეგეჭკორი:* „ჩვენთან ასეთი წესია, ნიჭიერ, პერსპექტიულ ბავშვს უფასოდ ვამზადებთ, გარდა ამისა, რა უფლება გვაქვს, გაჭირვებულებს არ დავეხმაროთ? საფეხბურთო სკოლაში 20 პროცენტი ლტოლვილთა შვილები სწავლობენ. მათაც უფასოდ ვამზადებთ. სამუშაო მაგიდის უჯრაში უამრავი განცხადება მიდევს, ზოგს მარჩენალი ჰყავს დაკარგული, ზოგს ელემენტალურად არანაირი სახსარი არ გააჩნია... ხომ უნდა გავუწიოთ ასეთებს ანგარიში, ასე რომ..."

„ნორჩ დინამოელში" ადრე ბავშვების მიღება პირდაპირ ტესტირების შემდეგ ხდებოდა, დღეს სხვაგვარადაა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ერთი თვე ივარჯიშოს, შემდეგ დგება ტესტირების ჯერი და მხოლოდ ამის შემდეგ ირიცხებიან ნორჩები სკოლაში. ამგვარი სიახლე ერთგვარად გამართლებულიცაა, ბევრი ბავშვი თავიდანვე ვერ ერგება უცხო სიტუაციას, საამისოდ ხომ გარკვეული დროა საჭირო... ოთარ გეგეჭკორის კაბინეტში კი პატარა საფეხბურთო მუზეუმია მოწყობილი. ნახევარსაუკუნოვანი სკოლის სრულ მონაგარს ვრცელი დარბაზიც ვერ დაიტევს, ამიტომ აქ მხოლოდ ბოლო ათი წლის მონაპოვარია წარმოდგენილი... გარეთ კი მშენებარე მოედანს საგულდაგულოდ აწყობს მადლიანი ხელი, დროდადრო გვერდით მდებარე სტადიონიდან ნორჩებიც გააპარებენ მათკენ თვალს, რაც არ უნდა იყოს, „წიდაზე" თამაშს ბალახზე განავარდება სჯობს (ისე, ლაგოდეხურ ბელტსაც არ დაეწუნება არაფერი), „ქოჩორგაშლილ ბექჰემს კი არაფერი ადარდებს, აგერ უკვე მერამდენედ დაუძვრა მეურვეს, ამჯერად პირდაპირ კარისკენ გადაგზავნა ბურთი და სიხარულისგან ჰაერშიც შეიფრთხიალა...

**პაატა ძვანტალიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ავთანდილ ქანთარია, თამაზ კოსტავა, ოთარ გეგეჭკორი და ზორბეგ ებრალიძე





ბადრი კეთილაძის ფოტო

„ნორჩი დინამოელის" სტადიონს საფარს უცვლიან

# ჯიბე თუ გაქვს თხელი

ურთულესი ამოცანის წინაშე დგას მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპზე „სამგურალი". მოგეხსენებათ, გათამაშების პირველ ნახევარში წყალტუბოურმა გუნდმა ერთობ უხეიროდ ითამაშა, „ა" ზონაში პირველი ოთხეულის მიღმა დარჩა და ახლა ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად უწევს ბრძოლა და, იბრძოლებს რომელია, „სამგურალი" ყველა ღონეს იხმარს, რათა მომავალ მეთორმეტე ჩემპიონატში უძლიერესთა რიგებს არ დააკლდეს, მაგრამ ისიც დღესავით ნათელია და ახლავე შეიძლება ითქვას, რომ წყალტუბოელებს ძალიან გაუჭირდებათ სასურველი შედეგის მიღწევა. ამას ბევრი გარემოება გვკარნახობს, მაგრამ მთავარი აქ ორია. პირველი ის, რომ იმერულ კლუბს კვლავაც უჭირს ფინანსურად. მართალია, რამდენიმე დღის წინ ფეხბურთელებს ხელფასის დავალიანება მთლიანად გაუსტუმრეს და კლუბს ერთი თამაშის, პრემიალა დარჩენია ვალად, მაგრამ „სამგურალი" მაინც ჯიბეთხელ გუნდად რჩება და ჯერჯერობით მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივაც არ ჩანს. მეორე ის გახლავთ, რომ პირველი ეტაპის შემდეგ გუნდი მისმა ორმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. ნახევარმცველ ირაკლი ხაჭაპურიძის და ცენტრფორვარდ მერაბ ძოძუაშვილის შემცვლელებს, გვერწმუნეთ, წყალტუბოელები იოლად ვერ მოძებნიან. ორივე ეს ფეხბურთელი, იცით, თბილისში გადაბარგდა, ხაჭაპურიძემაც და ძაძუაშვილმაც „ვიტ ჯორჯიაში" დაიწყეს ვარჯიში, თუმცა ძოძუაშვილი მისი მოგვარის „ლოკომოტივში" შეიძლება ვიხილოთ.

ასეა თუ ისე, „სამგურალის" ჯერიც დადგა. გუნდი სამეორეეტაპო სამზადისს შეუდგა. წყალტუბოელები 15 იანვარს შეიკრიბნენ ქუთაისში და ორი კვირა აქვე გააგრძელებენ წვრთნას. მთავარი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა და ამ საქმეში წყალტუბოელთა თავკაცს იასონ ბზიკაძეს გამოცდილი სპეციალისტი ალექსანდრე ალექსეევი დაეხმარება. თვის ბოლოს „სამგურალი" დედაქალაქს გაემგზავრება და მიხეილ მესხის სახელობის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ეს, რაც შეეხება უახლოეს გეგმებს.

„სამგურალიდან" წასულებზე უკვე გითხარით. ეგ არის, ხაჭაპურიძეს და ძოძუაშვილს შეიძლება ერთიც დაემატოს. ახალგაზრდა ნახევარმცველ ლევან კოპალიანს თბილისში კლუბ „21-ე საუკუნეში" ეპატიჟებიან და, ალბათ, მასაც მოუწევს წყალტუბოელებთან განშორება.

გუნდთან ერთად ახლა 3 ახალწვეული გადის წვრთნას, ორ მათგანს ახალწვეულს პირობითად თუ ვუწოდებთ. ნახევარმცველ კახა ჯანაშიას და მცველ გივი ჯანელიძეს ადრეც ბევრი უთამაშიათ „სამგურალში" და ახლა, ფაქრობრივად, გუნდს დაუბრუნდნენ. ჯანაშია „ტორპედოდან", ჯანელიძეს კი მიზეზთა გამო მეთერთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე საერთოდ არ უთამაშია. მესამე ახალი კაცი ქუთაისელი ლაშა გაბუნია გახლავთ, ამპლუათი ნახევარმცველი. ბოლო დროს იგი მეორეჯგუფელ ზესტაფონის „მეტალურგისთვის" ირჯებოდა, მანამდე კი „მარგვეთში", „გურიაში" და „ტორპედოში" აქვს ნათამაშევი.



იასონ ბზიკაძე

**იუზა ჭაციტაძე**
**წყალტუბოდან**

# იბერია — აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძსო...

მეთერთმეტე ეროვნულში მოასპარეზე თითქმის ყველა გუნდი შეუდგა მეორე ეტაპისთვის სამზადისს — ზოგი მაშრიყს მიდის, ზოგი მაღრიბს, ვის ფეხბურთელები მოსჭარბებია და მათთან ურთიერთობას წყვეტს, ვინ კი პირიქით — იქეთ ეძებს მოთამაშეებს, რათა მოკლე სათადარიგო სკამი დაიგრძელოს.

ერთი სიტყვით, დუღს და გადადუღს ქართული საფეხბურთო „მიდი-მოდი".

მაგრამ როგორც ყველგან, გამონაკლისი ჩვენს ფეხბურთშიც არსებობს და რაღა სხვაგან, აგერ სამტრედიაში წავიდეთ. იქაურ „იბერიას" ჯერაც არ დაუწყია XI ეროვნული ჩემპიონატის მეორე სტადიისთვის მზადება, არადა...

არადა, „იბერიამ" ბევრისთვის მოულოდნელად წარმატებით ჩაატარა წლევანდელი პირველობის პირველი ეტაპი. ყველას მიერ აუტსაიდერად შერაცხულმა სამტრედიელებმა წყნარად აკეთეს საკეთებელი — ბევრი წააგეს, ცოტა მოიგეს, ცოტაც ფრე ითამაშეს და ზუსტად იმდენი ქულა დააგროვეს, რამდენიც საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად იყო საჭირო.

პროგრამა-მინიმუმი შესრულებული კი აქვთ, მაგრამ ვარჯიშის გარეშე რომელ გუნდს რისთვის მიუღწევია, იმერლებმა მიაღწიონ. იქიდანაც არაფერი ისმოდა და გადავწყვიტეთ, „იბერიის" მთავარ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს დავკავშირებოდით.

— მართალია, შეკრება 15 იანვარს უნდა დაგვეწყო, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოვახერხეთ. არის მიზეზები, რომლებზეც პასუხი მე არა და გუნდის ხელმძღვანელმა უნდა გაგცეთ. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, ამ დროისთვის არც ერთ მათგანს მოუმართავს გუნდიდან წასვლის თაობაზე და არც გასასინჯად შევხმიანებივართ ვინმეს. ჯერჯერობით გაჩერებულები ვართ.

თურმე სამტრედიელთა მთავარი მწვრთნელისთვის ისიც უცნობია, სად და როგორ, როდის და რა პირობებში გაივლის „იბერია" მზადებას. ჩვენს კითხვაზე, ყოველივე ამის მიზეზი ფინანსური სიძნელეები ხომ არ არისო, სოსო ფრუიძეს რაიმე კონკრეტული პასუხი არ გაუცია.

„იბერიას" ბედი ერთი კაცის ჯიბეზე და მონდომებაზე ჰკიდია, ამ კაცს ნუგზარ ნიკოლეიშვილი ჰქვია. იგი გუნდის პრეზიდენტია და, ბუნებრივია, მასაც შევეხმიანეთ, თუმცა უშედეგოდ.

მხოლოდ გუნდის პრეზიდენტმა შეიძლება იცოდეს, რა ბედი ელის სამტრედიის „იბერიას", როდის შეუდგება იგი ვარჯიშს და სად გაატარებენ იმერლები მოსამზადებელ ეტაპს.

სოსო ფრუიძემ ისიც გვითხრა, ორსამ დღეში ყველაფერს გავარკვევთო, შესაბამისად როგორც კი რამე გვეცოდინება, მკითხველსაც უმალ ვაახლებთ.

ჯერჯერობით კი — „იბერია" დგას და სხვაგვარად არ ძალუძს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი), კ.ჯანაშია(სამგურალი), ვ.მაისურაძე(თბილისი), ჩხაბერიძე(თავისუფალი აგენტი) | | |
| დინამო<br>*თითარ კორძალიძე* | აშვეთია(ალანია, რუსეთი), ალექსიძე(ჩელსი, ინგლისი), ლომაია(ლოკომოტივი), ზირაქიშვილი(სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), ხომერიკი(ბათუმი), თ. კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია) | გოგიჩაიშვილი(ლოკომოტივი), კერძევაძე(ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, (თბილისი), დათუაძე(სიონი), შელია(მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე(უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია(ბათუმი) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი) | |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალე* | პაპიძე(თბილისი), კანტიძე(თამაშიმიატოვა), გადელია(დინამო), უვაკვე(?) | ხომერიკი(დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე(არსენალი), პეტრიაშვილი(სამგურალი), ბარნოვი(ლოკომოტივი), გ. ნოზაძე(საუ), კაკაბაძე(ცხუმი) | |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი, მაზიაშვილი(ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე(თბილისი), ი. ხაჭაპურიძე(სამგურალი), მერლანი, ახალაძე(თსუ), თ. კობიაშვილი(დინამო), ვ. კაკაშვილი(თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო), დ. გოდერძიშვილი(ლოკომოტივი) | მაზანიშვილი(ტორპედო), ისიანი(თბილისი), დაუშვილი(არსენალი) | |
| დილა<br>*მერაბ კოქლაშვილი* | | | |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), დ. ჯანელიძე, გოდოლაბერიძე (?) | ლომაია(დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე(სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი(მუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი(სიონი), პარამონოვი(თბილისი 2), კ. ალადაშვილი, მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია), ველელი (?) | დინამო 2:1 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | | | |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი, ახალაძე(ვიტ ჯორჯია), ნინუა(?) | ფუტკარაძე(ინტერი), ჯავახიშვილი(განთიადი), ნანიშვილი(ცხუმი), სულავა(ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი<br>*უმწვრთნელოდ* | | | |
| თბილისი<br>*რამაზ შუშლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი), აბრამიძე(ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ისიანი(სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვ. გაგუა(სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი(ბათუმი), კოპალიანი(XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია(მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი<br>*გრიგოლ ვოცირიძე* | | | |
| არსენალი<br>*მამუკა გვამიჭავა* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), ლაცაბიძე (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), დაუშვილი(სიონი) | | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

# ინგლისი

XXII ტური

### ნიუკასლი 5:0 საუთჰემპტონი

1:0, 2:0 ფერგიუსონი (3,4), 3:0 სოლანო (17), 4:0 დრაიდენი (31ს.კ.), 5:0 დაბიზასი (83)

ნიუკასლი: ჰარპერი, უ.ბარტონი (ა. ჰიუზი 84), მარსელინიო, დაბიზასი, პისტონე, სოლანო (ქეცბაია 80), დაიერი, სპიდი, გალაჰერი (დომი 76), შირერი, დ. ფერგიუსონი

საუთჰემპტონი: ჯონსი, ტესემი, რიჩარდსი, დრაიდენი (ბერესფორდი 72), კოლეტერი (პახარსი 45), რიპლი, სოლტვედტი, მაიკლ ჰიუზი, ბოა მორტე (მონკი 23), დევისი, ბიტი

გაფრთხილება: ჰიუზი

მსაჯი: ბერი

### მიდლსბრო 1:4 დერბი ქაუნთი

0:1 კრისტი (8), 0:2 ბარტონი (47), 0:3 კრისტი (59), 1:3 კემპბელი (71), 1:4 ბარლი (90)

მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (მედისონი 46), ფესტა, პალისტერი, ვიკერსი, ფლემინგი, მასტო, ინსი, ჟუნინიო, რიკარდი, ნ. არმსტრონგი (სტივ კემპბელი 46)

დერბი ქაუნთი: პოომი, შნური, კარბონარი, ელიოტი, დელაპი, ბარლი, პაუელი, ბოჰინენი (ნიმნი 60), ჯონსონი, კრისტი (ქინქლაძე 76), დ. ბარტონი

გაფრთხილება: ჯონსონი, კარბონარი, პაუელი

მსაჯი: ჰელსი

### ჩელსი 1:1 ლესტერი

0:1 ტაგარტი (41), 1:1 უაიზი (85)

ჩელსი: დე გუი, ფერერი (ფლო 64), ტომე, ლებეფი, ჰარლი, პეტრესკუ (პოიეტი 46), დეშამპი (ამბროზეტი 46), უაიზი, დი მატეო, ძოლა, ვეა

ლესტერი: არპექსადი, სინკლერი, ელიოტი, ტაგარტი, ჯილკრისტი, ედი, ზაგორაკისი, ოუქსი, გუნლაგსონი (გაპი 51), მარშალი (ფენტონი 37), ჰესკი

გაფრთხილება: ფენტონი

მსაჯი: ბარბერი

### ქოვენთრი 2:0 უიმბლდონი

1:0 მაკალისტერი (56პ), 2:0 კინი (74)

ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, უილიამსი, ბრინი, ფროგატი, ოსტიჩი, მაკალისტერი, პალმერი, ველანი, რასელი (ნორმანი 81), რობი კინი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ჰრეიდარსონი, ფრანცისი (გრეი 80), კიმბლი, ერლი, ერდლი, ანდრესენი, იუელი (ბადირი 80), კორტი

მსაჯი: ბენეტი

### ევერტონი 2:2 ტოტენჰემი

1:0 კემპბელი (22), 1:1 არმსტრონგი (24), 1:2 ჟინოლა (28), 2:2 მური (90)

ევერტონი: ჟერარდი, ანსუორთი (ბოლი 81), უოტსონი, დანი, ვეირი, პემბრიჯი, ჰათჩისონი, კოლინზი, ბარმბი, ჯეფერსი (მური 82), კ. კემპბელი

ტოტენჰემი: უოლკერი, ედინბორო (იანგი 81), პერი, სოლ კემპბელი, კარი, ჟინოლა (ნილსენი 68), კლემენსი, შერვუდი, ანდერტონი, კ. არმსტრონგი, ივერსენი

გაფრთხილება: ბარმბი, ჰათჩისონი, უოტსონი, ედინბორო, შერვუდი, კლემენსი, ნილსენი

მსაჯი: უილი

### არსენალი 4:1 სანდერლენდი

1:0 ანრი (3), 2:0, 3:0 შუკერი (27, 32), 3:1 ქუინი (46), 4:1 ანრი (81)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, სილვინიო, ლუჟნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ლიუნგბერგი (მალცი 31), ანრი (ბარეტი 83), შუკერი

სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი (უილიამსი 61), ბოულდი, ბატლერი, გრეი, სამერბი (კილბეინი 71), მაკკანი, რუა, შვარცი, ფილიპსი, ნ. ქუინი

გაფრთხილება: მაკინი, რუა

მსაჯი: ალკოკი

### უენსდი 2:0 ბრედფორდი

1:0 ალექსანდერსონი (52), 2:0 ობრაიენი (67ს.კ.)

შეფილდ უენსდი: სრნიჩეკი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი (დონელი 70), იონკი, ჰასლამი, ქვინი, სიბონი, დე ბილდე

ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, მიერსი, ლოურენსი, მაკკოლი (უინდასი 72), რედფერნი, ბიგრი (მილსი 59), სონდერსი, ბლეიკი

მსაჯი: უინტერი

### უოტფორდი 2:3 ლივერპული

0:1 ბერგერი (10), 0:2 ტომპსონი (41), 1:2 ჯონსონი (44), 2:2 ჰელგუსონი (46), 2:3 შმიცერი (71)

უოტფორდი: ჩემბერლენი, გიბსი, პალმერი, პეიჯი, რობინსონი, ლიტლი (სმიტი 82), მილერი, ჯონსონი (ბონოტი 88), პერპეტუინი, ჰელგუსონი (ნგონგე 80), გრაველენი

ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, ტომპსონი, ჯერარდი, ჰამანი (შმიცერი 62), ბერგერი, ოუენი (მერფი 72), კამარა (სტონტონი 84)

გაფრთხილება: ჯონსონი, ჰიიპია, ჰამანი, ენჩოსი, მატეო

მსაჯი: ლოჯი

### ვესტ ჰემი 1:1 ასტონ ვილა

0:1 ტეილორი (24), 1:1 დი კანიო (78)

ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი, მარგასი, ტ. სინკლერი, ლომასი, ლამპარდი, ჯ. კოული, კელერი, ვანჩოპე, დი კანიო

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, სტოუნი, ტეილორი, მერსონი, ბოატენგი (კალდერვუდი 79), ა. რაიტი, კარბონე (ვასელი 79), ჯოაკიმი

გაფრთხილება: შტიმაცი

მსაჯი: პოლი

### ლიდსი — მანჩესტერი

გადაიდო



არსენალი — სანდერლენდი 4:1. ლონდონელი ტიერი ანრი სტეფან შვარცს გაურბის

REUTERS ლონდონიდან

# ალიან, ალიან...

„არსენალი“ დაიძრა. უფრო სწორად, როგორც იქნა დაიძრა და მესამე ადგილზე მომაგრდა. საშობაო ტურებში თავგზააბნეულმა მეთოფეთა გუნდმა იმავ ტურებში აჭრილი „სანდერლენდი“ მიიღო ჰაიბერიზე. განვლილ ოთხ ტურში „არსენალს“ ერთადერთი თამაში მოეგო, ლიდერ „ლიდსთან“ და ახლა სამეულთან მოჭიდავე პიტერ რიდის გუნდს ორად ორი ქულით უსწრებდა.

ანგარიში თეთრ-წითელ გუნდთა ჭიდილისა ეგებ ბევრისთვის მოულოდნელიც იყო, თუმცალა, ისიც სათქმელია, რომ „სანდერლენდი“ თუკი წააგებს, სრული ჩავარდნით (გამონაკლისად „უიმბლდონთან“ მარცხი უნდა მივიჩნიოთ).

ტიერი ანრიმ ადრევე დააწინაურა მეთოფენი — მისი დარტყმული ბურთი ხელებშუა გაუძვრა სტუმართა მეკარე ტომას სორენსენს. მერე დავორ შუკერმა აამოქმედა თავისი ჯადოსნური ცაცია და ორი მოხდენილი გოლი გაიტანა და იმავ ანრისთან შეთანხმებული მოქმედების წყალობით ტაიმის ბოლოსთვის ანგარიში 3:0 გახადა. თავდაუზოგავმა ნეილ ქუინმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანა ერთადერთი საპასუხო, თუმცა, ეს გაბრძოლება იყო და მეტი არაფერი, რახან იმ შაბათს „სანდერლენდის“ დაცვა სწორედ რომ ნაკერავზე სკდებოდა. ძველი მეთოფე, ამჟამად სტუმართა თავდაცვის ბურჯი სტივ ბოულდი ნაღდად საპენსიოდ ირჯებოდა. შეხვედრის მიწურულს ანრიმ კიდევ ერთი გაიტანა და საქმეც ამით მოთავდა.

ამ გამარჯვებით მესამე ადგილზე მყოფმა „არსენალმა“ ხუთი ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მდევრები. „სანდერლენდმა“ მეხუთე ადგილი დაიჭირა, ამათ შორის კი „ლივერპულმა“ ამოჰყო თავი. მერსისაიდელმა ლომებმა უოტფორდში ითამაშეს იქაურ მაჩანჩალებთან და პირველ ტაიმში იოლადაც იგებდნენ პატრიკ ბერგერისა და დევიდ ტომპსონის გოლებით. მაგრამ პრემიერლიგა ის ადგილი არ არის, რომ ალვირი მიუშვა და ცხენმა იოლად გატაროს. უკვე პირველი ტაიმის მიწურულს რიჩარდ ჯონსონის აზირებულად დარტყმულმა ერთი ბურთი გაქვითა, შესვენების შემდეგ კი ჰეიდარ ჰელგუსონმა ანგარიში გაათანაბრა. თუმც კი, „ლივერპულს“ კიდევ ერთი ჩეხი გამოადგა — ვლადიმერ შმიცერის გოლმა სამი ქულა მოუპოვა სტუმრებს.

„ტოტენჰემ ჰოთსპური“ სულ ახლო იყო იმასთან, რომ ცხრილში მეექვსე ადგილზე დამკვიდრებულიყო, რადგან სულ ბოლო წუთამდე უგებდა ლივერპულის სხვა გუნდს, „ევერტონს“ მისსავე „გუდისონ პარკზე“. ამ თამაშის დასაწყისში მოედანზე ძაღლი შემოძუნძულდა, რაც ვილაცისთვის ბედის ღიმილის ნიშნადაა აღიარებული. როგორც გაირკვა, ბედი „ევერტონს“ უპირებდა გაღიმებას. ჯო-მაქს მურმა სწორედ მაშინ გაათანაბრა, როცა მსაჯს უკანასკნელად უნდა ჩაებერა სასტვენში.

ხსენებული მეექვსე ადგილი კი „ჩელსიმ“ დაიჭირა, რომელმაც, ისევე როგორც შარშან, წელსაც ვერ მოუგო „ლესტერს“ „სტემფორდ ბრიჯზე“. შარშან, ლესტერელმა მელიებმა სულ ბოლო წუთს იშოვნეს ქულა სტივ გაპის ბრწყინვალე გოლით. წელს კი უკვე „ჩელსის“ მოუხდა ოფლისღვრა, რათა გერი ტაგარტის გატანილი ბურთი გაექვითა. დენის უაიზმა მაინც მოახერხა — 85-ე წუთზე შუქფარზე 1:1 აინთო.

სხვა კი, აი რა იყო: „ქოვენთრიმ“ „უიმბლდონი“ მოასრიალა ბერიკაც გარი მაკალისტერის ბრწყინვალე თამაშის წყალობით, „ვესტ ჰემმა“ და „ვილამ“ ქულა გაიყვეს „აპტონ პარკზე“, გასავარდნთა ჭიდილში კი „შეფილდმა“ „ბრედფორდს“ სძლია 2:0. ბოლო სამეულის მოშორებას ცდილობს „დერბი ქაუნთი“, რომელიც ტინსაიდს ეწვია და „მიდლსბროს“ ბდღვირი გაადინა. ამ შემთხვევაში 4:1 სწორედ ის ანგარიშია, სწორედ რომ ასახავს მინდორზე მიმდინარე ამბებს. ჩვენთვის კი ის უნდა იყოს საინტერესო რომ, გიორგი ქინქლაძემ შეხვედრის ბოლო 14 წუთი ითამაშა და თავისი პასით კრეიგ ბარლის ბოროელთა განადგურება დაასრულებინა.

თუკი „დერბი“ ამყვინთვას ლამობს, გასავარდნი მორევისკენ თავგანწირულად მიექანება ტრავმებით და უფორმობით ტანჯული „საუთჰემპტონი“, რომელიც დაქოქილი „ნიუკასლის“ კბილებში მოჰყვა. ჯორდებმა ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს ამ [illegible] დანებს. აქედან ოთხი — პირველ ნახევარში. ალან შირერს არც ერთი არ გაუტანია, თუმც კი, კარგად კომბინირებდა ნოლბერტო სოლანოსთან და ამ უკანასკნელს ერთი გოლიც გაუხერხა. პირველ ტაიმში ალანი ძელებს გადაემტერა. უმოწმა და უმოწმა სიმაგრე და ბოლოს იმდენი ქნა, რომ პენალტიც ძელს ხეთქა. გმირად კი მკვდრეთით ალმდგარი დანკან ფერგიუსონი იყო, რომელმაც მესამე წუთზე სქოთური თავურით შეაგდო, მეოთხეზე კი საქმეს ფეხიც წააშველა და ამით „ნიუკასლს“ ორბურთიანი ფორა შეუქმნა.

ტურის უდავოდ ყველაზე საინტერესო თამაში „ლიდსსა“ და „მანჩესტერს“ შორის ადრევე გადაედოთ, ჩემპიონთა ბრაზილიაში ყოფნის გამო. ამის მიუხედავად ლიდერებს ვერავინ შესწვდებოდა. „ლიდსი“ კვლავ პირველია ერთი გამოტოვებული მატჩით, „მანჩესტერი“ კი მეორე, სამი გამოტოვებული შეხვედრით. მომავალ ტურში კი ასევე დიდი ჯახია, მეთოფენი „ოლდ „ტრეფორდს“ უნდა ეწვიონ.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლიდსი | 21 | 14 | 2 | 5 | 35:24 | 11 | 44 | 11 | 8 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 25 | 10 | 6 | 1 | 3 | 18:15 | 3 | 19 |
| 2 | მანჩესტერი | 19 | 13 | 4 | 2 | 50:25 | 25 | 43 | 10 | 8 | 2 | 0 | 33:7 | 26 | 26 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:18 | -1 | 17 |
| 3 | არსენალი | 22 | 13 | 4 | 5 | 41:22 | 19 | 43 | 12 | 9 | 2 | 1 | 27:9 | 18 | 29 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 1 | 14 |
| 4 | ლივერპული | 22 | 12 | 4 | 6 | 34:20 | 14 | 40 | 11 | 8 | 0 | 3 | 20:8 | 12 | 24 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 2 | 16 |
| 5 | სანდერლენდი | 22 | 11 | 5 | 6 | 36:29 | 7 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:8 | 10 | 24 | 11 | 4 | 2 | 5 | 18:21 | -3 | 14 |
| 6 | ჩელსი | 22 | 10 | 6 | 6 | 31:22 | 9 | 36 | 11 | 7 | 2 | 2 | 19:6 | 13 | 23 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | -4 | 13 |
| 7 | ტოტენჰემი | 22 | 10 | 5 | 7 | 34:26 | 8 | 35 | 10 | 7 | 1 | 2 | 22:12 | 10 | 22 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 13 |
| 8 | ლესტერი | 22 | 9 | 4 | 9 | 31:31 | 0 | 31 | 11 | 6 | 2 | 3 | 17:13 | 4 | 20 | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 11 |
| 9 | ევერტონი | 22 | 7 | 9 | 6 | 37:32 | 5 | 30 | 11 | 4 | 7 | 0 | 25:12 | 13 | 19 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:20 | -8 | 11 |
| 10 | ასტონ ვილა | 22 | 8 | 6 | 8 | 22:23 | -1 | 30 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 16 | 12 | 4 | 2 | 6 | 11:16 | -5 | 14 |
| 11 | ვესტ ჰემი | 21 | 7 | 8 | 6 | 25:24 | 1 | 29 | 10 | 6 | 3 | 1 | 16:12 | 4 | 21 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:12 | -3 | 8 |
| 12 | ქოვენთრი | 21 | 7 | 7 | 7 | 30:24 | 6 | 28 | 12 | 7 | 1 | 4 | 24:14 | 10 | 22 | 9 | 0 | 6 | 3 | 6:10 | -4 | 6 |
| 13 | ნიუკასლი | 22 | 7 | 6 | 9 | 39:37 | 2 | 27 | 11 | 5 | 4 | 2 | 28:13 | 15 | 19 | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | -13 | 8 |
| 14 | მიდლსბრო | 20 | 8 | 3 | 9 | 24:30 | -6 | 27 | 11 | 5 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:16 | -4 | 10 |
| 15 | უიმბლდონი | 22 | 5 | 10 | 7 | 32:37 | -5 | 25 | 11 | 4 | 5 | 2 | 20:13 | 7 | 17 | 11 | 1 | 5 | 5 | 12:24 | -12 | 8 |
| 16 | დერბი | 22 | 6 | 4 | 12 | 23:33 | -10 | 22 | 11 | 3 | 0 | 8 | 9:18 | -9 | 9 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 13 |
| 17 | საუთჰემპტონი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:37 | -13 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:24 | -12 | 8 |
| 18 | ბრედფორდი | 22 | 4 | 6 | 12 | 16:33 | -17 | 18 | 10 | 2 | 6 | 2 | 10:13 | -3 | 12 | 12 | 2 | 0 | 10 | 6:20 | -14 | 6 |
| 19 | უოტფორდი | 22 | 4 | 2 | 16 | 19:47 | -28 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 15:21 | -6 | 10 | 11 | 1 | 1 | 9 | 4:26 | -22 | 4 |
| 20 | უენსდი | 21 | 3 | 4 | 14 | 19:46 | -27 | 13 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:12 | 1 | 12 | 11 | 0 | 1 | 10 | 6:34 | -28 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| კოული (მანჩესტერი) | 13 |
| ბრიჯესი (ლიდსი) | 11 |
| იორკი (მანჩესტერი) | 11 |

XXIII ტური

22 იანვარი

ასტონ ვილა — ჩელსი
ბრედფორდი — უოტფორდი
დერბი — ქოვენთრი
ლესტერი — ვესტ ჰემი
ლივერპული — მიდლსბრო
მანჩესტერი — არსენალი
საუთჰემპტონი — ევერტონი
სანდერლენდი — ლიდსი
ტოტენჰემი — უენსდი
უიმბლდონი — ნიუკასლი

## პირველი დივიზიონი

XXVII ტური

### ბირმინგემი 2:0 ნორვიჩი

1:0, 2:0 გრინგერი (16, 30)

### ბლექბერნი 2:0 ჰადერსფილდი

1:0 დაფი (29), 2:0 ჯონსონი (44)

### ჩარლტონი 1:0 კრიუ

1:0 სტიუარტი (13)

### კრ. პალასი 0:2 ბარნსლი

0:1 ბ. დაიერი (12), 0:2 ბარნარდი (15პ)

### გრიმსბი 4:3 ნოტინგემი

1:0 ლესტერი (29), 2:0 აშკროფტი (32), 2:1 როჯერსი (33), 2:2 ლევერი (47ს.კ.), 3:2 აშკროფტი (67პ), 4:2 დონოვანი (83), 4:3 როჯერსი (90)

### იფსვიჩი 3:0 სუინდონი

1:0 სტოკველი (27), 2:0, 3:0 ნეილორი (37, 82)

### პორტსმუთი 2:3 ვულვერჰემპტონი

1:0 იგო (19), 2:0 კლარიჯი (23), 2:1 სეჯლი (73), 2:2 ბრენჩი (85), 2:3 აკინბი (89)

### ქუინზ პარკი 0:1 ბოლტონი

0:1 იენსენი (64)

### ტრანმერი 0:0 სტოკპორტი

### უოლსოლი 2:1 შეფილდ იუნ.

0:1 დევლინი (26), 1:1 ვივეა (58), 2:1 რობინსი (82)

### ვესტ ბრომვიჩი 0:0 პორტვეილი

### მანჩესტერ სიტი 4:0 ფულემი

1:0, 2:0, 3:0 გოტერი (29, 78, 85), 4:0 ჰორლოკი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 27 | 17 | 5 | 5 | 49:28 | 56 |
| სიტი | 27 | 17 | 4 | 6 | 44:21 | 55 |
| იფსვიჩი | 27 | 15 | 7 | 5 | 46:27 | 52 |
| ბარნსლი | 27 | 16 | 4 | 7 | 54:38 | 52 |
| ჰადერსფილდი | 27 | 14 | 5 | 8 | 44:29 | 47 |
| სტოკპორტი | 27 | 11 | 8 | 8 | 32:35 | 41 |
| ბლექბერნი | 26 | 10 | 10 | 6 | 34:25 | 40 |
| ქუინზ პარკი | 27 | 10 | 9 | 8 | 35:31 | 39 |
| ვულვზი | 27 | 10 | 9 | 8 | 34:30 | 39 |
| ფულემი | 27 | 9 | 12 | 6 | 25:24 | 39 |
| ბირმინგემი | 26 | 10 | 8 | 8 | 36:28 | 38 |
| ნორვიჩი | 27 | 10 | 8 | 9 | 27:27 | 38 |
| ტრანმერი | 27 | 10 | 6 | 11 | 37:37 | 36 |
| ბოლტონი | 26 | 9 | 8 | 9 | 34:30 | 35 |
| კრ. პალასი | 27 | 8 | 8 | 11 | 36:43 | 32 |
| შეფილდ იუნ. | 27 | 8 | 7 | 12 | 34:43 | 31 |
| გრიმსბი | 27 | 8 | 6 | 13 | 31:48 | 30 |
| ნოტინგემი | 27 | 7 | 7 | 13 | 29:36 | 28 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 5 | 13 | 9 | 24:32 | 28 |
| კრიუ | 27 | 7 | 7 | 13 | 25:34 | 28 |
| უოლსოლი | 27 | 6 | 7 | 14 | 28:43 | 25 |
| პორტვეილი | 26 | 5 | 9 | 12 | 28:36 | 24 |
| პორტსმუთი | 27 | 5 | 8 | 14 | 30:44 | 23 |
| სუინდონი | 27 | 3 | 9 | 15 | 18:45 | 18 |

## მეორე დივიზიონი

XXVI ტური. სტოკი — პრესტონი 2:1; ბლექპული — ლუტონი 3:3; ბორნმუთი — ბრისტოლი 2:3; როვერსი — ჯილინგემი 2:1; ბერი — რედინგი 0:2; კარდიფი — ოქსფორდი 1:1; ჩესტერფილდი — ბარნსლი 1:1; ნოტსი — კოლჩესტერი 1:2; ოლდემი — ბრენტფორდი 3:0; რედინგი — კემბრიჯი 0:0; უიგანი — მილუოლი 1:1; უიკომბი — სკანთორპი 2:1

## მესამე დივიზიონი

XXVI ტური. ბრაიტონი — ლეიტონი 0:1; ჩელტნემი — მენსფილდი 1:0; ჩესტერი — როტერჰემი 0:2; ექსეტერი — ბარნეტი 0:0; ჰალიფაქსი — ჰარტლპული 1:1; ლინკოლნი — ჰალი 2:1; მაკლსფილდი — დარლინგტონი 2:1; პიტერბორო — ნორთჰემპტონი 1:0; შრუსბერი — პლიმუთი 0:0; საუთენდი — როჩდეილი 3:3; იორკი — ტორკი 2:2

# ზამთრის სკუდეტოც სკუდეტოა

## იტალია

XVII ტური

### ვენეცია 2:1 ფიორენტინა

1:0 ვოლპი (13), 1:1 ბატისტუტა (45), 2:1 მანიერო (94)

ვენეცია: კონსელი, ბრიოსკი, კარდონე, ლუპი, პედონე, ორლანდინი (ვალტოლინა 72), რუკავინა, ვოლპი, ბერგი (ნანამი 47), განცი (ბუდანი 85), მანიერო

ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, პიერინი (როსიტო 58), ტაროცი, კოისი, კ. ამორუზო, ჰაინრიხი, რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა

გაფრთხილება: ბრიოსკი, პიერინი, როსიტო, ტაროცი, კოისი, ბუდანი

გაძევება: ფირიკანო (91)

მსაჯი: ტრეოსი

### რეჯინა 0:0 ლაციო

რეჯინა: ტაიბი, ჩირილო, სტოვინი, ჯიაკეტა, ფოლიო, ბრევი, ბარონიო (რეგი 67), პრალია, მორაბიტო, პირლო (კოცა 74), კალონი (ბერნინი 74)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, სერჟიო კონსეისაო (რავანელი 75), დ. სტანკოვიჩი, ალმეიდა, ვერონი (სიმეონე 54), ს. ინძაგი (ბოკშიჩი 55), რ. მანჩინი

გაფრთხილება: ტაიბი, მანჩინი, ფოლიო, ფავალი, ალმეიდა, ინძაგი, მიხაილოვიჩი

მსაჯი: ჩეზარი

### ლეჩე 0:0 პარმა

ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, პივოტო, სავინო, ბალერი, კონტიკიო, ლიმა (სიპრიენი 78), პიანჯერელი, კოლონელო (ტრავერსა 71), სესა, კ. ლუკარელი

პარმა: ბუფონი, ბენარივო, ტურამი, კანავარო, სერენა, ლონგო, ვალემი (სტანიჩი 74), დაბო, ვანოლი, დი ვაიო, კრესპო

გაფრთხილება: ვანოლი, დაბო

მსაჯი: ტომბოლინი

### იუვენტუსი 3:0 პერუჯა

1:0 დელ პიერო (27პ), 2:0 ზიდანი (89), 3:0 კოვაჩევიჩი (90)

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო (მირკოვიჩი 93), ძამბროტა (ბირინდელი 91), ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ზიდანი, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 61), დელ პიერო

პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (მ. ესპოზიტო 80), კალორი, მონაკო, ილარიო, ტედესკო, ბიზოლი, ოლივე (ალენიჩევი 73), მილანეზე, ნ. ამორუზო, რაპაიჩი

გაფრთხილება: ოლივე, რივალტა

მსაჯი: ბორიელო

### ინტერი 2:1 კალიარი

1:0 სიმიჩი (3), 1:1 ოლივეირა (17), 1:1 მორიერო (82)

ინტერი: პერუცი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი (მუტუ 37), კოე, დი ბიაჯო (პაულო სოუზა 70), გეორგატოსი, ზეედორფი, რეკობა, სამორანო

კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ძებინა, სულჩისი, მოდესტო (სუაზო 85), ბერეტა, დე პატრე, მაჩელარი, ოლივეირა, მაიელე

გაფრთხილება: ბერეტა, ძებინა, სიმიჩი, დე პატრე, მუტუ

გაძევება: მაიელე (83)

მსაჯი: კოლინა

### ბოლონია 1:0 ბარი

1:0 სინიორი (87)

ბოლონია: პალიუკა, ბოზელი, ბია, პაგანინი, ფალკონე (კოლივანოვი 84), ინგესონი, მაროკი (პიაჩენტინი 54), ზე ელიასი, ტარანტინო (ერიბერტო 88), ფონტოლანი, სინიორი

ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა, ინოჩენტი, გარსია, კოლაუტო (ოლივარესი 73), პეროტა, მ. მარკოლინი, დ. ანდერსონი, დელ გროსო (ფერარი 60), სპინეზი, დელ გრეგორიო (ენინაია 54)

გაფრთხილება: ანდერსონი, ფალკონე, ბოზელი, ბია, პეროტა, ოლივარესი, პაგანინი, ფონტოლანი

მსაჯი: როდომონტი

### პიაჩენცა 0:2 ტორინო

0:1 ფერანტე (83), 0:2 პეკია (89)

პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი (ლამაკი 60), პიოვანი (დი ნაპოლი 73), საკეტი, მაცოლა, მორონე, რასტელი (სტროპა 81), ჯილარდინო

ტორინო: ბუჩი, მალტალიატი, გრანდონი, გალანტე, ბონომი, სომეზე, სკარჩილი (პეკია 72), ბრამბილა, ლენტინი, ფერანტე, ივიჩი (კალაიო 46, ტრიკარიკო 84)

გაფრთხილება: ბონომი, გალანტე, მალტალიატი, კალაიო, მაცოლა, რასტელი

გაძევება: ლუკარელი (87)

მსაჯი: დე სანტისი

### რომა 3:1 ვერონა

1:0 ტოტი (1), 2:0 აპოლონი (6ს.კ.), 2:1 სალვეტი (20), 3:1 ტოტი (41)

რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, ტომაზი, კ. ძანეტი, დი ფრანჩესკო, კანდელა, ნაკატა (რინალდი 67), ტოტი, მონტელა

ვერონა: ფრეი, ჯონელა, ფილიპინი, აპოლონი, ფალსინი, ბროკი, მარასკო, იტალიანო (მელისი 46), კოლუჩი, ადაილტონი (კამარატა 57), სალვეტი

გაფრთხილება: აპოლონი, ბროკი

მსაჯი: ნუჩინი

### უდინეზე 1:2 მილანი

0:1 ბობანი (40), 0:2 შევჩენკო (61), 1:2 მუცი (86)

უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ჟენო (პოჯი 57), ვან დერ ვეგტი (ლოკატელი 75), ფიორე, იორგენსენი, მანფრედინი, მუცი, სოსა (მარჯიოტა 84)

მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი (გატუზო 63), დე აშენტისი, გულიელმინპიეტრო, ბობანი (ჯუნტი 52), ბირჰოფი, შევჩენკო (ამბროზინი 91)

გაფრთხილება: სოტილი, კოსტაკურტა, ჯუნტი, გატუზო, მუცი

მსაჯი: პელეგრინო

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 17 | 10 | 6 | 1 | 22:8 | 14 | 36 | 9 | 8 | 1 | 0 | 17:3 | 14 | 25 | 8 | 2 | 5 | 1 | 5:5 | 0 | 11 |
| 2 | ლაციო | 17 | 10 | 5 | 2 | 33:16 | 17 | 35 | 9 | 7 | 2 | 0 | 24:8 | 16 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 12 |
| 3 | რომა | 17 | 9 | 5 | 3 | 34:18 | 16 | 32 | 8 | 5 | 2 | 1 | 18:9 | 9 | 17 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:9 | 7 | 15 |
| 4 | პარმა | 17 | 9 | 5 | 3 | 29:18 | 11 | 32 | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 10 | 17 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:11 | 1 | 15 |
| 5 | მილანი | 17 | 8 | 7 | 2 | 34:22 | 12 | 31 | 8 | 5 | 3 | 0 | 20:8 | 12 | 18 | 9 | 3 | 4 | 2 | 14:14 | 0 | 13 |
| 6 | ინტერი | 17 | 9 | 2 | 6 | 32:15 | 17 | 29 | 9 | 7 | 1 | 1 | 28:6 | 22 | 22 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:9 | -5 | 7 |
| 7 | ბარი | 17 | 6 | 5 | 6 | 21:21 | 0 | 23 | 8 | 3 | 5 | 0 | 12:7 | 5 | 14 | 9 | 3 | 0 | 6 | 9:14 | -5 | 9 |
| 8 | ბოლონია | 17 | 6 | 5 | 6 | 14:16 | -2 | 23 | 9 | 5 | 3 | 1 | 8:1 | 7 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 5 |
| 9 | ლეჩე | 17 | 6 | 5 | 6 | 17:24 | -7 | 23 | 9 | 5 | 3 | 1 | 10:5 | 5 | 18 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:19 | -12 | 5 |
| 10 | უდინეზე | 17 | 6 | 4 | 7 | 25:25 | 0 | 22 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:15 | -2 | 11 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:10 | 2 | 11 |
| 11 | ფიორენტინა | 17 | 5 | 7 | 5 | 18:20 | -2 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:10 | 3 | 17 | 8 | 0 | 5 | 3 | 5:10 | -5 | 5 |
| 12 | პერუჯა | 17 | 6 | 2 | 9 | 16:31 | -15 | 20 | 8 | 4 | 1 | 3 | 12:14 | -2 | 13 | 9 | 2 | 1 | 6 | 4:17 | -13 | 7 |
| 13 | რეჯინა | 17 | 3 | 8 | 6 | 18:25 | -7 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:11 | -3 | 10 | 9 | 1 | 4 | 4 | 10:14 | -4 | 7 |
| 14 | ტორინო | 17 | 4 | 5 | 8 | 14:21 | -7 | 17 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:8 | -1 | 8 | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | -6 | 9 |
| 15 | ვერონა | 17 | 4 | 4 | 9 | 13:25 | -12 | 16 | 8 | 4 | 2 | 2 | 8:3 | 5 | 14 | 9 | 0 | 2 | 7 | 5:22 | -17 | 2 |
| 16 | ვენეცია | 17 | 4 | 3 | 10 | 13:23 | -10 | 15 | 9 | 4 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 14 | 8 | 0 | 1 | 7 | 4:15 | -11 | 1 |
| 17 | პიაჩენცა | 17 | 2 | 5 | 10 | 9:22 | -13 | 11 | 9 | 2 | 4 | 3 | 6:7 | -1 | 10 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:15 | -12 | 1 |
| 18 | კალიარი | 17 | 1 | 7 | 9 | 16:28 | -12 | 10 | 8 | 1 | 4 | 3 | 8:10 | -2 | 7 | 9 | 0 | 3 | 6 | 8:18 | -10 | 3 |



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — პერუჯა 3:0. პერუჯელი მილან რაპაიჩი და ტურინელი ჩირო ფერარა ბურთისთვის ცეკვავენ

„იუვენტუსმა“ „პერუჯას“ 3:0 მოუგო და ვინაიდან იმავე დღეს „ლაციომ“ „რეჯინასთან“, სტუმრად, უგოლო ფრეზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა, ცხრილის მწვერვალზე დაბრუნდა.

ტურინელთაგან ანგარიში პირველ ტაიმში ალესანდრო დელ პიერომ პენალტით გახსნა, რასაც მეორე ტაიმის ბოლოს, 89-ე და 90-ე წუთებზე ზინედინ ზიდანისა და დარკო კოვაჩევიჩის გოლებიც დაემატა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „ბებერი ქალბატონი“ ეგრეთ წოდებული „ზამთრის სკუდეტოს“ მფლობელი შეიქნა.

„ზამთრის სკუდეტოს“ იტალიელები სერია A-ს ჩემპიონატის პირველი წრის გამარჯვებულს უწოდებენ. მართალია ეს ტიტული არაოფიციალურია, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ბევრს ნიშნავს — შეჯიბრების მეორე ნახევარს მისი მფლობელი გუნდი ერთგვარი სიამაყითა და რიხით ხვდება.

დღეს, 17 ტურის შემდეგ, „იუვენტუსს“ 36 ქულა აქვს, „ლაციოს“ ერთით უსწრებს და, ალბათ, კმაყოფილია, რომ კონკურენტს, რომელმაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „რეჯინასთან“ ფრედ ითამაშა, მსაჯმა დიეგო სიმეონეს გატანილი გოლი არ ჩაუთვალა.

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომამ“ „ვერონას“ 3:1 მოუგო. სამიდან ორჯერ ფრანჩესკო ტოტიმ გამოიჩინა თავი. ამავე შეხვედრაში „პერუჯადან“ 48 საათის გადაბირებულმა იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ იტალიის დედაქალაქის გუნდში თავისი დებიუტი დააფიქსირა. გამარჯვების შედეგად „რომა“ მესამე ადგილზე ალზევდა და ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩება, თუმცა „პარმასთან“, რომელმაც ლეჩეში 0:0 ითამაშა, თანაბრადაა.

ჩემპიონი, „მილანი“, მეხუთე ადგილზე რჩება. ბოლო ტურში მილანელებმა უდინეში 2:1 მოიგეს, გოლები კი ზვონიმირ ბობანმა და ანდრეი შევჩენკომ — სეზონში მეთერთმეტე — გაიტანეს. საპასუხო რობერტო მუციმ შეაგდო.

„მილანის“ თანაქალაქელ-თანასტადიონელი „ინტერი“ მეზობელს კვლავ ერთი ქულით ჩამორჩება. მან „სან სიროზე“ აუტსაიდერ „კალიარის“ ფრანჩესკო მორიეროს გადამწყვეტი გოლის წყალობით 2:1 აჯობა, მაგრამ დავუბრუნდეთ ლიდერს:

„ზამთრის სკუდეტოს“ მფლობელ „იუვენტუსზე“ ხელად ალაპარაკდნენ, რომ იგი ნამდვილი სკუდეტოს მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატია. ჩავხედოთ სტატისტიკის დავთრებს: 1929 წლის შემდეგ 45 გუნდი, რომელიც პირველი წრის შემდეგ ცხრილის სათავეში მოექცა, ბოლოს ჩემპიონი გახდა, თუმცა „პერუჯასთან“ შეხვედრაში, 27-ე წუთამდე — ამ დროს ფილიპო ინძაგი პერუჯელთა საჯარიმოში წააქციეს და დელ პიერომ შვიდ ლეში მეორე პენალტი გაიტანა — ტურინელთა თავდასხმას საჩემპიონოს ვერაფრით უწოდებდი. ამაში დამნაშავენი ზიდანი და ჯანლუკა ძამბროტა გახლდნენ, რომელთაც ხელსაყრელი მომენტები გაატანეს ქარს.

შესვენების შემდეგ „პერუჯა“ [illegible]კაცურად მიიწევდა ანგარიშის გასათანაბრებლად, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია, ხოლო 89-ე წუთზე ზიდანმა საჯარიმო დარტყმით გაზარდა მასპინძელთა უპირატესობა,. ხოლო შემდეგ კოვაჩევიჩმა სეზონში — როგორც პირველობის, ასევე თასის შეხვედრებში — თავისი მე-14 გოლი შეაგდო და ტაბლოზე მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

„რეჯინასა“ და „ლაციოს“ შეხვედრაში რომაელები საკუთარ თავთან შედარებით უსახურნი გამოჩნდნენ, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მათ ამ მეტოქესთან სტუმრად არასოდეს მოეგოთ. კიდევ, აღსანიშნავია, რომ როგორც პირველი ტაიმის ბოლოს, ასევე მეორეს დასაწყისში სტუმრების სასარგებლოდ პენალტების დანიშვნა შეიძლებოდა. პირველ ეპიზოდში „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ სამშობლოში დაბრუნებულმა გოლკიპერმა, მასიმო ტაიბიმ რობერტო მანჩინისთან ორთაბრძოლაში ჩაიდინა საპენალტე რამ, მერე კი ჯოვანი მორაბიტომ სიმონე ინძაგის წინააღმდეგ მოიმოქმედა იგივე.

რომში კი ტოტის აბსოლუტურად ჩვეულებრივ ჩაწოდებას ვერონელი მცველები და მეკარე რატომღაც დაბნეულნი დახვდნენ და შეხვედრის პირველივე წუთზე ანგარიში გაიხსნა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ, ვეტერანმა მცველმა ლუიჯი აპოლონიმ ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და ტაბლოზე უკვე 2:0 აინთო. მე-20 წუთზე ემილიანო სალვეტიმ მართალია სხვაობა შეამცირა, მაგრამ 41-ზე ვინჩენცო მონტელას ჩაკიდებულს, იმავე ტოტიმ თავური დაჰკრა და მეორე ტაიმი ფორმალობად აქცია.

**ბაბუნა ქედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრესპო (პარმა) | 12 |
| შევჩენკო (მილანი) | 11 |
| მონტელა (რომა) | 10 |

XVIII ტური

23 იანვარი

ტორინო — ბოლონია
ბარი — ფიორენტინა
ვერონა — ინტერი
რეჯინა — იუვენტუსი
კალიარი — ლაციო
მილანი — ლეჩე
პარმა — პერუჯა
რომა — პიაჩენცა
უდინეზე — ვენეცია

## სერია B

XIX ტური

### ალძანო 0:1 სამპდორია

0:1 დიონიჯი (72)

### ბრეშა 0:1 კოზენცა

0:1 დე ფრანჩესკო (80)

### ჩეზენა 1:1 ატალანტა

1:0 ტალდო (5), 1:1 დონი (25)

### კიევო 3:1 ემპოლი

1:0, 2:0 მარაზინა (19, 78), 2:1 დი ნატალე (86), 3:1 მარაზინა (92)

### ფერმანა 2:1 ტერნანა

1:0 რაკინი (59), 1:1 სტელინი (63), 2:1 ბონფილიო (71)

### ჯენოა 0:1 ნაპოლი

0:1 ლუჩენტი (53)

### მონცა 0:0 პესკარა

### პისტოიეზე 2:0 რავენა

1:0 ბანკელი (46), 2:0 ბენინი (85)

### სალერნიტანა 2:0 ტრევიზო

1:0 გვიდონი (29), 2:0 მელოსი (41)

### სავოია — ვიჩენცა

*იხილეთ ბოლო გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 19 | 10 | 4 | 5 | 27:17 | 34 |
| ვიჩენცა | 18 | 10 | 3 | 5 | 34:21 | 33 |
| ბრეშა | 19 | 8 | 8 | 3 | 25:14 | 32 |
| ნაპოლი | 19 | 8 | 7 | 4 | 25:19 | 31 |
| სამპდორია | 19 | 7 | 8 | 4 | 19:15 | 29 |
| კოზენცა | 19 | 6 | 9 | 4 | 17:14 | 27 |
| სალერნიტანა | 19 | 6 | 8 | 5 | 27:25 | 26 |
| კიევო | 19 | 7 | 5 | 7 | 24:23 | 26 |
| რავენა | 19 | 6 | 8 | 5 | 20:19 | 26 |
| ალძანო | 19 | 7 | 5 | 7 | 19:23 | 26 |
| ტრევიზო | 19 | 7 | 4 | 8 | 24:22 | 25 |
| ტერნანა | 19 | 5 | 9 | 5 | 20:24 | 24 |
| ჩეზენა | 19 | 4 | 11 | 4 | 23:20 | 23 |
| მონცა | 19 | 4 | 11 | 4 | 19:20 | 23 |
| ჯენოა | 19 | 6 | 4 | 9 | 19:19 | 22 |
| პესკარა | 19 | 3 | 11 | 5 | 22:24 | 20 |
| ემპოლი | 19 | 5 | 5 | 9 | 13:26 | 20 |
| პისტოიეზე | 19 | 6 | 5 | 8 | 15:21 | 19 |
| სავოია | 18 | 3 | 6 | 9 | 14:27 | 15 |
| ფერმანა | 19 | 3 | 5 | 11 | 15:28 | 14 |

** „პისტოიეზეს“ დაკლებული აქვს 4 ქულა*

## სერია C1/A

XIX ტური. სიენა — ალბინოლეფე 3:0; კომო — ბრეშელო 1:1; სანდონა — კარარეზე 0:0; ლივორნო — ჩიტადელა 1:1; რეჯანა — ლეკო 1:2; მონტევარკი — ლუკეზე 2:1; ვარეზე — მოდენა 3:0; სპალ — პიზა 0:1

## სერია C1/B

XIX ტური. გუალდო — არეცო 3:1; პალერმო — ასკოლი 0:1; ფ. ანდრია — ატლეტიკო 0:1; აველინო — ბენევენტო 3:0; ვიტერბეზე — კროტონე 1:0; ანკონა — ჯულიანოვა 1:0; კატანია — ლოდიჯანი 2:1; სტაბია — მარსალა 0:1; დი სანგრო — ნოჩერინა 1:0

# დავეწიოთ და არ გავუსწროთ

## ესპანეთი

XX ტური

**სარაგოსა 0:0 ბარსელონა**

სარაგოსა: ხუანმი, პაკო ხემესი, სუნდგრენი, ლანა, პაბლო, რადიმოვი, ელგერა, არაგონი, გარიტანო, ველისკა (მარკოს ვალესი 87), მილოშევიჩი

ბარსელონა: არნაუ, აბელარდო, რაიციგერი, პუიოლი, ხავი, ზენდენი, კოკუ, ლიტმანენი (ლუის ენრიკე 76), ფიგუ, დანი (სიმაო 64), რივალდო

გაფრთხილება: რადიმოვი, ლანა, აბელარდო, გარიტანო, პუიოლი, მილოშევიჩი

მსაჯი: პერეს ბურული

**ვალიადოლიდი 2:0 ნუმანსია**

1:0 როდრიგო (55), 2:0 ვიქტორი (71)

ვალიადოლიდი: სესარი, ტორეს გომესი, სანტამარია, პენია, გარსია კალვო, მარკოსი, კამინერო (ეუსებიო 70), აროლდ ლოზანო, როდრიგო, ვიქტორი (შოჯი ჯო 84), ალბერტო (ვისკაინო 82)

ნუმანსია: ნუნიესი, ბელსუე (რივერა 65), ხაუმე, მუნისი, ივან როჩა, მუნიოსი, კასტანიო, ნაგორე, მორანი, ბარბუ, ოხედა

გაფრთხილება: როდრიგო, მარკოსი, კამინერო, ხაუმე, მორანი, ივან როჩა

მსაჯი: პუენტეს ლეირა

**სოსიედადი 1:1 სევილია**

0:1 კევედო (26), 1:1 გერერო (90)

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, პიკაბეა, ლორენი, ლოპეს რეკარტე, პაკო ლორენტე (ალდეონდო 50), არამბური, ხ. გერერო, ხოხლოვი, ბონილია (დე პაულა 72), სა პინტუ

სევილია: ვალენსია, ნანდო, ექტორი, ჰიბიჩი, მარჩენა, პრიეტო, ცარტასი (ვიქტორი 85), ფრანსისკო, კევედო, ზალაიეტა, ხესული (მარსელო ოტერო 90)

გაფრთხილება: ბონილია, ზალაიეტა, გერერო, ვალენსია, ლორენი

გაძევება: ლორენი (90)

მსაჯი: მენია დავილა

**სელტა 5:3 ოვიედო**

1:0 ტურდო (1), 2:0 მოსტოვოი (15), 3:0 ტურდო (23), 3:1 დელი ვალდესი (34), 3:2 ბანგო (37), 4:2 რევივო (38), 5:2 ტურდო (46), 5:3 დელი ვალდესი (66)

სელტა: დუტრუელი, ჯოროვიჩი, სერხიო, კასერესი, ველასკო, მოსტოვოი, მაკელელე, ჯოვანელა (მაზინიო 72), კარპინი, რევივო (ბენი მაკკარტი 84), ტურდო (გუსტავო ლოპესი 63)

ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბანგო, ონოპკო (ბორისი 39), დანჟუ, პომპეი, პაულო ბენტუ, ამიევა, დელი ვალდესი, ლოსადა (ივან იგლესიასი 65), პინტო (რუბენი 55)

გაფრთხილება: მოსტოვოი, ამიევა, ჯოვანელა, რაბარივონი

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

**რასინგი 1:1 ვალენსია**

0:1 მენდიეტა (34პ), 1:1 სალვა (90პ)

რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ტაისი (მორანი 46), ნერუ, ჩემა, მელბერგი, ვივარ დორადო (რუშფელტი 64), კოლსა, ესპინია, სალვა, მუნიტისი

ვალენსია: კანისარესი, კარბონი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, ანგულო, მენდიეტა, ხერარდი, ფარინოსი, ხერარდო, კლაუდიო ლოპესი, ილიე (ხუან სანჩესი 78)

გაფრთხილება: ჩემა, ხერარდი, სიეტესი, ილიე, ანგულო, კანისარესი

მსაჯი: ესკინას ტორესი

**ესპანიოლი 0:2 მალაგა**

0:1 დარიო სილვა (71), 0:2 რუფეტე (73)

ესპანიოლი: მორა, ნანდო, ტოლედო, პოჩეტინიო, კრისტობალი, მაურო ნავასი, სერხიო, გალკა (როხერი 46), სერანო (მარტინ პოსე 63), ტამუდო (მანელი 59), ველამასანი

მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ბრავო, ლარაინსარი, როხასი, აგოსტინო (რუანო 65), მოვილია (ფერნანდო სანსი 78), დე ლოს სანტოსი, რუფეტე, ედგარი (დარიო სილვა 65), კატანია

გაფრთხილება: მაურო ნავასი, ვალკარსე, სერანო, კატანია, დარიო სილვა

მსაჯი: ანდრადას ასურმენდი



REUTERS ვალიადოლიდიდან

ვალიადოლიდი — ნუმანსია 2:0. სტუმართა მეკარე ნუნიესმა მასპინძელთა იაპონელ დებიუტანტ შოჯი ჯოს ბურთი თავიდან აიცალა

**ალავესი 2:1 დეპორტივო**

1:0 ხულიო სალინასი (36პ), 1:1 მაკაი (50), 2:1 ხავი მორენო (88)

ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, კარმონა, ტელიესი, კონტრა, ასკოიტია (ხავი მორენო 65), მორალესი, ნან რივერა, დესიო, ხულიო სალინასი (კოდრო 80), მაგნო (იბონ ბეგონია 83)

დეპორტივო: სონგო, მანელი, შურერი, დონატო, რამისი, იოკანოვიჩი (ფერნანდო 77), ფრანი (ვიქტორ სანჩესი 68), მაურო სილვა, ჯალმინია, ფლავიო კონსეისაო, მაკაი (ტურუ ფლორესი 82)

გაფრთხილება: კონტრა, ვიქტორ სანჩესი, მაგნო, იოკანოვიჩი, ნან რივერა, მორალესი

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

**ბეტისი 2:1 ბილბაო**

1:0 იტო (3), 1:1 ლარასაბალი (63პ), 2:1 იტო (74)

ბეტისი: ტონი პრატსი, ლუის ფერნანდესი (კარპანი 82), მერინო, რივასი, ბორნესი, ოტერო, ბენჟამინი (გალვესი 76), იტო, ფილიპესკუ, დენილსონი (კუელიარი 88), ალფონსო

ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ალკორტა (ფელიპე 52), ტიკო, ედუ ალონსო (ხ. ეჩებერია 46), ი. გერერო, ალკისა, ურუტია (ხავი გონსალესი 65), ლაკრუსი, ურსაისი

გაფრთხილება: დენილსონი, ალკორტა, მერინო, რივასი, ეჩებერია, ლარასაბალი, ბენჟამინი, იტო

მსაჯი: ტურიენდო ალვარესი

**რაიო ვალეკანო 1:1 ატლეტიკო**

0:1 აგილერა (28), 1:1 ლორენსი (33პ)

რაიო ვალეკანო: კელერი, ლორენსი, ჰელდერი, ფერონი (მანდრა 90), ალკასარი, ერნანდესი, კლოტე, კოტა, ლუის სემბრანოსი, მიჩელ I (მიჩელ II 77), ბოლო

ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, კაპდევილა, გამარა, აიალა, გასპარი (ნიეგუსი 60), სოლარი (პაუნოვიჩი 68), ბეიბლი, უგო ლეალი, ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი (რობერტო 81)

გაფრთხილება: მოლინა, უგო ლეალი, ჰელდერი

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

**ტრეკზე** ველომრბოლელებს ასეთი ტაქტიკა აქვთ — ცდილობენ, მეტოქე წინ გაუშვან, გადამწყვეტ მომენტში კი პედლები სწრაფად დაატრიალონ და ფინიშის ხაზი პირველებმა გადაკვეთონ. ახალი წლის შემდგომმა და განსაკუთრებით მე-20 ტურმა ველოსიპედისტთა სწორედ ეს წესი გამახსენა. საფეხბურთო ენაზე ეს დაახლოებით ასე ჟღერს — წინ საკმაო მანძილით გაჭრილი „დეპორტივო" უცდის, მდევრები როდის დაეწევიან. დანარჩენები დაწევით კი ეწევიან, მაგრამ გასწრებას არ ლამობენ.

ვეჭვობ, ლაკორუნიელები თამაშს თამაშზე ზემოთ აღნიშნული ტაქტიკური მოსაზრებით აგებდნენ, მაგრამ ფაქტია, ერთი თვის წინ მათ 33 ქულა ჰქონდათ. მას შემდეგ პრიმერა დივიზიონში ხუთი ტური გაიმართა და გუნდმა თავის მარაგს მხოლოდ ოთხი ქულალა შემატა. აქ ერთის თქმა შეიძლება — ლიდერი, რომელიც ჩემპიონობაზე პრეტენზიას აცხადებს, ასე არ უნდა თამაშობდეს. შაბათს „დეპორტივო" „ალავესს" გაეჯიბრა. 36-ე წუთზე ლუის მიგელ რამისმა თავის საჯარიმოში მაგნო წააქცია და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. ვეტერანმა თავდამსხმელმა ხულიო სალინასმა პენალტი ზუსტად დაარტყა. „ალავესი" დაწინაურდა და პირველი ტაიმიც ასე დასრულდა. საპასუხო გოლის ხილვა კი ერთ რამედ ღირდა და ალბათ, ტურში ერთ-ერთი ულამაზესი იყო. როი მაკაიმ მოპირდაპირე ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი დაუმუშავებლად (ამის საშუალებას მცველებიც არ აძლევდნენ), პირველივე შეხებით, უძლიერესი დარტყმით გაგზავნა მეტოქის კარში. მაკაის გარჯა არ დაუფასდა — „დეპორტივომ" მატჩის გადარჩენა ვერ შეძლო. შეხვედრის მიწურულს, 88-ე წუთზე, ხავი მორენომ ორიოდე მეტრიდან თავური შეაგდო. მორენოს გოლმა შესაძლებელი გახადა, ესპანეთის ჩემპიონატში ლიდერი შეცვლილიყო და ყურადღების ეპიცენტრი სარაგოსაში გადაიტანა.

სარაგოსას იმ დღეს „ბარსელონა" სტუმრობდა. „ალავესი" — „დეპორტივოს" მატჩის შედეგის გაუთვალისწინებლადაც, ამ შეხვედრას ინტრიგა არ აკლდა. თამაში დაძაბული იყო და საგოლე მომენტებიც იქმნებოდა. იარი ლიტმანენის დარტყმული მეკარე ხუანმი გარსიამ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია. მწვრთნელთან შერიგებულმა რივალდომაც ერთი-ორჯერ სახიფათოდ შეუტია, მაგრამ ლუის ვან გაალს საშუალება არ მიეცა გატანილი გოლით გახარებული სკამიდან წამომხტარიყო და ტრიბუნებზე მყოფი ხალხისთვის ზეალმართული ხელით განუყრელი ბლოკნოტი ეჩვენებინა. გულხელდაკრეფილნი არც მასპინძლები ყოფილან — ისინიც უტევდნენ. მატჩის შემდეგ სარაგოსელთა თავკაც ხოსე ფრანსისკო როხოს უთქვამს, ხუთი ბრწყინვალე საგოლე მომენტი გვქონდა და ერთი მაინც უნდა გამოგვეყენებინა „ბარსელონა" ძალიან ძლიერი და შეკრული გუნდია, მაგრამ გამარჯვებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდითო. მწვრთნელს უკმაყოფილების საბაბი აქვს — მოგების შემთხვევაში „სარაგოსა" „დეპორტივოს" ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებდა. კაცმა მეტი რა უნდა ინატროს, მაგრამ როხის არ გაუმართლა — „ბარსელონას" ძლევა მართლაც ურთულესი რამ ყოფილა. აი, ვან გაალი კი, იხტიბარს არ იტეხს. მან თქვა: „შედეგით კმაყოფილი ვარ. ახლა ლიდერს სამი ქულითღა ჩამოვრჩებით. ერთი მოგებაც და..." საინტერესოა ჰოლანდიელი სპეციალისტის ფრაზა — მთავარი გასწრება კი არა, დაწევა ყოფილა (ცხადია, ამ ეტაპზე, მერე კი...)

სად არის „რეალი"? მადრიდელები კვლავ დაქვეითდნენ და მე-16 ადგილზე არიან. მადლობა ღმერთს, მათი აუტსაიდერთა შორის ყოფნა ამჯერადაც ცუდი თამაშით არ არის განპირობებული. „სამეფო კლუბს" სამი მატჩით ნაკლები აქვს გამართული და დაკარგული ქულების მიხედვით მეოთხე ადგილზეა. კლუბის, ქვეყნის და ევროპის კონტინენტის ღირსების დასაცავად ბრაზილიაში გამგზავრებულ დედაქალაქელებს „ბეტისთან", „ვალიადოლიდთან" და „მალიორკასთან" შეხვედრები გადაედოთ. „რეალი" „მალიორკას" წუხელ, გვიან ღამით შეხვდა, რაც გათამაშების ცხრილში ცვლილებებს შეიტანს. ისე, მადრიდელთა მსგავს სიტუაციაში „მანჩესტერიც" აღმოჩნდა — მან პრემიერლიგაში ორი მატჩით ნაკლები ჩაატარა. თუმცა პრემიერლიგის სატურნირო მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ბრაზილიაში გასეირნებას ინგლისელები დიდად არ დაუქვეითებია. ასე რომ, „რეალს" კიდევ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს, სირცხვილი თავიდან რომ აიცილოს.

ბომბარდირთა დავაში რასინგელმა სალვა ბალესტამ, რომელსაც უბრალოდ სალვად მოიხსენიებენ, უპირატესობა განიმტკიცა. მან 21-ე გოლი ვალენსიელ მეკარე კანისარესს პენალტით (უკვე მერამდენე) შეუგდო.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დეპორტივო | 20 | 11 | 4 | 5 | 34:24 | 10 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 21:12 | 9 | 21 | 11 | 4 | 4 | 3 | 13:12 | 1 | 16 |
| 2 | სარაგოსა | 20 | 9 | 8 | 3 | 36:20 | 16 | 35 | 11 | 7 | 4 | 0 | 26:10 | 16 | 25 | 9 | 2 | 4 | 3 | 10:10 | 0 | 10 |
| 3 | ბარსელონა | 20 | 10 | 4 | 6 | 41:27 | 14 | 34 | 9 | 7 | 1 | 1 | 24:9 | 15 | 22 | 11 | 3 | 3 | 5 | 17:18 | -1 | 12 |
| 4 | სელტა | 20 | 10 | 2 | 8 | 30:27 | 3 | 32 | 11 | 7 | 1 | 3 | 21:15 | 6 | 22 | 9 | 3 | 1 | 5 | 9:12 | -3 | 10 |
| 5 | რაიო ვალეკანო | 20 | 9 | 3 | 8 | 29:28 | 1 | 30 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 17 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:13 | -2 | 13 |
| 6 | ბილბაო | 20 | 7 | 8 | 5 | 30:30 | 0 | 29 | 9 | 4 | 4 | 1 | 16:12 | 4 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 14:18 | -4 | 13 |
| 7 | ალავესი | 20 | 8 | 5 | 7 | 24:24 | 0 | 29 | 11 | 6 | 2 | 3 | 15:12 | 3 | 20 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 8 | ვალენსია | 20 | 7 | 6 | 7 | 27:22 | 5 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:7 | 9 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:15 | -4 | 10 |
| 9 | მალაგა | 20 | 7 | 6 | 7 | 33:31 | 2 | 27 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:9 | 6 | 13 | 11 | 4 | 2 | 5 | 18:22 | -4 | 14 |
| 10 | ნუმანსია | 20 | 7 | 6 | 7 | 28:33 | -5 | 27 | 9 | 5 | 4 | 0 | 16:8 | 8 | 19 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:25 | -13 | 8 |
| 11 | მალიორკა | 19 | 7 | 5 | 7 | 25:24 | 1 | 26 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:10 | 8 | 21 | 9 | 1 | 2 | 6 | 7:14 | -7 | 5 |
| 12 | ბეტისი | 19 | 8 | 2 | 9 | 19:30 | -11 | 26 | 11 | 7 | 1 | 3 | 13:10 | 3 | 22 | 8 | 1 | 1 | 6 | 6:20 | -14 | 4 |
| 13 | ატლეტიკო | 20 | 7 | 3 | 10 | 32:34 | -2 | 24 | 10 | 5 | 1 | 4 | 17:12 | 5 | 16 | 10 | 2 | 2 | 6 | 15:22 | -7 | 8 |
| 14 | ვალიადოლიდი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:23 | -5 | 24 | 9 | 5 | 1 | 3 | 13:11 | 2 | 16 | 10 | 1 | 5 | 4 | 5:12 | -7 | 8 |
| 15 | რასინგი | 20 | 5 | 8 | 7 | 32:31 | 1 | 23 | 11 | 1 | 8 | 2 | 17:16 | 1 | 11 | 9 | 4 | 0 | 5 | 15:15 | 0 | 12 |
| 16 | რეალი | 17 | 5 | 8 | 4 | 29:29 | 0 | 23 | 8 | 2 | 3 | 3 | 14:17 | -3 | 9 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:12 | 3 | 14 |
| 17 | ესპანიოლი | 20 | 6 | 5 | 9 | 29:31 | -2 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 16:14 | 2 | 16 | 9 | 2 | 1 | 6 | 13:17 | -4 | 7 |
| 18 | სოსიედადი | 20 | 4 | 9 | 7 | 21:25 | -4 | 21 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:13 | 2 | 16 | 9 | 0 | 5 | 4 | 6:12 | -6 | 5 |
| 19 | ოვიედო | 20 | 5 | 6 | 9 | 21:34 | -13 | 21 | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 5 | 17 | 11 | 0 | 4 | 7 | 10:28 | -18 | 4 |
| 20 | სევილია | 20 | 3 | 8 | 9 | 22:33 | -11 | 17 | 9 | 3 | 5 | 1 | 12:8 | 4 | 14 | 11 | 0 | 3 | 8 | 10:25 | -15 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 18 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 17 |
| კატანია (მალაგა) | 15 |
| რაული (რეალი) | 10 |
| მაკაი (დეპორტივო) | 10 |

**XXI ტური**

23 იანვარი

მალიორკა — რაიო
ატლეტიკო — სოსიედადი
სევილია — სელტა
ოვიედო — სარაგოსა
ბარსელონა — რასინგი
ვალენსია — ესპანიოლი
მალაგა — ალავესი
დეპორტივო — ბეტისი
ბილბაო — ვალიადოლიდი
ნუმანსია — რეალი

## მეორე დივიზიონი

XXII ტური

**ატლეტიკო B 4:2 ესტრემადურა**

1:0, 2:0 მარკოსი (42, 47), 2:1 ვარელა (61), 3:1 ნგონგ კომე (77), 4:1 პეპე დომინგო (83პ), 4:2 რუედა (86)

**ხეტაფე 0:2 ბადახოსი**

0:1 კარლოს ტორესი (18), 0:2 პეპინი (91)

**მერიდა 0:4 ლეგანესი**

0:1 პაჩი პუნალი (9), 0:2 ხოსე მარი (15), 0:3 პაჩონი (54), 0:4 ანტონიო ლოპესი (72)

**ტოლედო 0:1 ოსასუნა**

0:1 ალექს ფერნანდესი (64)

**უელვა 0:0 კომპოსტელა**

**სპორტინგი 1:0 კორდობა**

1:0 პუჩე (90პ)

**ლევანტე 1:0 ლოგრონიესი**

1:0 ისრაელი (26)

**ვილიარეალი 2:3 ლეიდა**

0:1 ხავი პენია (1), 1:1 კრაიოვეანუ (15), 2:1 ხაიტანი (22), 2:2 ხოსემი (38პ), 2:3 კანია (70პ)

**ელჩე 2:2 სალამანკა**

1:0 არმენტანო (11), 1:1 კიკე მარტინი (19), 1:2 ლორენი (28), 2:2 ზარატე (77)

**ეიბარი 0:1 ალბასეტე**

0:1 ვულევიჩი (48)

**ტენერიფე 1:2 ლას პალმასი**

1:0 პასი (47), 1:1 ტევენე (81პ), 1:2 სეკიროსი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 22 | 12 | 7 | 3 | 36:20 | 43 |
| ლევანტე | 22 | 11 | 7 | 4 | 37:28 | 40 |
| ლას პალმასი | 22 | 11 | 5 | 6 | 35:23 | 38 |
| სპორტინგი | 22 | 11 | 3 | 8 | 31:23 | 36 |
| ბადახოსი | 22 | 8 | 12 | 2 | 24:16 | 36 |
| ესტრემადურა | 22 | 10 | 5 | 7 | 24:23 | 35 |
| ტენერიფე | 22 | 9 | 5 | 8 | 33:26 | 32 |
| ოსასუნა | 22 | 10 | 2 | 10 | 21:21 | 32 |
| ლეიდა | 22 | 8 | 6 | 8 | 37:31 | 30 |
| ვილიარეალი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:26 | 30 |
| ეიბარი | 22 | 7 | 9 | 6 | 32:31 | 30 |
| ხეტაფე | 22 | 8 | 6 | 8 | 22:23 | 30 |
| მერიდა | 22 | 7 | 7 | 8 | 22:24 | 28 |
| კომპოსტელა | 22 | 6 | 9 | 7 | 29:30 | 27 |
| ატლეტიკო B | 22 | 8 | 3 | 11 | 28:33 | 27 |
| ალბასეტე | 22 | 6 | 8 | 8 | 21:29 | 26 |
| ლოგრონიესი | 22 | 6 | 7 | 9 | 32:32 | 25 |
| ლეგანესი | 22 | 6 | 7 | 9 | 22:35 | 25 |
| ელჩე | 22 | 5 | 9 | 8 | 25:33 | 24 |
| კორდობა | 22 | 5 | 8 | 9 | 22:28 | 23 |
| უელვა | 22 | 6 | 4 | 12 | 17:30 | 22 |
| ტოლედო | 22 | 4 | 5 | 13 | 16:32 | 17 |

# ბელგია

XIX ტური

**სტანდარდი 4:0 ვესტერლო**
1:0 ლუკუნკუ (19), 2:0 გუსენსი (60), 3:0 ლუკუნკუ (80), 4:0 მორნარი (85)

**ბრიუგე 6:1 ლოკერენი**
1:0 ვერმანტი (6პ), 2:0 ვერჰეინი (13), 2:1 იულა (14) 3:1, 4:1 იანსენი (15, 31), 5:1 ვერჰეინი (33), 6:1 სმოლდერსი (85)

**ლიერსი 5:2 აალსტი**
0:1 ტიბო (21), 1:1, 2:1 ვან მეირი (29, 38), 2:2 კურემანი (41), 3:2 ვან მეირი (45პ), 4:2, 5:2 ვან დე ვეირი (46, 51)

**გენკი 0:1 გენტი**
0:1 დალუმი (85)

**გეელი 1:2 სენტ ტრუიდენი**
1:0 დაელემანსი (23), 1:1 დირიქსი (61), 1:2 ფიერსი (81)

**ლომელი 2:2 ბეერსხოტი**
1:0 დეკელვერი (27), 1:1 სონკი (31), 1:2 ჰააგდორენი (61), 2:2 სიმონსი (83)

**ბევერენი 0:0 ანდერლეხტი**

**მუსკრონი 4:2 ჰარელბეკე**
1:0 დუგარდენი (25), 2:0 ვანდერჰეიგი (45პ), 3:0, 4:0 ჟევლიაკოვი (55, 58), 4:1 პაასი (75), 4:2 კლომპი (88)

**შარლერუა 1:4 მეხელენი**
0:1 ჟოაო ელიასი (1), 0:2 ჩეტლი (18), 0:3 დიალო (34), 0:4 კამუსი (51), 1:4 სერჯიო როხასი (57)

**ევროპის** სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატების მსგავსად, მორიგი ტური ბელგიაშიც ორ დღედ დაიყო. შაბათს გამართული შეხვედრებიდან ინტერესს „გენკისა" და "გენტის" დაპირისპირება იწვევდა. ორივე გუნდი საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის. მორიგ ტურამდე გენკს მეორე. ხოლო „გენტს" მეხუთე პოზიცია ეკავა. მატჩი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და სტუმარი „გენტის" გამარჯვებით დასრულდა 1:0. ერთადერთი გოლი შეხვედრის მიწურულს, 85-ე წუთზე დალუმმა გაიტანა. ამ მოგებით „გენტმა", მართალია, წინ ვერ წაიწია, მაგრამ ლიდერ ოთხეულს მჭიდროდ მიუახლოვდა. „გენკმა" კი წაგებით მეორე ადგილი დაკარგა და მესამეზე დაქვეითდა. მას „ბრიუგემ" გაუსწრო, რომელმაც კვირას ჩატარებულ საშინაო შეხვედრაში „ლოკერენი" 6:1 გაანადგურა.

„ბრიუგემ" მატჩის ბედი პირველ 33 წუთში გადაწყვიტა, როცა მეტოქეს ხუთი ბურთი გაუტანა. მე-6 წუთზე გახსნა, ამას მე-13 წუთზე გერტ ვერჰეინის მეორე გოლი მოჰყვა. ზუსტად ერთ წუთში იულამ სტუმრებს შეხვედრის გადარჩენის იმედი ჩაუსახა, ჟოსე იანსენმა მათ სიხარულისგან გონს მოსვლა არ აცალა და სულ რაღაც წამებში გამარჯვებულის ვინაობა თითქმის გაარკვია. იმავე იანსენმა და ვერჰეენმა მეტოქეს კიდევ თითო-თითო ბურთი გაუტანეს და თავიანთ ანგარიშზე დუბლები მიითვალეს. მატჩის მიწურულს, 85-ე წუთზე, სმოლდერსმა „ლოკერენის" განადგურებას საბოლოო წერტილი დაუსვა. შედეგად „ბრიუგემ" მესამედ მეორე პოზიციაზე აინაცვლა და ახლა 5 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ანდერლეხტს", რომელმაც „ბევერენთან" საგარეო შეხვედრა ფრედ 0:0 დაასრულა.

ქართველი ლეგიონერის, გელა შეყილაძის „ლიერსმა", რომელიც მორიგ ტურამდე მე-4 ადგილზე იმყოფებოდა, შინ 5:2 დაამარცხა „აალსტი", თუმც ცხრილში წინ წაწევა ვერ მოახერხა.

ლიდერ „ანდერლეხტისგან" განსხვავებით, მომდევნო ოთხეულის გუნდებს ერთმანეთისგან მხოლოდ თითო-ოროლა ქულა აშორებთ, ამიტომ მათი ორთაბრძოლები საინტერესო სანახაობას გვპირდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 18 | 13 | 4 | 1 | 47:19 | 43 |
| ბრიუგე | 18 | 12 | 2 | 4 | 44:15 | 38 |
| გენკი | 19 | 10 | 6 | 3 | 44:24 | 36 |
| ლიერსი | 19 | 10 | 5 | 4 | 36:23 | 35 |
| გენტი | 19 | 11 | 1 | 7 | 50:35 | 34 |
| ბეერსხოტი | 19 | 9 | 5 | 5 | 33:27 | 32 |
| სტანდარდი | 19 | 10 | 2 | 7 | 36:33 | 32 |
| ვესტერლო | 19 | 8 | 5 | 6 | 39:41 | 29 |
| მუსკრონი | 19 | 8 | 4 | 7 | 38:30 | 28 |
| მეხელენი | 19 | 7 | 3 | 9 | 30:45 | 24 |
| აალსტი | 19 | 7 | 2 | 10 | 36:39 | 23 |
| ლოკერენი | 19 | 6 | 5 | 8 | 34:41 | 23 |
| ბევერენი | 19 | 4 | 6 | 9 | 25:37 | 18 |
| შარლერუა | 19 | 4 | 5 | 10 | 22:37 | 17 |
| სტ. ტრუიდენი | 19 | 4 | 5 | 10 | 20:39 | 17 |
| ჰარელბეკე | 19 | 4 | 4 | 11 | 32:39 | 16 |
| ლომელი | 19 | 1 | 9 | 9 | 17:36 | 12 |
| გეელი | 19 | 1 | 9 | 9 | 13:36 | 12 |



REUTERS მონაკოდან

მონაკო — რენი 3:1. მონაკოელი მარკო სიმონე (№11) სტუმარ დომინიკ არიბაჟეს გაურბის

# საფრანგეთი

XXII ტური

**მარსელი 0:0 მონპელიე**

**ბორდო 1:1 პსჟ**
0:1 კრისტიანი (12), 1:1 ლასლანდი (43)

**ოსერი 2:0 ლიონი**
1:0 კაპო (26), 2:0 მარლე (68)

**ნანსი 1:0 ბასტია**
1:0 ლეკლუსი (25)

**სედანი 0:0 ლანსი**

**ლე ავრი 1:0 სენტ ეტიენი**
1:0 ბუზელინი (69)

**სტრასბური 1:1 მეცი**
0:1 საპა (78), 1:1 ზიტელი (83)

**მონაკო 3:1 რენი**
1:0, 2:0 ტრეზეგე (9, 17), 3:0 სიმონე (42), 3:1 ლე რუ (51)

**ნანტი 3:0 ტრუა**
1:0, 2:0 სიბიერსკი (22პ, 46), 3:0 და როჩა (59)

**ჩემპიონატის** მორიგი ტური ორ დღეს გაგრძელდა, თუმც შეხვედრათა უმეტესობა შაბათს ჩატარდა. ყველაზე გამორჩეული მატჩი ქალაქ ოსერში შედგა — „ოსერი"—„ლიონი". რაკი ეს გუნდები გათამაშების ცხრილში შესაბამისად მე-4 და მე-2 ადგილზე იმყოფებოდნენ და ერთმანეთისგან მხოლოდ 3 ქულა აშორებდათ, მათი შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. „ოსერმა" მეტოქე 2:0 დაამარცხა და ქულებით გაუთანაბრდა. აღსანიშნავია, რომ გუნდებს ბურთების შეფარდებაც ერთნაირი აქვთ, თუმც „ოსერს" „ლიონთან" შედარებით ერთით მეტი გატანია და ამიტომ მასზე მაღალ საფეხურზე დამკვიდრდა.

შაბათს ჩატარებული შეხვედრებიდან შედარებით მეტ ინტერესს კიდევ ერთი შეხვედრა იწვევდა. გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „მონაკოს" ცხრილის შუა პოზიციებზე მყარად დამკვიდრებული „რენისთვის" უნდა ემასპინძლა. შეხვედრა მონაკოელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით — 3:1 დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლები უკვე მე-17 წუთისთვის ორბურთიანი უპირატესობით იგებდნენ. ორივე გოლი მსოფლიოს ჩემპიონმა დავიდ ტრეზეგემ გაიტანა. მე-9 წუთზე მონაკოელთა არგენტინელმა ლეგიონერმა მარსელო გალიარდომ იაქტიურა, „რენის" დაცვის ხაზი გაარღვია და ტრეზეგეს საგოლე პასი მისცა. ამ უკანასკნელმა თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და ანგარიში გახსნა. 8 წუთის შემდეგ მეორე გოლი ლუდოვიკ ჟულის კარგ გარღვევასა და საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს მოჰყვა, რომელსაც იმავე ტრეზეგემ „რენის" კარში მიუჩინა ადგილი. ტაიმის დასრულებამდე მასპინძლებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს, რომელიც იტალიელმა მარკო სიმონემ ჩაიწერა ანგარიშზე და ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ლიონელ სონი ანდერსონს გაუთანაბრდა. ახლა ორივეს 15 ბურთი აქვს გატანილი. ისინი საუკეთესო მეგოლეებად ითვლებიან. შეხვედრის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ „რენის" ფეხბურთელმა კრისტოფ ლე რუსმა 51-ე წუთზე ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო და ამგვარად თავისი გუნდი მშრალი ანგარიშით დამარცხებას გადაარჩინა. კვირას გამართული ორი შეხვედრიდან — „მარსელი" — „მონპელიე", „ბორდო"—პსჟ — ორივე ფრედ დასრულდა. უფრო მეტ ინტერესს ალბათ უკანასკნელი შეხვედრა იწვევდა, რადგან „ბორდოს" ცხრილში მეექვსე პოზიცია ეკავა, ხოლო პსჟ მეორე ადგილზე იმყოფებოდა.

მატჩის დებიუტშივე, მე-12 წუთზე, ანგარიში სტუმრებმა, პარიზელმა ფეხბურთელებმა გახსნეს, კერძოდ, კრისტიანმა, თუმც ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა მაინც გაათანაბრეს — გოლი 43-ე წუთზე ლილიან ლასლანდმა გაიტანა. დარჩენილ დროში თავი ვერც ერთმა გუნდმა ვერ გამოიჩინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბორდოს" 3 ქულის აღების კარგი შესაძლებლობა მიეცა. 49-ე წუთზე მათი ახალწვეული ფორვარდი — კრისტოფ დიუგარი პარიზელთა ბრაზილიელმა მცველმა სესარმა აკრძალული ხერხით შეაჩერა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა, მაგრამ მასპინძლებმა მთელი ტაიმის განმავლობაში ვერ გამოიყენეს უპირატესობა და მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგეს.

მიღწეული წარმატებით „მონაკომ" ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. უახლოეს მდევართა ტრიოს — პსჟ-ს, „ოსერსა" და „ლიონს", რომელთაც ქულათა ერთნაირი რაოდენობა დაუგროვდათ, მონაკოელები ახლა მთელი ათი ქულით უსწრებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 22 | 15 | 3 | 4 | 48:19 | 48 |
| პსჟ | 22 | 11 | 5 | 6 | 33:25 | 38 |
| ოსერი | 22 | 11 | 5 | 6 | 28:23 | 38 |
| ლიონი | 22 | 11 | 5 | 6 | 27:22 | 38 |
| სედანი | 21 | 9 | 5 | 7 | 30:30 | 32 |
| ბორდო | 22 | 8 | 7 | 7 | 33:32 | 31 |
| სენტ ეტიენი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:32 | 29 |
| ნანსი | 22 | 8 | 5 | 9 | 28:28 | 29 |
| რენი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:30 | 29 |
| მარსელი | 22 | 6 | 10 | 6 | 27:25 | 28 |
| მეცი | 22 | 5 | 12 | 5 | 25:23 | 27 |
| ბასტია | 22 | 6 | 9 | 7 | 25:24 | 27 |
| ნანტი | 22 | 8 | 3 | 11 | 25:27 | 27 |
| ტრუა | 21 | 8 | 2 | 11 | 23:35 | 26 |
| სტრასბური | 21 | 6 | 6 | 9 | 21:30 | 24 |
| ლანსი | 22 | 6 | 6 | 10 | 18:27 | 24 |
| ლე ავრი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:31 | 23 |
| მონპელიე | 22 | 4 | 6 | 12 | 23:32 | 18 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდერსონი (ლიონი) | 15 |
| სიმონე (მონაკო) | 15 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 14 |
| ალექსი (სენტ ეტიენი) | 12 |
| ვილტორდი (ბორდო) | 11 |

## II დივიზიონი

XXIII ტური. გენგამი — ნიცა 5:0; გენიონი — ტულუზი 0:0; ვალანსი — ნიორი 0:0; კანი — ლე მანი 2:1; ლავალი — ნიმი 1:1; ამიენი — აიაჩო 0:1; ლილი — შატორუ 1:0; სოშო — ლუანი 1:1; ლორიანი — ვასკეალი 0:0; კაენი — კრეტეი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 23 | 17 | 3 | 3 | 33:12 | 54 |
| ტულუზი | 23 | 12 | 6 | 5 | 36:15 | 42 |
| გენგამი | 23 | 11 | 7 | 5 | 42:29 | 40 |
| კაენი | 23 | 9 | 11 | 3 | 30:16 | 38 |
| ლე მანი | 23 | 9 | 9 | 5 | 28:25 | 36 |
| ნიმი | 23 | 9 | 7 | 7 | 28:24 | 34 |
| ლავალი | 23 | 8 | 9 | 6 | 25:22 | 33 |
| გენიონი | 23 | 7 | 11 | 5 | 27:21 | 32 |
| აიაჩო | 23 | 9 | 4 | 10 | 23:26 | 31 |
| სოშო | 23 | 8 | 6 | 9 | 26:26 | 30 |
| ლორიანი | 23 | 8 | 5 | 10 | 21:25 | 29 |
| კანი | 23 | 7 | 7 | 9 | 18:22 | 28 |
| ნიცა | 23 | 5 | 13 | 5 | 15:19 | 28 |
| კრეტეი | 23 | 7 | 7 | 9 | 21:26 | 28 |
| შატორუ | 23 | 6 | 8 | 9 | 20:28 | 26 |
| ამიენი | 23 | 4 | 11 | 8 | 19:25 | 23 |
| ნიორი | 23 | 4 | 11 | 8 | 19:27 | 23 |
| ვასკეალი | 23 | 3 | 11 | 9 | 15:24 | 20 |
| ლუანი | 23 | 4 | 6 | 13 | 19:40 | 18 |
| ვალანსი | 23 | 2 | 10 | 11 | 21:34 | 16 |

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" მცველი მარკუს ბაბელი სეზონის ბოლოს ალბათ ინგლისურ „ლივერპულში" გადაბარგდება. გერმანიის ჩემპიონმა მასთან წინასწარი შეთანხმება გააფორმა. „ლივერპულის" თავკაცი ჟერარ ულიე აცხადებს: „ბაბელი ერთობ გამოცდილი ფეხბურთელია, მას თამაში დაცვის ფლანგზეც შეუძლია და ცენტრშიც, ამიტომ ვთვლი, რომ „ლივერპულს" აშკარად გამოადგება". თავად ბაბელი, რომელმაც მთელი თავისი კარიერა „ბაიერნში" გაატარა, ამბობს: „ლივერპულის" თამაშით ბავშვობაში ვტკბებოდი. იქ გადასვლა ჩემთვის ოცნებაა. მიმდინარე სეზონში „ბაიერნთან" ერთად სამივე ტურნირის მოგებას ვგეგმავ, სეზონის შემდეგ კი 16-წლიან მიუნხენურ კარიერას ალბათ დავასრულებ და ინგლისში გადავალ".

**ინგლისის ჩემპიონატის ლიდერმა „ლიდს იუნაიტედმა" ავსტრალიის 23-წლამდელთა ნაკრების მეკარე დენი მილოშევიჩი შეიძინა. კლუბმა 21 წლის ფეხბურთელში 163 ათასი დოლარი გადაიხადა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მილოშევიჩი აქამდე ავსტრალიური „ჰერტ გლორის" ღირსებას იცავდა. „ლიდსმა" ამ კლუბიდან ზაფხულში კიდევ ერთი ახალგაზრდა მოთამაშე, ახალზელანდიელი მცველი დენი ჰეი გადაიბირა.**

**გერმანიის** ნაკრების ნახევარმცველი იორგ ალბერტცი „რეინჯერსის" დატოვებას აპირებს. სავარაუდოდ, კლუბი და ფეხბურთელი სეზონის ბოლოს დაემშვიდობებიან ერთმანეთს. ახლა შოტლანდიელები ფლორიდაში გადიან შეკრებას და ალბერტცმა განცხადება სწორედ იქ გააკეთა. „აიბროქსზე" მომავალი არ მაქვს. დიკ ადვოკაატი ჩემს სასტარტო შემადგენლობაში თამაშს შეუძლებლად მიიჩნევს. ვერ გამიგია, რას ითხოვს ჩემგან. წინა სეზონში 19 გოლი შევაგდე, რომელ ნახევარმცველს აქვს ასეთი შედეგი? როდესაც ადვოკაატმა მითხრა, რომ არ ვჭირდებოდი, გული მეტკინა. ცხადია, მწვრთნელმა თავისი საქმე უკეთ იცის, მაგრამ ხომ შეეძლო, საკუთარი მოსაზრებები ჩემთვის უფრო ადრე გაენდო?" — თქვა ფეხბურთელმა. საპასუხო განცხადება კლუბის ხელმძღვანელობამაც გააკეთა. ისინი ამბობენ, რომ ალბერტცს გუნდიდან წასვლაში ხელს არ შეუშლიან. ალბერტცი, რომელსაც გერმანიის ნაკრების მაისურა ორჯერ მოურგია, შოტლანდიაში „ჰამბურგიდან" გადაბარგდა. „რეინჯერსმა" მასში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ალბერტცმა წლეულს ჩემპიონთა ლიგაშიც ისახელა თავი და „ბაიერნს" და პსვ-ს გოლები გაუტანა.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" და ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველმა როი კინმა ჟურნალისტებს ბავშვობის ოცნება გაანდო. თურმე პატარა როის სკოლის მერხებიდანვე სურდა, გლაზგოს „სელტიკში" ეთამაშა. ორიოდ კვირის წინ განახლებული კონტრაქტით კინი „მანჩესტერში" კიდევ სამ წელიწადს დარჩება და კვირიაში 50 ათას გირვანქას მიიღებს. ფეხბურთელი ამბობს: „ცხადია, არავინ იცის, სამი წლის შემდეგ რა მოხდება, მაგრამ მსურს, ნატვრა ავიხდინო და კარიერა „სელტიკში" დავასრულო". იმ დროისთვის როი კინი 31 წლის იქნება.**

**იუგოსლაველ** სპეციალისტ ბორა მილუტინოვიჩს უნიკალური შედეგი აქვს — მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ოთხ სხვადასხვა ნაკრებს უხელმძღვანელა. მილუტინოვიჩი მექსიკის, კოსტა რიკის, შეერთებული შტატებისა და ნიგერიის ეროვნულ გუნდებს წვრთნიდა. მისი ბოლო სამუშაო ადგილი ამერიკული საფეხბურთო ლიგის კლუბი „მეტროსტარზი" გახლდათ, რომელთანაც ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. იუგოსლაველი მოგზაურობას აგრძელებს. ახლა მას ჩინელები ეპატიჟებიან და ნაკრების მოვლა-პატრონობას სთხოვენ. მილუტინოვიჩი ამ წინადადებით მოხიბლულია და უთქვამს: „ჩინეთი ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ქვეყანაა მსოფლიოში. იქაურ ფეხბურთს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია". სახელოვანი მწვრთნელი ნაკრებში ბრაიტონ ბობი ჰოუგტონს შეცვლის, ვისი მუშაობითაც ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციაში უკმაყოფილონი არიან.

**ნორვეგიის ნაკრებისა და „სტაბეკის" მეკარე, 33 წლის ფროდე ოლსენი ესპანური „სევილიას" კარს და ღირსებას დაიცავს. ესპანელებმა ოლსენი იჯარით აიყვანეს და მათთან სეზონის ბოლომდე დარჩება. გაზეთ „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში სევილიელთა პრეზიდენტმა რაფაელ კარიონმა განაცხადა: „ოლსენი სწორედ ის ფეხბურთელია, ვისაც ვეძებდით". ამჟამად „სევილია" პრიმერადივიზიონის აუტსაიდერია და მისი ფსკერიდან ამოსვლა მეტად საეჭვოა.**

**ინგლისური** „არსენალის" არგენტინელი მცველი ნელსონ ვივასი კლუბმა სეზონის ბოლომდე ესპანურ ვიგოს „სელტაში" გაანათხოვრა. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გალისიურ კლუბს შეუძლია, 30 წლის ვივასი საბოლოოდ შეიძინოს, თუ მის საფასურად 1,5 მილიონ დოლარს გადაიხდის. „სელტას" ორ მცველს — რაფაელ ბორხესს და ხუანფრან გარსიას მიმდინარე სეზონში ტრავმები სტანჯავდა, ამიტომ კლუბს დაცვის ხაზში პრობლემები გაუჩნდა.

**გერმანულმა ბერლინის „ჰერტამ" „ჰამბურგიდან" ავსტრალიელი მცველი იოსიპ სიმუნიჩი შეიძინა. 21 წლის წარმოშობით ხორვატი ფეხბურთელი ახალ კლუბს უახლოეს დღეებში შეუერთდება. ბერლინური კლუბი საშობაო შეკრებას პორტუგალიაში ატარებს. მართალია, თანხა არ დაუსახელებიათ, მაგრამ როგორც გერმანული საინფორმაციო საშუალებები იუწყება, „ჰერტამ" სიმუნიჩში 180 ათასი დოლარი გადაიხადა.**

**იტალიის** სერია A-ში „პიაჩენცასა" და „ტორინოს" შორის გამართული შეხვედრის შემდეგ სტუმარი, ტურინული გუნდის გულშემატკივრებმა იხულიგნეს, რის შედეგადაც პოლიციამ 17 მათგანი დააკავა. მატჩის დასრულების შემდეგ „ტორინოს" ფანები ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ და ადგილობრივ ქომაგებთან ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. მართალია, პოლიციამ დაპირისპირებას ბოლო მოუღო, მაგრამ, მათივე განცხადებით, რამდენიმე სამართალდამცავს ექიმთა ჩარევაც დასჭირდა.

**კვიპროსის ჩემპიონატი. XIV ტური. ანართოსისი — აპოპი 4:0; აპოლონი — ომონია 0:4; აპოელი — აელი 2:0; ანაგენისისი — ოლიმპიაკოსი 1:2; ეთნიკოსი (აშნა) — ნეა სალამინა 2:0; ალკი — ენოსისი 2:1; ეთნიკოსი (აშა) — აეკ 3:0; ჩემპიონატს 40 ქულით ლიდერობს ფამაგუსტას „ანართოსისი", მეორეა ნიქოზიის „ომონია" — 35 ქულა, მესამეა ლიმასოლის „აელი" — 31 ქულა.**

**ისრაელის** ჩემპიონატი. XX ტური. მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰერცლია) 3:0; ბნეი იეჰუდა — მაკაბი (ნეთანია) 1:1; ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — აშდოდი 4:2; ირონი — მაკაბი (თელ ავივი) 0:0; ბეითარი — ჰაპოელი (ჰაიფა) 3:3; ჰაპოელი (ქვარ სავა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 1:0; ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) წუხელ გვიან გაიმართა. ჩემპიონატს 49 ქულით ჰაიფას „მაკაბი" ლიდერობს, მეორეა თელ ავივის „ჰაპოელი" — 19 თამაში, 45 ქულა, მესამე — ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი", 41 ქულა.

## პორტუგალია

XVII ტური

**ბელენენსეში 1:1 ფარენსე**
0:1 ნადერი (18), 1:1 ჟოაო ბრიტუ (78)

**გიმარაეში 2:1 სანტა კლარა**
0:1 პალადინი (29), 1:1 ფერნანდო მეირა (66), 2:1 დალსოტო (69)

**ლეირია 0:0 სეტუბალი**

**კამპომაიორენსე 2:1 ამადორა**
1:0 ჟოზე სუარეში (65), 1:1 გაუჩო გომეში (73), 2:1 ნოვაისი (79)

**ალვერკა 3:1 რიუ ავე**
0:1 ვისენტე (52), 1:1 რამირესი (65), 2:1 ანდერსონ ლუისი (67), 3:1 პაულო კოშტა (90)

**ბრაგა 1:0 ბოავიშტა**
1:0 ბორგესი (55)

**სპორტინგი 2:0 სალგეირუში**
1:0, 2:0 ალბერტო აკოსტა (33, 53პ)

**მარიტიმუ 0:0 ბენფიკა**

**პორტუ — ჟილ ვისენტე**
*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 11 | 4 | 1 | 35:8 | 37 |
| სპორტინგი | 17 | 11 | 4 | 2 | 28:14 | 37 |
| ბენფიკა | 17 | 9 | 5 | 3 | 23:12 | 32 |
| გიმარაეში | 17 | 9 | 4 | 4 | 27:19 | 31 |
| ბოავიშტა | 17 | 9 | 3 | 5 | 19:13 | 30 |
| მარიტიმუ | 17 | 8 | 5 | 4 | 22:14 | 29 |
| ბელენენსეში | 17 | 6 | 7 | 4 | 20:14 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 16 | 7 | 3 | 6 | 22:18 | 24 |
| ამადორა | 17 | 6 | 6 | 5 | 19:18 | 24 |
| ალვერკა | 17 | 7 | 2 | 8 | 20:23 | 23 |
| კამპომაიორ. | 17 | 5 | 4 | 8 | 16:24 | 19 |
| ბრაგა | 17 | 5 | 3 | 9 | 19:23 | 18 |
| რიუ ავე | 17 | 4 | 5 | 8 | 19:28 | 17 |
| სალგეირუში | 17 | 5 | 2 | 10 | 13:23 | 17 |
| სანტა კლარა | 17 | 3 | 6 | 8 | 20:26 | 15 |
| ფარენსე | 17 | 2 | 8 | 7 | 12:31 | 14 |
| ლეირია | 17 | 2 | 6 | 9 | 13:23 | 12 |
| სეტუბალი | 17 | 2 | 5 | 10 | 12:28 | 11 |

## თურქეთი

XVI ტური. სამსუნი — ტრაბზონი 0:0; ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი 1:1; ბურსა — ვანი 3:2; გალათასარაი — ალთაი 3:1; ანთალია — ქოჯაელი 3:0; ერზურუმი — გენჩლერბირლიგი 1:1; გიოზთეფე — დენიზლი 2:4; ადანა — ისთანბული 2:1; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 16 | 13 | 2 | 1 | 36:14 | 41 |
| გაზიანთეფი | 16 | 8 | 5 | 3 | 23:12 | 29 |
| ბეშიქთაში | 16 | 8 | 4 | 4 | 29:12 | 28 |
| ფენერბაჰჩე | 16 | 7 | 7 | 2 | 28:19 | 28 |
| ანთალია | 16 | 8 | 3 | 5 | 25:26 | 27 |
| დენიზლი | 16 | 7 | 5 | 4 | 28:24 | 26 |
| ტრაბზონი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:16 | 22 |
| ალთაი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:19 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 16 | 6 | 4 | 6 | 24:26 | 22 |
| ადანა | 16 | 6 | 3 | 7 | 24:25 | 21 |
| სამსუნი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:21 | 21 |
| გენჩლერბირ. | 16 | 5 | 5 | 6 | 19:23 | 20 |
| ერზურუმი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:27 | 19 |
| გიოზთეფე | 16 | 4 | 5 | 7 | 15:22 | 17 |
| ბურსა | 16 | 4 | 4 | 8 | 19:23 | 16 |
| ისთანბული | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| ვანი | 16 | 2 | 4 | 10 | 19:31 | 10 |
| ქოჯაელი | 16 | 2 | 3 | 11 | 15:35 | 9 |

## საბერძნეთი

XV ტური. კალამატა — ტრიკალა 0:1; აეკ — კავალა 3:0; ოფი — ოლიმპიაკოსი 2:1; პაოკ — აპოლონი 1:1; ქსანტი — პანილიაკოსი 1:0; პანაჰაიკი — ირაკლისი 0:1; ეთნიკოსი — პრუდეფტიკი 1:0; პანათინაიკოსი — პანიონიოსი 2:1; არისი — იონიკოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 13 | 0 | 2 | 43:12 | 39 |
| პანათინაიკოსი | 15 | 12 | 2 | 1 | 39:12 | 38 |
| ოფი | 15 | 11 | 2 | 2 | 28:16 | 35 |
| ირაკლისი | 15 | 8 | 2 | 5 | 29:23 | 26 |
| აეკ | 15 | 7 | 3 | 5 | 30:21 | 24 |
| პაოკ | 15 | 6 | 5 | 4 | 26:20 | 23 |
| არისი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:16 | 23 |
| პანიონიოსი | 15 | 7 | 1 | 7 | 27:32 | 22 |
| პანილიაკოსი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:18 | 20 |
| ქსანტი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | 18 |
| ეთნიკოსი | 15 | 5 | 2 | 8 | 13:22 | 17 |
| იონიკოსი | 15 | 3 | 7 | 5 | 14:20 | 16 |
| პანაჰაიკი | 15 | 4 | 3 | 8 | 16:23 | 15 |
| კალამატა | 15 | 3 | 4 | 8 | 14:28 | 13 |
| კავალა | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |
| პრუდეფტიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 9:21 | 12 |
| ტრიკალა | 15 | 3 | 3 | 9 | 12:29 | 12 |
| აპოლონი | 15 | 2 | 5 | 8 | 11:20 | 11 |

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**რეალი (ესპანეთი) 1:1 (პენ. 3:4) ნეკაქსა (მექსიკა)**

1:0 რაული (14), 1:1 დელგადო (57)

რეალი: ბიზარი, იერო (ივან კამპო 52), მანუელ სანჩისი, ივან ელგერა, კარანკა, დორადო, ხერემი, მაკმანამანი, სავიო (ოგნიენოვიჩი 52), რაული (ეტოო 66), მორიენტესი

ნეკაქსა: პინედა, კაბრერა, ალმაგერი, აგინაგა, პერესი, დელგადო, მარკუს ლოპესი (ამბრისი 46), ვინა (ოლივა 82), მილიანი, მონტესინიოსი (ვასკესი 46), იგარედა

მსაჯი: ო. რუის აკოსტა (კოლუმბია)

### ფინალი

**კორინთიანსი (ბრაზილია) 0:0 (პენ. 4:3) ვასკუ და გამა (ბრაზილია)**

კორინთიანსი: დიდა, ინდიო, ადილსონი, ვამპეტა (ჟილმარი 91), კლებერი, მარსელინიო, რინკონი, ლუიზაო, ედილსონი (ფერნანდო ბაიანო 113), რიკარდინიო (ედუ 46), ფაბიო ლუსიანო

ვასკუ და გამა: ელტონი, ოდვანი, მაურო გალვაო, ამარალი, ფელიპე (ალექს ოლივეირა 102), ჟუნინიო (ვიოლა 96), რამონი (დონიზეტი 111), ჟილბერტო, პაულო მირანდა, ედმუნდო, რომარიო

გაფრთხილება: ფელიპე, ამარალი, რინკონი, პაულო მირანდა, ადილსონი, ინდიო, ედმუნდო, ლუიზაო

მსაჯი: დ. იოლი (ჰოლანდია)

# სან პაულუ, რომელიც რიოზე მეტია




ედმუნდომ გადამწყვეტი პენალტი ააცილა...

**კლუბთა** შორის მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვინაობა გაირკვა — „კორინთიანსი", აი, იმ გუნდის სახელი, რომელმაც ფინალში „ვასკუ და გამას" პენალტებით (4:3) აჯობა. „ვასკუს" მხრივ გადამწყვეტი დარტყმა ედმუნდომ ჩააფლავა.

ბრაზილიელმა მეტოქეებმა ვერც ძირითად დროში შეძლეს ერთმანეთის კარში გოლის გატანა და ვერც დამატებითში, სადაც პირველივე შედეგიანი დარტყმა ჯილდოს მომტანი გახლდათ. საქმე პენალტებზე მიდგა.

ედმუნდოს საბედისწერო დარტყმამდე როგორც სან პაულუს, ასევე რიო დე ჟანეიროს გუნდს, თითო ვერგატანილი უკვე ამძიმებდა. ედმუნდოს, ტურნირის ერთ-ერთ ვარსკვლავთაგანს, მეათე და ბოლო პენალტის შესრულება ერგო. თერთმეტმეტრიანთა მოგერიების დიდოსტატად აღიარებულ „კორინთიანსის" მეკარე დიდას კი თავისი ოსტატობა რომ გამოემჟღავნებინა, ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ საქმეში დიდას ჩარევა საჭირო აღარ აღმოჩნდა — ედმუნდომ მიზანს დიდი მანძილით ააცილა.

„ძალიან სამწუხაროა პენალტის აცილება. ბოდიშს ვიხდი" — თქვა მატჩის შემდეგ „ცხოველად" ცნობილმა ფეხბურთელმა — „წარმომიდგენია, რა დღეში არიან ქომაგები, რომლებიც ჩვენზე ნაკლებ როდი განიცდიან".

„ვასკუს" მწვრთნელმა, ანტონიო ლოპესმა, რომლის გუნდმაც შინ თამაშის უპირატესობა ვერ გამოიყენა — მატჩი რიო დე ჟანეიროს ცნობილ სტადიონ „მარაკანაზე" ჩატარდა — განაცხადა:

„საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ პენალტებს იღბალი იგებს. ამ დროს ოსტატობა გადამწყვეტი სულაც არ გახლავთ, თამაშის მოგებისთვის კი ნამდვილად ბევრი შესაძლებლობა გვქონდა".

„ვასკუ და გამას" აგერ უკვე მეორე წელიწადია მსოფლიოს უძლიერესი კლუბის ტიტულის მოპოვების შანსი ეძლევა და ხელი ეცარება. „კორინთიანსთან" დამარცხებამდე ერთი წლით ადრე, 1998-ში ხომ მან ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში, მადრიდის „რეალთან" წააგო 1:2.

შეჯიბრების მონაწილე რვა გუნდიდან მისადმი ყველაზე სერიოზულად სწორედ „ვასკუ" გახლდათ განწყობილი. ამას ისიც ადასტურებს, რომ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რიოელებმა სამი ცნობილი ფეხბურთელი შეიძინეს, რომარიო, ედმუნდო და ჟორჟინიო.

„კორინთიანსი" ბრაზილიის ბოლო ორი წლის ჩემპიონი გახლავთ და ამიტომაც „ვასკუ და გამასთვის" მისი დამარცხება სხვა თუ არაფერი, თავმოყვარეობის საკითხი გახლდათ, მაგრამ ფინალში, სადაც მეტოქეებმა ერთმანეთს ათლეტური, მოწინააღმდეგის შეტევათა ჩაშლაზე ორიენტირებული ფეხბურთი შესთავაზეს, გამარჯვებული ისევ სან პაულუელები დარჩნენ.

„ვასკუს" მთავარი კოზირი, რომარიოსა და ედმუნდოს წყვილი, „კორინთიანსის" დაცვის ყურადღების მიზეზით ვერ გათამაშდა, ხოლო გამარჯვებულთა მხრივ თავი იმ მატჩის მონაწილე ერთადერთმა არაბრაზილიელმა, კოლუმბიელმა ფრედი რინკონმა გამოიჩინა.

ბრაზილიური ფეხბურთისთვის ტიპიური გახლდათ ედმუნდოსა და რინკონის სიტყვიერ-ფიზიკური კამათი, რომელიც ორი ყვითელი ბარათით დასრულდა.

სან პაულუდან ჩამოყოლილი 20 ათასი ქომაგით გამხნევებულმა „კორინთიანსმა" მეტოქეზე მეტი სახიფათო მომენტი შექმნა. ორი საგოლე მომენტი ჰქონდა მარსელინიო კარიოკას, რომელმაც პენალტების სერიაშიც ვერ გამოიჩინა თავი. პირველ მომენტში კარიოკას მეკარე ელტონმა არ გაატანინა, ხოლო მეორეში, პირდაპირ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ძელთა გადაკვეთამ აისხლიტა.

ლუიზაომ, რომელიც თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გამოდიოდა, სამჯერ იხელთა გოლის გატანის შესაძლებლობა, ხოლო ედილსონის დარტყმული, შესვენების შემდეგ, კარის ხაზის გასწვრივ გაგორდა.

„ვასკუს" ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი ედმუნდოსი გახლდათ, 21-ე წუთზე ფელიპეს შექმნილი მომენტი მან მეტოქე მცველისთვის ბურთის გარტყმით დაასრულა.

იყო ერთი მომენტიც, 61-ე წუთზე, როდესაც „ვასკუს" მოთამაშეებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ ბოლოწამს ჟუნინიომ კარში დარტყმის ნაცვლად, რატომღაც პასის გადაწოდება გადაწყვიტა.

დამატებითმა დრომ სულ ორი მომენტი მოიტანა: ერთი ერთ კართან, მეორე კი მეორესთან.

ფინალამდე „მარაკანაზევე" გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის. მექსიკურმა „ნეკაქსამ" მადრიდის „რეალთან" ძირითად დროში ნათამაშევი 1:1-ის მერე პენალტებში 4:3 მოიგო.

შეჯიბრების აღმოჩენად შერაცხულმა მექსიკელებმა კვლავ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მეტადრე მისმა ეკვადორელმა მოთამაშემ და კაპიტანმა ალექს აგინაგამ, რომელმაც თანამემამულესა და თანაგუნდელს აგუსტინ დელგადოს ჩინებული, 40 მეტრიანი პასით გაათანაბრებინა ანგარიში. მადრიდელთაგან გოლი რაულმა შეაგდო.

**მიხეილ სურგულაძე**

### ბომბარდირები

*ანელკა (რეალი) — 3*
*რომარიო (ვასკუ და გამა) — 3*




რეალი — ნეკაქსა. მადრიდელი ხერემი (მარცხნივ) და მექსიკელი ხოსე მილიანი



„კორინთიანსი" მსოფლიოს პირველი ჩემპიონია

ამხანაგური მატჩი

# ალაჰის მადლით

**აშშ 1:1 ირანი**

0:1 მაჰდავიკია (7), 1:1 არმასი (48)
აშშ: ფრიდელი, ჰეიდუკი, ბალბოა, ლამოსა, აგოსი, სანე (ბენ ოლსენი 62), არმასი, კლაუდიო რეინა, ლუისი (კიროვსკი 79), კობი ჯონსი, მაკბრაიდი
ირანი: ტაბატაბეი, ზარინშეხი, პაშემინასაბი, ფეკრი, მაჰდავიკია, ჰამედანი, ესტილი (დინმოჰამადი 73), ჰალალი, ემამიფარი, ალი დაეი, აზიზი
მსაჯი: ა. არჩუნდია (მექსიკა)



აშშ და ირანი ფეხბურთმა დააძმობილა

მსოფლიოს უდიდესმა პოლიტიკურმა მტრებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ირანმა კალიფორნიაში დიპლომატიური საფეხბურთო 1:1 ითამაშეს. ბოლო 20 წლის მანძილზე ეს გახლდათ ამ ქვეყნების ნაკრებთა მეორე შეხვედრა და პირველი შემთხვევა, როდესაც ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნულმა გუნდმა ფეხი ამერიკის მიწაზე დადგა.

ბუნებრივია, ქვეყნებისთვის, რომელთა შორის დაძაბული ურთიერთობა მთელი დედამიწის მოსახლეობისთვის ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, როგორც გათენება ან, ვთქვათ, დაღამება, ფეხბურთში ამხანაგური შეხვედრის ჩატარება ერთობ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. თავად განსაჯეთ, ირანი ხომ შეერთებულ შტატებს წლების განმავლობაში „დიდ სატანას" უწოდებდა, ხოლო ვაშინგტონისთვის ირანი ქვეყანა-ტერორისტი ნომერი ერთი იყო.

სტუმრებმა გული საგულეს მატჩის დასაწყისშივე ჩაიგდეს, როდესაც მეჰთი მაჰდავიკიამ მეკარის ბაქანზე ამერიკელ გოლკიპერს აჯობა და ანგარიში გახსნა. ეს სწორედ ის მაჰდავიკია გახლდათ, რომელმაც 1998 წელს, საფრანგეთში გამრთულ მსფოლიო ჩემპიონატზეც გაუტანა აშშ-ის ნაკრებს. მაშინ ირანმა 2:1 გაიმარჯვა და მეტოქე შეჯიბრებიდან გამოთიშა.

ამჯერად ამერიკამ ანგარიში გაათანაბრა — 48-ე წუთზე ირანელთა კარი კრის არმესმა დალაშქრა, თუმცა, საკუთრივ შეხვედრაზე არანაკლებ საინტერესო „პასადენა როუზ ბოულზე" შეკრებილი 49 212 მაყურებლის რეაქცია გახლდათ — ხალხი სტუმართა მიმართ დიდი სიმპათიით იყო განწყობილი.

საქმე ის არის, რომ კალიფორნიაში მრავლად ცხოვრობენ ირანელები ანუ ირანული წარმოშობის ამერიკელები, რომლებმაც სტადიონს მიაშურეს. ბევრი მათგანი ირანის დროშის ფერებად სახეშეღებილი ქომაგობდა ისტორიული სამშობლოს ეროვნულ გუნდს. ისინი ხომ მათ თამაშს ცოცხლად პირველად ხედავდნენ. აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ირანელთა და მექსიკელთა ამხანაგურმა თამაშმა ჩრდილო კალიფორნიაში საფეხბურთო მატჩისთვის სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი შეკრიბა.

ამერიკელთა და ირანელთა მატჩის გამო რამდენიმე სკანდალი ორიოდ დღით ადრე ატყდა. პირველი ის გახლდათ, რომ ირანელ ექსტრემისტთა ჯგუფმა ლუდის რეკლამის წინააღმდეგ გაილაშქრა — სტადიონზე არ დავინახოთო — მეორე კი სტუმართა ჩივილი იყო აეროპორტში მათი დელეგაციის ბარგის ჩხრეკის გამო.

შეგახსენებთ, ვაშინგტონსა და თეირანს დიპლომატიური ურთიერთობები კვლავ არ აქვთ, მაგრამ კულტურულ გაცვლათა დონეზე უკვე გააბეს კავშირები. 1998 წელს მოჭიდავეთა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, ახლა კი, როგორც ხედავთ, ირანელ ფეხბურთელთა სამმატჩიანი ტურნეა ამერიკაში. ასეთია ირანის 1997 წელს არჩეული პრეზიდენტის, მუჰამედ ხატამის პოლიტიკის შედეგი.

# კანტონა

## მანჩესტერელთა კერპი

„მანჩესტერ იუნაიტედმა" თავის გულშემატკივართა შორის გამოკითხვა მოაწყო — მათ კლუბის ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელი გამოავლინეს. ქომაგთა არმიამ, სულ 24 ათასმა კაცმა, ასეთად ერიკ კანტონა მიიჩნია. ფრანგს ხმების 49 პროცენტი ერგო. მეორე 37 პროცენტით ლეგენდარული ჯორჯ ბესტია. ამ ორმა ხმების ლომის წილი მიითვისა. ამიტომაც მესამეადგილოსან ბრაიან რობსონს მხოლოდ 6 პროცენტიღა ერგო.

კანტონა მანჩესტერში „ლიდს იუნაიტედიდან" გადავიდა. კლუბმა მასში ერთი მილიონი გირვანქა (დღევანდელი საზომებით მეტად სასაცილო თანხა) გადაიხადა, წითელი მაისურა 181-ჯერ მოირგო და 80 გოლიც გაიტანა. კანტონას პრემიერლიგა ამ ორივე კლუბში თამაშისას მოუგია.

ფრანგი „ცოტა" ჭირვეული ხასიათითაც გამოირჩეოდა. ერთხელ მას „კრისტალ პალასის" ქომაგებთან ინციდენტი მოუხდა, რისთვისაც ფეხბურთიდან ცხრა თვით მოკვეთეს.



კანტონა კი მაინც უყვართ. ამბობენ, სამიოდე თვის წინ გამართულ სერ ალექს ფერგიუსონის საბენეფისო მატჩზე ხალხი კანტონას სანახავად უფრო მივიდაო. „ოლდ ტრეფორდი" კი იმ დღეს გადაჭედილი იყო.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 001 კოლჩესტერი-უიკომბი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 002 დარლონგტონი-იორკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 003 სედანი-ლე ავრი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 004 სტრასბური-ტრუა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 005 ჩელსი-ნოტინგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

ინგლისი. თასის მე-4 ეტაპი. გადათამაშება

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 006 ვულვერჰემპტონი-უენსდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 007 ლესტერი-არსენალი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

იტალია. თასის 1/4 ფინალი. I მატჩი

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 008 ვენეცია-ფიორენტინა | 3,0 | 2,9 | 2,2 |

ესპანეთი. თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 009 სარაგოსა-რეალი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 010 ორენსე (III)-ბარსელონა | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 011 უნიონი (III)-ატლეტიკო | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 012 ესპანიოლი-სელტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 013 ოსასუნა-დეპორტივო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 014 მერიდა-ოვიედო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 015 კომპოსტელა-ვილიარეალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 016 ლეიდა-რაიო ვალეკანო | 3,4 | 2,9 | 2,0 |

ბელგია. ლიგის თასის 1/4 ფინალი

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 017 ლოკერენი-მუსკრონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 018 გენკი-ვესტერლო | 1,6 | 3,2 | 5,0 |

თურქეთი. თასის 1/8 ფინალი

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 019 ბურსა-ვანი 14.30 სთ. | 1,6 | 3,1 | 5,3 |

19 იანვერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 020 გაზიანთეფი-ალთაი 14.30 სთ. | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 021 ისთანბული-ანკარა 14.30 სთ. | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 022 ქოჯაელი-ტრაბზონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 023 გალათასარაი-სამსუნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

კალათბურთი

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 801 მაიამი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 802 ჰიუსტონი-პორტლენდი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 803 საკრამენტო-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 804 სიეტლი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 805 ბოსტონი-ტორონტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 806 ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 807 ფილადელფია-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 808 ვაშინგტონი-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 809 ინდიანა-მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 810 ჩიკაგო-შარლოტი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 811 სან ანტონიო-პორტლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 812 იუტა-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 813 ლეიკერსი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

20 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 814 ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 815 შარლოტი-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 816 მილუოკი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 817 ჰიუსტონი-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 818 საკრამენტო-ორლანდო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 819 ვანკუვერი-იუტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |

კალათბურთი. ევროლიგა. II ეტაპი. II ტური

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 820 ბუდუჩნოსტი-ვილერბანი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 821 პო ორტეზი-ოლიმპიაკოსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 822 პივოვარნა-ციბონა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 823 ვარეზე-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |

20 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 824 ალბა-ბარსელონა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 825 ჟალგირისი-ცსკა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 826 თოფაში-ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 827 პაოკ-პანათინაიკოსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 828 ცრვენა ზვეზდა-ოლიმპია | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 829 შოლე-რეალი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 830 კახა სან ფერნანდო-მაკაბი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 831 ულქერი-ეფესი | 1,6 | 12,0 | 1,8 |

ჰოკეი

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 832 რეინჯერსი-კაროლინა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 833 ნეშვილი-ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| 834 კალგარი-დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 835 ლოს ანჯელესი-ბუფალო | 1,7 | 4,4 | 2,4 |

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 836 მონრეალი-აილენდერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 837 ნიუ ჯერსი-ჩიკაგო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 838 პიტსბურგი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 839 ატლანტა-ბოსტონი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 840 ფლორიდა-ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 841 კოლორადო-სან ხოსე | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 842 ედმონტონი-კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 843 ვანკუვერი-დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 844 ანაჰაიმი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

20 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| 845 კაროლინა-რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 846 ფილადელფია-ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 847 ტამპა ბეი-ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 848 ფინიქსი-ბუფალო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 849 ლოს ანჯელესი-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# სკადი ბეწვის ხიდზე

ავსტრალიელთა ერთ-ერთი მთავარი იმედის, მარკ ფილიპუსისისთვის ებრაელი ნოამ ოკუნის გაცნობას კეთილი ნამდვილად არ ეთქმოდა. „სკადს" გუშინდლამდე თვალითაც არ ენახა კლასიფიკაციით 186-ე მეტოქე, რომლის გზიდან ჩამოსაცილებლად 3 საათი დასჭირდა.

„სიმართლე გითხრათ, თავად არ ვიცი, როგორ მოვიგე. კორტზე თავს კარგად ვერ ვგრძნობდი. დილის ვარჯიშისას ფეხები დამიმძიმდა, მატჩის დროს კი სულ მივსავათდი და თანდათან ვსუსტდებოდი" — განაცხადა მეთექვსმეტედ განთესილმა ავსტრალიელმა 6:4, 6:2, 2:6, 3:6, 6:2 მოგების შემდეგ.

ფილიპუსისმა მატჩი ხეირიანად დაიწყო, საათზე ოდნავ მეტში ორი სეტითაც დაწინაურდა, მაგრამ მერე ყურადღება გაეფანტა, პირველი მოწოდებების აცილება დაიწყო და ენერგიულმა ებრაელმაც ანგარიშის გათანაბრების შანსი ხელიდან არ გაუშვა.

როდესაც ოკუნი გადამწყვეტ ხელშიც ბრეიკით დაწინაურდა, ავსტრალიელის ქომაგთა უმეტესობამ „სკადი" განწირულად ჩათვალა, მაგრამ ზორბა ოზმა პირიქით, დარჩენილი ხუთივე გეიმი მოიგო.

ფილიპუსისი ავსტრალიის ღია პირველობას გაშეშებული კისრით შეხვდა, რის გამოც შაბათს საჩვენებელი ტურნირის ფინალშიც კი ვერ იასპარეზა, მაგრამ ორშაბათს რომ ცუდად ითამაშა, ამის მიზეზი სულ სხვა რამ იყო.

„რალაც აბები მაინც ჩავყლაპე, იმ შემთხვევისთვის, თუ სიცხე ამიწევდა. თავი სველი პირსახოცითაც შევიხვიე გასაგრილებლად. ძალიან მიხარია, რომ გადავრჩი, გამოსაჯამრთელებლად დრო ჯერ კიდევ მაქვს და იმედია, სერიოზული არაფერია. ერთი კი ნაღდია: უარესი ალარაფერი შეიძლება მოხდეს".

თუ ფილიპუსისი განსაცდელს ასე თუ ისე გადაურჩა, ორ სხვა განთესილს ნაკლებად გაუმართლდა.

შვედი ტომას ენკვისტი (6) ბოლო 21 წლის მანძილზე პირველი ფინალისტი შეიქნა, რომელმაც მომდევნო ტურნირის პირველივე წრეში წააგო. ღირსშესანიშნავი მოგება თავის ანგარიშზე ვეტერანმა ავსტრალიელმა რიჩარდ ფრომბერგმა ჩაიწერა 6:4, 7:6 (7:4), 4:6, 3:6, 10:8.

სამ საათ და 44-წუთიან შეხვედრაში ენკვისტს კარგად არ უთამაშია, სამაგიეროდ, ბოლომდე იბრძოდა. პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ მან ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ ხელში მეტოქის მოწოდებაზე სამი მატჩპოინტიც გადაარჩინა, მაგრამ ხელსაყრელ მომენტებში თავი უხეში შეცდომებით დაიღუპა.





ტომას ენკვისტი



მარკ ფილიპუსისი

კიდევ ერთი იმედგაცრუება ენკვისტს მატჩის შემდეგ ელოდა — დამარცხებული ფინალისტი ტურნირის ორგანიზატორებმაც დაიბრიყვეს. როდესაც შვედი მთავარ საკონფერენციო დარბაზში გამოცხადდა, მას უფრო პატარა ოთახისკენ მიუთითეს; აქ ანა კურნიკოვასთვისაა ადგილი დაბევებულიო.

„იდაყვი მაწუხებდა, მაგრამ მარცხის მიზეზი ეს არ იყო — ფრომბერგი კარგად აწოდებდა და თავის შანსებსაც იყენებდა. ბოლომდე ვიბრძოლე, მაგრამ არაფერი გამომივიდა". — დაიჩივლა ენკვისტმა.

პირველი განთესილი კი, რომელმაც პირველივე წრეში უსახელოდ დაასრულა ასპარეზობა, სლოვაკი კაროლ კუჩერა გამოდგა. მან მსოფლიოს 106-ე ჩოგანთან, მაგრამ უკვე ტაილანდის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელ მამაკაცთან, პარადორნ სრიჩაპანთან 2:6, 4:6, 6:3, 3:6 წააგო.

კაცებში ერთ-ერთი საუკეთესო მილების პატრონი კუჩერა ვერაფერს გახდა აზიელის თამაშის აგრესიულ სტილთან, მარცხის გასამართლებლად კი ათას რამეს მიედ-მოედო — სწრაფ კორტებს ვერ მივეჩვიე, ყურადღება გამეფანტა, მწვრთნელმა მიროსლავ მეჩირჟმა ვარჯიშით გადამღალა და ალარაფრის თავი ალარ მქონდაო.

სლოვაკს არც მეტოქის დამსახურებათა აღნიშვნით შეუწუხებიია თავი: „კარგი მოწოდება აქვს, განსაკუთრებით პირველი, მაგრამ მეტი არაფერი. მასში დიდ პოტენციალს ნამდვილად ვერ ვხედავ".

არადა, სრიჩაპანმა კუჩერას ორი კვირის წინ, ჰოპმანის თასზეც მიუგო.

ზედმეტი გაწამაწიის გარეშე გაალწიეს ოცდამეთორმეტედფინალში ამერიკელმა ფავორიტებმა — ლინდსი დევენპორტმა (2) და ანდრე აგასიმ (1).

დევენპორტი წითურმა ფრანგმა სარა პიტკოვსკიმ პირველ სეტში მცირედით შეაწუხა, როდესაც 0:4-დან ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, მერე კი ისევ ცალკარა თამაში გაჩაღდა — 6:3, 6:1.

ლინდსი ახალი, უფრო სწრაფი საფარით ძალიან კმაყოფილი დარჩა, ჩემთვის ასე უფრო ხელსაყრელიაო, სამაგიეროდ, მოგვიანებით ჟურნალისტების ანკესზე წამოეგო და ბოლო ხანებში კაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების შესახებ ყბადაღებულ კამათში ჩაერია.

„ავსტრალიელებმა ძალიან ცუდი გააკეთეს, როცა რამდენიმე წლის წინ თანაბარი საპრიზო ფონდი გააუქმეს. მაშინ გვითხრეს, ქალთა ჩოგბურთი უფრო პოპულარული რომ გახდება, უფლებებს აღგიდგენთო. ასე კი მოხდა, მაგრამ ორგანიზატორები თავიანთ სიტყვას რატომღაც ალარ ასრულებენ" — აღნიშნა ამერიკელმა.

წლეულს კაცების ჩემპიონი მელბურნში 490750 დოლარს მიიღებს, ქალების — 466 050-ს. თანხა დასაწუნი ნამდვილად არ არის, მაგრამ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები მაინც უკმაყოფილონი არიან: დები უილიამსების, ანა კურნიკოვას და სხვა ნიჭიერი ახალბედების წყალობით WTA ტური ახლა პოპულარობით არაფრით ჩამოუვარდება ATP-ს.

როგორც წესი, არათანაბარი ანაზღაურების მომხრენი თავს იმით იმართლებენ, რომ ქალები ორი [illegible] გებამდე თამაშობენ, კაცებ[illegible] მაგრამ დევენპორტს ამაზეც მოეძებნება პასუხი: კი მაგრამ, მაშინ მარათონელებს სპრინტერებზე მეტს რად არ უხდიანო.

აი, ანდრე აგასიმ კი ყოველგვარი კამათის წინააღმდეგ გაილაშქრა. „აქ მეტზე და ნაკლებზე კი არა, იმაზე უნდა საუბრობდნენ, რომ ჩვენ ყველას ზედმეტს გვიხდიან. ეს დავა მეტად უსიამოვნოა" — განაცხადა ლასვეგასელმა ანდრემ, რომელსაც კარიერაში საპრიზოებით 19,3 მილიონი დოლარი მოუხვეჭია.

სამაგიეროდ, კორტზე ხოტორა ამერიკელს არაფერი აწუხებს. პირველ წრეში მან არგენტინელ მარიანო პუერტას „გადაუარა" 6:2, 6:2, 6:3 და მერე საჰაერო კოცნით მიესალმა ტრიბუნებიდან მოქომაგე სატრფო შტეფი გრაფს.

„შარშან ამ დროს ცხოვრებაში მძიმე პერიოდი მედგა" — აგასი მეუღლე ბრუქ შილდსთან გაშორებას გულისხმობდა — „პიროვნულად ცვლილებებს განვიცდიდი და ჩოგბურთის თავი სულაც არ მქონდა. ახლა კი მთელი ყურადღება იმაზე მაქვს გამახვილებული, თითოეულ მეტოქეს დღე როგორ ჩავუმწარო. ასე გაცილებით ჯობს".

**პირველი წრე. კაცები:** **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:4, 7:5, 6:4; **ტოდ მარტინი** (8, აშშ) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 5:7, 6:7 (4:7), 6:4, 6:2, 8:6; **რიჩარდ კრაიჩეკი** (9, ჰოლანდია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:1, 6:2, 7:5; **ტიმ ჰენმანი** (11, ინგლისი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:7 (3:7), 6:3, 7:6 (7:4), 7:6 (9:7); **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:1, 5:7, 6:3, 7:6 (7:5); **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:7 (4:7), 6:3, 7:5, 6:1.

**პირველი წრე. ქალები:** **მარი პირსი** (4, საფრანგეთი) — ლინდა უაილდი (აშშ) 7:5, 6:3; **ნატალი ტოზია** (5, საფრანგეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:1, 2:6, 6:1; **ამელი მორესმო** (6, საფრანგეთი) — კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:1, 6:2; **ანა კურნიკოვა** (11, რუსეთი) — პატრიცია ვარტუში (ავსტრია) 6:0, 6:0; **დომინიკ ვან რუსტი** (14, ბელგია) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 3:6, 6:1, 6:1; **ჟული ალარი** (9, საფრანგეთი) — ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) 6:2, 6:4; **კრისტი ბუგერტი** (ჰოლანდია) — ანკე ჰუბერი (15, გერმანია) 6:4, 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (აშშ) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:1, 7:6 (7:1)

# მეც ქალი ვარ...

სიდნეის საერთაშორისო პირველობა. ავსტრალია. ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $

**ქალები. ნახევარფინალი:** **ამელი მორესმო** (6, საფრანგეთი) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 7:5, 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) 6:3, 6:2

**ფინალი:** **მორესმო** — დევენპორტი 7:6 (7:2), 6:4





ამელი მორესმო

სპორტული სამყაროს ყველაზე ცნობილ ლესბოსელს — ამელი მორესმოს მწვანე კონტინენტი მეორე სამშობლოდაც გამოადგება. 20 წლის ფრანგმა სწორედ ავსტრალიაში, გასული სეზონის პირველი „მეიჯორის" ფინალში გასვლით გაითქვა სახელი, შაბათს კი კარიერაში მეორე მნიშვნელოვან წარმატებასაც აქ მიაღწია.

კვირის დასაწყისში კლასიფიკაციით მეცხრე მორესმომ სიდნეიში ზედიზედ სამი ბობოლა, მსოფლიოს მეხუთე, პირველი და მეორე ჩოგნები — მარი პირსი, მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი დაამარცხა, თანაც ამ სამ მატჩში ერთი სეტიც კი არ წაუგია

„არ ვიცი, აქ რა მემართება, ეტყობა, გარემო ჩემზე მართლაც კეთილისმყოფელად მოქმედებს. მატჩიდან მატჩამდე ვუმატებდი და ფიზიკურად მართლაც შესანიშნავ ფორმაში ვარ: ასეთი ძლიერი მეტოქეების ძლევა კი თავდაჯერებას მმატებს" — აღნიშნა მხარბეჭიანმა ფრანგმა პრესკონფერენციაზე.

განსაკუთრებით სასიამოვნო მორესმოსთვის ჰინგისის დამარცხება იყო, რომელმაც თავის დროზე იგი „ნახევრად კაცად" მოიხსენია, მერე კი ბოდიშიც არ მოუხადა. თუმცა 19 წლის შვეიცარიელი დიდი დიპლომატიურობით არც ამჯერად გამორჩეულა: ნახევარფინალის წინ მან ჟურნალისტებს განუცხადა, მორესმოს ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს, რომ საუკეთესოთა რიგებს ეკუთვნისო.

ჰინგისსაც და ყველა სხვა ავისმოსურნესაც ფრანგმა იოლად გაუფანტა ეჭვები — მსოფლიოს პირველი ჩოგანი მან ცალხელა ბექჰენდის სიმძლავრით, მოულოდნელი შემოკლებებითა და ზუსტი მილებებით დააბნია, ერთი პირობა ზედიზედ ექვსი გეიმიც მოუგო და მელბურნის გზას ცუდ გუნებაზე გაუყენა.

ზორბა დევენპორტთან გამკლავება ფინალში თავიდან მორესმოს ძალიან გაუჭირდა და საკუთარი მოწოდება ორჯერაც დაკარგა, თუმცა დაბალი და მოჭრილი დარტყმების მეტად რისკიან და მძლავრებთან შენაცვლებით ამერიკელი კალაპოტიდან მალე ამოაგდო და მანაც უამრავი უნებლიე შეცდომის დაშვება დაიწყო.

„თუ მელბურნშიც ისევე კარგად ითამაშებს, როგორც აქ, მომავალ ორ კვირაში მოგების დიდი შანსი ექნება" — შეაქო მეტოქე ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა დევენპორტმა, რომელმაც ჰინგისის არ იყოს, წარსულში მორესმო თავადაც გაანაწყენა კაცთან შედარებით, მაგრამ დანაშაული მალევე გამოისყიდა.

**კაცები. ნახევარფინალი:** **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია) — ალექს კორეტხა (ესპანეთი) 6:4, 6:4; **ჯეისონ სტოლტენბერგი** (ავსტრალია) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:2

**ფინალი:** **ჰიუიტი** — სტოლტენბერგი 6:4, 6:0

თუ გუშინ დაწყებულ ავსტრალიის ღია პირველობაზე განთესილ კაცებს ჰკითხავთ, ვისთან არ სურთ ყველაზე მეტად ადრეულ ეტაპზე შეხვედრა, თითქმის ყველასგან ლეიტონ ჰიუიტის სახელს გაიგონებთ.

18 წლის კიკინიანი ავსტრალიელი ორშაბათიდან კლასიფიკაციის ახალი სისტემით მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა და ჯერჯერობით სეზონში გამართული ათივე მატჩი მოიგო. იგი პირველი ჩოგბურთელია როდ ლეივერის შემდეგ (1972-ში), რომელმაც ახალი სეზონი ორი ტიტულის მოპოვებით დაიწყო (ერთი კვირის წინ ჰიუიტმა ადელაიდის ტურნირი მოიგო).

„იგი მე ახალგაზრდა მაიკლ ჩანგს მაგონებს, რომელსაც შეეძლო დაუსრულებლად ერბინა და თითოეულ ბურთს დასწეოდა. მის ასაკში დაღლილობაზე არც კი ფიქრობენ, ამიტომ არ გამიკვირდება, ლეიტონი მელბურნში სულაც ჩემპიონი რომ გახდეს" — განაცხადა ამ ორ კვირაში ჰიუიტისგან ორჯერ ძლეულმა ვეტერანმა ჯეისონ სტოლტენბერგმა, რომელიც ფინალში უმცროს კოლეგას საათიც კი ვერ გაუძალიანდა.

თუმცა ერთ რამეში ჰიუიტი ნამდვილად შეცდა:

„სულელი ვარ. ჩემი მეგობარი სკოტ დრეიპერი 1:1000-ზე მენიძლავებოდა, რომ ორივე ტურნირს ვერ მოვიგებდი. რომ დავთანხმებოდი და ცოტა ფული მაინც დამედო, ალბათ, გავაკოტრებდი".

ოკლენდი. ახალი ზელანდია. „ჰაინეკენ ოუფენ". ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $

**ნახევარფინალი:** **მაგნუს ნორმანი** (2, შვედეთი) — გასტონ გაუდიო (ესპანეთი) 7:5, 6:4; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:3

**ფინალი:** **ნორმანი** — ჩანგი 3:6, 6:3, 7:5

ჰობარტი. ავსტრალია. ტასმანიის საერთაშორისო პირველობა. ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $

**ნახევარფინალი:** **ჩანდა რუბინი** (4, აშშ) — ემი ფრეზერი (1, აშშ) 6:1, 6:2; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — მარია ალეხანდა ვენტო (ესპანეთი) 6:2, 6:3

**ფინალი:** **კლაისტერი** — რუბინი 2:6, 6:2, 6:2

16 წლის ბელგიელი ვუნდერკინდის, კიმ კლაისტერისთვის ეს უკვე კარიერის მეორე ტიტულია.

მელბურნი. ავსტრალია. „კუიონგ კლასიკი". „რიბაუნდეისი". საჩვენებელი ტურნირი

**ფინალი:** ანდრე აგასი — მარკ ფილიპუსისი. მატჩი ჩაიშალა ფილიპუსისის უარის გამო.

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტომარაძემ დებიუტითვე ტრიუმფი დაიბედა

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

ბათუმი. 15 იანვარი

**ბასკო 126:91 თსუ**

I ტაიმი 70:45
ბასკო: აბრამიძე (20), დავითულიანი (24), ბეჟანიშვილი (16), ქარაბაკი (16), ვ. კილაძე (21); ჭეიშვილი (17), კეშელავა (6), კვაჭაძე (6), ბერია, მაისურაძე
თსუ: წოწელია (28), ვეფხვაძე (9), მარკოიშვილი (30), არსიაშვილი (4), ვ. აბულაძე (4); გ. ბერუაშვილი, მგალობლიშვილი (11), სანიკიძე, გელაშვილი (5)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: აკაკი მეგრელაძე

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

რა დღე იყო 2000 წლის 15 იანვარი? რა და ბედობის დღე. ჰოდა, გამოდის, რომ „ბასკომ" თსუ-ს ძლევით ახალ წელიწადშიც მოგებები დაიბედა. ეს კი, ჩემპიონატის ცხრილის შემხედვარე, სულაც არ იქნება გასაკვირი ამბავი. სხვა მხრივადაც იყო გამორჩეული გასული შაბათი. „ბასკომ" ხომ პირველად ითამაშა ზურაბ ტომარაძის თავკაცობით. თუ ბედობაა, ერთსაც დავძენთ — ბატონი ზურაბი საქართველოს ნაკრებსაც უდგას სათავეში და იმედი ვიქონიოთ, რომ მისი თავკაცობით, წლეულს ჩვენს უპირველეს გუნდსაც სულ წარმატებები დაებედება.

თამაში ორივე გუნდმა ერთობ აქტიურად დაიწყო. მარკოიშვილის შედეგიან სროლას მასპინძლებმა უმალ უპასუხეს, კილაძის და აბრამიძის გამოისობით კი, წინაც გავიდნენ. თუმცა, ლაღად მოთამაშე მარკოიშვილმა, პირველი სამქულიანით (ასეთი მას ხუთი გამოუვიდა) წონასწორობა აღადგინა. აქ კი, ქარაბაკმა თქვა თავისი სიტყვა და მის წინააღმდეგ მეტოქემ ვერაფერი გააწყო. დროის მცირე მონაკვეთში მან 14 ქულის ჩაგდება მოასწრო და „ბასკოც" წინ გაიჭრა — 22:12.

სტუდენტთა მწვრთნელებმა საფრთხე იგრძნეს და წუთშესვენებაც აიღეს. ამან თითქოს შედეგიც გამოიღო და კვლავ მარკოიშვილის და წოწელიას თაოსნობით, სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა. ამას ქარაბაქის მსუბუქი ტრავმაც დაემატა, მაგრამ მის ნაცვლად შესულმა ჭეიშვილმა ფარი მთლიანად დაიპყრო. მასპინძელთა უპირატესობა, სწორედ ფარზე თამაშისას იყო თვალსაჩინო. ამას სტუმრები მხოლოდ საშუალო და შორი მანძილებიდან სროლებს უპირისპირებდნენ.

ამასობაში ტომარაძემ აქცენტი მეორე შემადგენლობაზე გააკეთა და ამან გაუმართლა კიდეც. შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე ანგარიში 43:37 იყო. აქედან სამწუთიანი მონაკვეთი ზღვისპირელებმა პირწმინდად მოიგეს. მათ მიერ მოპოვებულ 15 ქულას, მეტოქემ ერთითაც ვერ უპასუხა.

ტაიმის ბოლო წუთებში თამაშის ხასიათი დიდად არ შეცვლილა, და ტაიმიც 70:45 მორჩა. 70 ქულა ერთ ტაიმს კი არა, ზოგჯერ მთელ თამაშს ჰყოფნის. „ბასკოს" ასეთ შედეგიანობას, სტუმართა უნიათო დაცვამ შეუწყო ხელი. განსაკუთრებით ფარის მისადგომებზე იგრძნობოდა მათი უსუსურობა, სადაც ჭეიშვილი და კილაძე რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ.

აშკარაა ჭეიშვილის პროგრესი. მას პირველ წრეში იშვიათად ათამაშებდნენ, მაგრამ ტომარაძემ ეტყობა ალლო აუღო ნაკლებად მოძრავი თავდამსხმელის თამაშის მანერას და ამით გამოკვეთილი ცენტრის არყოლის პრობლემის გადაჭრასაც შეეცდება.

მეორე ტაიმი თავიდანვე ფორმალობადლა იქცა. ერთი ეგ არის, რომ „ბასკო" მაყურებელზე ათამაშდა და უამრავი ლამაზი ეპიზოდიც აჩუქა ზღვისპირელ ქომაგს. სტუდენტთაგან ისევ და ისევ მარკოიშვილი არ ცხრებოდა. მას არც წოწელია ჩამორჩა და მთლიანობაში ისეთი ლაღი, გახსნილი თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული.

ასეთ თამაშშიც დომინირებდა „ბასკო" და ტაიმის შუაწელისთვის ასქულიან ზღვარსაც მიაღწია, მაშინ როცა თსუ-ს მონაგარი მხოლოდ 65 ქულა იყო. ამ მომენტიდან ზღვისპირელები ცოტათი მოეშვნენ, რითაც მეტოქემ ისარგებლა და სხვაობა ცოტათი შემცირდა. თუმცა, სირენამდე ხუთი წუთით ადრე, მოედანზე ბათუმელი ირაკლი მაისურაძე გამოვიდა. მან თამაში დაალაგა და აბრამიძემაც შეტევებისთვის მოიცალა. მამუკას რამდენიმე ზუსტ სროლას, ჭეიშვილის ფართან ნაყოფიერი გარჯა მოჰყვა. მატჩის ბოლო აკორდი კი, მაისურაძე — დავითულიანის საფირმო კომბინაცია გახლდათ, რომელიც ამ უკანასკნელმა ეფექტურად, ერთი შეხებით ჩატენა სტუმართა კალათში და თამაშიც ამით მორჩა.



გორი — სტუ 53:104. გორელი გიორგი ფსუტური (ბურთით) და ვასილ ოთიურიძე

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

ვერის ბაღი. 16 იანვარი

**ასკ 87:95 დინამო**

I ტაიმი 47:52
ასკ: მარხვაშვილი (29), ნათობაძე (11), ღვინაშვილი (7), ფანჯიკიძე (6), ბახტაძე (18); ზანგურაშვილი (14), ფიცხელაური (2)
დინამო: ნიკოლაძე (42), ორდენიძე (12), ახვლედიანი (12), ბათხაძე (2), ზერეკიძე (16); მეგრელიშვილი (2), ენდელაძე, ყველაშვილი (9)
მსაჯები: ლაშა თოიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

ვერის ბაღი. 16 იანვარი

**გორი 53:104 სტუ**

I ტაიმი 20:53
გორი: ნინოშვილი (25), დ. იაშვილი (14), ლოლიშვილი (8), ფსუტური (2), აბრამაშვილი (2); კურტანიძე (2)
სტუ: თორთლაძე (10), მოისწრაფიშვილი (4), ჩუბინიძე (12), ორმოცაძე (10), ოთიურიძე (14); ტულუში (13), კორძაძე (5), მდივანი (4), სულაძე (1), მინაშვილი (8), მიქაძე (6), ლოსაბერიძე (17)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

რუსთავი. 16 იანვარი

**აზოტი 91:76 ვითა**

I ტაიმი 38:39
აზოტი: ქლენტი (17), გოგობერიშვილი (14), ჩხეიძე (17), ბაბიაშვილი (23), ბერუაშვილი (12); ჩაჩუა (6), წიკლაური (2), ჯიმშელეიშვილი
ვითა: უსტიაშვილი (4), ტურაშვილი (17), კოკოლიშვილი (7), შანიძე (16), ახალკაცი (6); გ. გაგნიძე (16), ქევხიშვილი (7), ვაშაკიძე (3)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან**

როგორც ჩანს, „ვითას" მზე საბოლოოდ ჩაესვენა. შვიდგზის ჩემპიონი ინერციითღა აგრძელებს სვლას. წინა ტურში სდასუ-სთან მარცხს „ვითამ" „აზოტთან" წაგებაც მოაყოლა. ეს დაღმასვლა მოულოდნელი არ ყოფილა, თუნდაც იმიტომ, რომ გუნდს თავისი საჩემპიონო შემადგენლობიდან ნახევარი დაეფანტა, მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემაც პირველი წრის მიწურულს კარიერის გაგრძელება ბათუმში არჩია, სულ ახლახან კი დაცვაში სანაქებო თამაშით ცნობილი ირაკლი ბაქრაძეც შეუერთდა მწვრთნელსა და თავის ორ ყოფილ თანაგუნდელს — აბრამიძეს და დავითულიანს. ასე რომ, ამ ხალხთან ერთად საჩემპიონო ამბიციებმა დედაქალაქიდან პროვინციაში გადაინაცვლა და ზურაბ ტომარაძე ახალ (და ძველ) შეგირდებთან ერთად ბათუმში ჭედავს საჩემპიონო გუნდს. „ვითამ" კი.. „ვითამ" რუსთავში თხუთმეტი ქულით წააგო, მაშინ, როცა ეს მატჩი შეიძლებოდა სულ სხვაგვარად დასრულებულიყო.

და მაინც, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, „ვითა", დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე ტიტულიანი გუნდი კალათბურთში, დღესაც უხერხულ მეტოქედ ჩაითვლება ნებისმიერი მოწინააღმდეგისათვის და ამაში რუსთავული მატჩის მნახველიც იოლად დარწმუნდებოდა. მართალია, პირველ წრეში გამარჯვება თბილისელებს დარჩათ, მაგრამ ფავორიტად მაინც „აზოტი" მიიჩნეოდა, სხვა თუ არაფერი, რუსთაველები შინ თამაშობდნენ. მაგრამ „ვითამ" მაინც იბრძოლა და მაყურებელმაც ძირითადად თანაბარი პაექრობა იხილა.

ანგარიში რუსთაველთა გამოცდილმა ცენტრმა მიხეილ ბერუაშვილმა გახსნა ორი საჯარიმოთი, მანვე მიითვალა „აზოტის" მორიგი ორი ქულა, მანამდე კი ვითელმა ნუგზარ კოკოლიშვილმა სამქულიანი დისტანციიდან ივარგა. აღსანიშნავია, რომ იგი რუსთაველთა კალათს იშვიათად უტევდა, არადა, შარშანდელ ფინალში მისმა ზუსტმა სამიანებმა რუსთაველებს ბევრი პრობლემა შეუქმნა და მისი თავგამოდება, ცხადია, ჩემპიონს ახლაც წაადგებოდა. ეს, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ვითელ სნაიპერს საკმაოდ კარგად მეურვეობდა ისრაელმოვლილი რეზო ჩხეიძე. სამაგიეროდ, აქტიურობდნენ სტუმართა ვეტერანი გამთამაშებელი უსტიაშვილი და ახალგაზრდა თავდამსხმელი შანიძე. ამ უკანასკნელმა ერთ შეტევაში სამი ქულა მოუტანა თავისიანებს და „ვითა" 12:8 დაწინაურდა. მასპინძლებს გაქვითვა არ გასჭირვებიათ — ჩხეიძემ პირველი ბურთი ჩააგდო და 16:16. მატჩის დაძაბულობაზე ისიც მეტყველებს, რომ მეტოქეები ერთმანეთს ექვს ქულაზე მეტით ვერ გაექცნენ, ბოლო ათ წუთს თუ არ ჩავთვლით, ლიდერიც უამრავჯერ შეიცვალა.

და მაინც, პირველ ნახევარში უფრო სტუმრები დომინირებდნენ. მათ შეტევებს რიგიანად უძღვებოდა მრავალნაცადი ტურაშვილი და ტაიმიც, მართალია, მხოლოდ ერთი ქულით, მაგრამ „ვითამ" მოიგო.

ნაკლებად გამოირჩეოდა რუსთაველთა ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი. ეს ნამდვილად არ იყო მისი საუკეთესო შეხვედრა. რადგან რამაზი მოიკოჭლებდა, ლიდერობას რიგრიგობით თაობდნენ ქლენტი, ბაბიაშვილი და ჩხეიძე. მეორე ტაიმიც თანაბარი ბრძოლით დაიწყო, მაგრამ „აზოტს" წინ გასვლა მაინც არ გასჭირვებია. ბაბიაშვილმა ჯერ გოგობერიშვილის, შემდეგ კი ბერუაშვილის ნასროლს დაამატა და „აზოტი" 48:44 დაწინაურდა. მერე კი ჩხეიძის ჯერიც დადგა. ჩხირომ ლიდერობა იტვირთა, ან თვითონ აგდებდა ფარქვეშიდან, ანაც იოლად პოულობდა ფარს გარეთ მარტო მყოფ პარტნიორებს. მასპინძლებიც ხუთი ქულით გაიჭრნენ წინ. „ვითა" არ ცხრებოდა, ტურაშვილმა გაიბრძოლა და წინ კვლავ ჩემპიონია — 55:54. აქ კი სტუმრებს რისხვად დაატყდა თავს არჩილ ქლენტი. რუსთაველთა გამთამაშებელმა, მართალია, ორი საჯარიმო ააცილა, მაგრამ ბურთი თვითონვე მოხსნა, ჩააგდო და ერთი საჯარიმოც დაამატა. ამას ერთი სამიანი მიაყოლა, შემდეგ კი ფარქვეშ ჩაჩუას პასი მიაწოდა და მასპინძლები მეტოქეს ოთხი ქულით გაექცნენ. მალე სხვაობამ რვა ქულასაც მიაღწია — 72:64. „ვითამ" ბოლოჯერ სცადა, თავისთვის ეშველა და ექვსი ქულა გაქვითა, თუმც მასპინძლებს სულზე მიუსწრო გოგობერიშვილის სამიანმა — 75:70. მერე კი ცალფარა თამაში წავიდა. აზოტელები სტუმართა მოშლილი დაცვის ჯებირს იოლად არღვევდნენ, არც დაცვაში მისდიოდათ საქმე ცუდად. ჩხეიძის საჯარიმოს შემდეგ ანგარიში 82:70 გახდა და მაშინ, როცა მატჩის დამთავრებამდე ორი წუთი დარჩა, სტუმართა ლიდერ მამუკა ტურაშვილს ნერვებმა უმტყუნა. მამუკა მთელი მატჩის განმავლობაში ედავებოდა ქუთაისელ მსაჯებს, რომელთაც, ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალა აევსოთ და ვითელთა წინამძღოლის თამაშიც აქ დასრულდა. ვითელები მოედანზე ოთხი კალათბურთელის ამარა დარჩნენ, რადგან მეტი სათადარიგო აღარ ჰყავდათ. ტექნიკური საჯარიმოს შემდეგ, რომლითაც რუსთაველებმა მშვენივრად ისარგებლეს, თამაშმა აზრი საერთოდ დაკარგა და ბოლო ორი წუთი მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა. სათქმელი მხოლოდ ისღაა, რომ ჩემპიონსა და ვიცეჩემპიონს შორის სხვაობამ 21 ქულას უწია 91:70. შემდეგ „ვითამ" ორი სამქულიანი ჩააგდო და მასპინძლებს ნასროლების დაფარება არც უცდიათ.

**გიორგი ბიკაშვილი**

უმთავრესმა საკალათბურთო მოვლენებმა ამჯერად დედაქალაქს გვერდი უქცია და ვერის ბაღიც ამ უქმეებზე ულიმღამო და უმოტივაციო შეხვედრათა ამარა დაგვირჩა. განსაკუთრებით მოსაწყენი გამოდგა კვირადღე, რომლის მეორე მატჩი, „გორი" — სტუ, სრულიად ფორმალური გახლდათ. „დინამო" — ასკ-ს დაპირისპირებაც თავისთავად ვერ მოექცეოდა ყურადღების ცენტრში, რადგან ამ გუნდებმა კარგა ხანია, გადაწყვიტეს თავიანთი ბედი მეთერთმეტე ეროვნულში.

„გორი" — სტუ-ს საბოლოო ანგარიშის შემხედვარენი დამერწმუნებით, რომ ამ მატჩზე მოსათხრობი არაფერია. სრულიად განსხვავებული მიზნის, კლასისა და გაქანების გუნდები წარსდგნენ ერთმანეთის წინაშე და ყველაფერიც მალე გაცხადდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კარგი ვარჯიში გამოუვიდა ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-ს, რომელიც დიდი უპირატესობის მიუხედავად ერთი წუთითაც არ მოდუნებულა. მანველიშვილისა და გრძელიშვილის არყოფნაში ექვსი კაცის იმედად დარჩენილი „გორი" კი, ადვილი მისახვედრია, ნამატჩევს რა ხასიათზე იქნებოდა..

სხვისი რა გითხრათ და პირადად მე ორ მოთამაშეს გამოვარჩევდი გუშინწინდელი დღიდან. აქ თავისთავად არ ვგულისხმობ არმიელთა დამარბეველ გიორგი ნიკოლაძეს (42 ქულა), რომელიც ერთადერთი ნათელი წერტილია დღევანდელ „დინამოში" და ამას კარგა ხანია, მივეჩვიეთ. სულ სხვებზე მოგახსენებთ, მსურს თქვენი ყურადღება დამარცხებული ასკ-ს კალათბურთელებზე მივაპყრო, მით უფრო, რომ ორივე მათგანი მეტისმეტად ახალგაზრდა და პერსპექტიულია.

თექვსმეტი წლის გიორგი მარხვაშვილის თამაშისთვის თვალი ადრეც გვიდევნებია და მისი ნიჭიერება ალგვინიშნავს კიდეც. გიორგიმ ეს მატჩიც ჩვეულ დონეზე ჩაატარა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თუ ხელს შეუწყობენ და ვარჯიშსაც სწორად წარმართავს, შესაძლოა ერთ-ერთ ძლიერ მოთამაშედ იქცეს ჩვენში. ფაქტი ერთიორად მისასალმებელია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართულ კალათბურთში, როგორც არასდროს, ისეთი სიმძაფრით წამოიჭრა გამთამაშებლის პრობლემა, მარხვაშვილი კი სწორედ ამ ამპლუის მოთამაშეა. მას, რა თქმა უნდა, ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს, თუმცა ალარავისთვისაა სადავო, რომ გიორგი სწორ, გამართულ კალათბურთს თამაშობს და თითქმის შეუმცდარად ერკვევა ამა თუ იმ სათამაშო სიტუაციაში.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა უკანა ხაზში მარხვაშვილთან შეწყვილებულმა დავით ზანგურაშვილმაც, რომელიც ასკ-ს ახალწვეულია და ამასთანავე თავის სადებიუტო მატჩს ატარებდა უმაღლეს ლიგაში. ჭკუა და გონება მის ნებისმიერ მოქმედებას თან სდევდა. დებიუტის კვალობაზე ზანგურაშვილი მეტად უშიშრად ირჯებოდა და ცალკეულ ეპიზოდებში ლიდერობასაც თაობდა. ყოველივე მისმა მწვრთნელმა, ვაჟა ჭოტაშვილმაც შენიშნა და თხუთმეტი წლის ყმაწვილს თავის გამოჩენის შესაძლებლობა მისცა.

ამ ორი კალათბურთელის კარგი თამაშის მიუხედავად, ასკ მაინც დამარცხდა, თუმც რომ არა მარხვაშვილი და ზანგურაშვილი, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა.

მთლიანობაში „დინამო" სჯობდა არმიულ კლუბს. თამაშის იშტაზე მოსულ გიორგი ნიკოლაძეს ორდენიძემ და ზერეკიძემაც შეაშველეს ხელი და შუაგული ტაიმისთვის „დინამო" თექვსმეტი ქულით დაწინაურდა — 36:20. სწორედ ამის შემდეგ ჩართო ჭოტაშვილმა თამაშში ზანგურაშვილი, რის შემდეგაც ასკ-ს შეტევები უფრო მიზანმიმართული გახდა. ჩამორჩენილი არმიელები დროდადრო უახლოვდებოდნენ „დინამოს" და პირველი ტაიმის ბოლო წამზე მარხვაშვილის ზუსტმა სამიანმა სხვაობა ხუთქულიანი გახადა.

მეორე ნახევარში არმიელებმა პირველ შეტევაზე ააწყვეს თამაში და სულ მალე ანგარიში მინიმუმამდეც შეამცირეს (52:51), თუმცა მერე „დინამომ" ზონურ დაცვას მიმართა და მწვრთნელთა ამ ტაქტიკურმა ხერხმა აშკარად გაამართლა. თავდასხმაში ნიკოლაძე ინდომებდა ძალიან და მისი ძალისხმევით „დინამომ" თერამეტი ქულით გადაუსწრო მეტოქეს. ყველა კითხვასაც სწორედ მაშინ გაეცა პასუხი...

საქართველოს ჩემპიონატი
# 13 ტური

ვერის ბალი. 15 იანვარი

### შევარდენი 86:88 სდასუ

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (7), აკოლაშვილი (20), შ. გაგნიძე (29), გიგაური (8), ნუცუბიძე (14); თაბუაშვილი (2), მაჭავარიანი (6)
**სდასუ:** ხოშტარია (24), გ. ჩხეიძე (9), უძილაური (21), ანდღულაძე (2), მაჭარაძე (11); არჩვაძე (9), ლ. აბულაძე (3), სუხიშვილი (9)
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

საქართველოს ჩემპიონატი
# 13 ტური

ვერის ბალი. 15 იანვარი

### სსუ 63:96 მაკაბი

I ტაიმი 38:47
**სსუ:** გ. ჟღენტი (2), ბ. ბერიშვილი (26), თოდუა (11), ლ. ვაშაკიძე (14), ბ. ქვილითაია (6); ლაცუზბაია, ფენდერავა, სორდია (4)
**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (26), კრიხელი (7), ტალაბაძე (25), ბ. ნოზაძე (15), ლასარეიშვილი (2); გვარაძე, შერაზადაშვილი (3), დავარაშვილი, ბ. ფიცხელაური, ზ. ჩაჩუა (2), ფერიაშვილი (16)
**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

როლანდ ლაბუჩიძე

მოედანზე გასული ნებისმიერი გუნდი გამარჯვებისთვის იბრძვის, მაგრამ „შევარდენი“ — სდასუ-ს შეხვედრაში საავიაციო ქარხნის წარმომადგენლებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს — უსაზღვრო იყო მათი შემართება და გამარჯვებისადმი სწრაფვა. მავანი იფიქრებს, ერთი კვირის წინ სტუ-სთან 30-ქულიანი წაგების (62:92) შემდეგ „შევარდენი“ ასე რამ გამოაცოცხლაო და მართალიც იქნება. ექვსეულს მიღმა მყოფი გუნდები ხომ ტრადიციულად (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ყურებჩამოყრილნი და ნირწამხდარნი ხვდებიან პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლთ, თორემ „შევარდენისთვის“ გამარჯვების და მით უმეტეს წინააღმდეგობის გაწევის უფლება არავის ჩამოურთმევია.

თავის მხრივ, მეორე წრის პირველი ტურის ტრიუმფატორმა სდასუ-მ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა გამარჯვებისთვის სამაგალითოდ მებრძოლ „შევარდენს“, რომ მარტო მონდომებით ფონს გასვლა ძალიან ძნელია და დასახული მიზნის მისაღწევად რაც შეიძლება დახვეწილი ოსტატობაა საჭირო.

სდასუ-ს გიგი ნაცვლიშვილის გარდა ყველა ჯანმრთელად ჰყავდა, ხოლო „შევარდენმა“ გია კაზანჯიანი მოისაკლისა გრიპის გამო, გიგაური და მაჭავარიანი კი ჯერაც ვერ გრძნობენ თავს კარგადო, ამბობდა მატჩის წინ „შევარდენის“ მთავარი მწვრთნელი გივი კოშკელოვი.

შეხვედრის პირველმა ნახევარმა სდასუ-ს ტრიუმფით ჩაიარა. სტუდენტთაგან კვლავ საუკეთესო იყო ირაკლი ხოშტარია. მსროლელი შოთა უძილაური მცირე შანსსაც კი არ უშვებდა ხელიდან, რათა მორიგი სამი ქულა შეემატებინა თავისი გუნდისთვის. ერთადერთი, ვისაც თამაში არ წაუვიდა, მალხაზ ანდღულაძე გახლდათ და იგი მალე გამთამაშებელ არჩვაძით შეცვალეს. საინტერესო დუელი გამართეს ცენტრებმა — შოთა მაჭარაძემ და ბექა ნუცუბიძემ. სდასუ-ს დამრიგებელი ძირითად ცენტრს ხშირად უნაცვლებდა ახალგაზრდა სუხიშვილს, ხოლო „შევარდენის“ ხელმძღვანელობა არც გამოცდილ ღვინეფაძეს უშვებდა მოედანზე და არც ახალგაზრდა თაბუაშვილს. როცა ფარქვეშ ეულად მებრძოლ ნუცუბიძეს მეორე ტაიმის ბოლო წუთებში 5 ჯარიმა დაუგროვდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, რომ სხვა ცენტრებიც ჰყავდათ გუნდში.

დღევანდელი „შევარდენის“ წამყვან ძალას გაგნიძე-აკოლაშვილი-ნუცუბიძის ტრიო წარმოადგენს, რომელიც ორი წლის წინ დაირღვა, როცა აკოლაშვილი და ნუცუბიძე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ამჯერად, აღნიშნული შეხვედრის პირველ ნახევარში ტრიოს დარღვევის მიზეზი ნუცუბიძე-გაგნიძის ერთმანეთთან უნებლიე შეჯახება იყო. მეგობრის თავით წარბგახეთქილმა შალვა გაგნიძემ ცოტა დაისვენა და მერე შემცვლელი მაჭავარიანის ადგილი დაიკავა მოედანზე, მაგრამ პირველი ნახევარი ისე ჩაილია, გონს მოსვლა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ გაორმაგებული ენერგიით შეება იგი მეტოქეს და 27 ქულაც შესძინა გუნდს, აქედან 18 — 6 ზუსტად შესრულებული სამქულიანი სროლის შედეგად. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „შევარდენმა“ მიზანმიმართულად დაიწყო ქულების გაქვითვა და მე-12 წუთის ბოლოს ერთი ქულით — 67:66 — მიუახლოვდა მეტოქეს. ხოშტარიას მიერ კიდევ უფრო დაწინაურებულ სტუდენტებს „შევარდენმა“ მორიგი შეტევისას დავით აკოლაშვილის ზუსტი სამქულიანით პირველად გაუთანაბრა — 69:69.

მოსეშვილის წუთშესვენების შემდეგ სდასუ-ს შეტევა სამქულიანით დაასრულა უძილაურმა — 72:69. მალე სტუდენტების კაპიტანმა ირაკლი ხოშტარიამ უჩვენა თანაგუნდელებს კარგი თამაშის მაგალითი და სდასუ უფრო წინ გავიდა — 74:69. მართალია, „შევარდენს“ ნუცუბიძე და ორჯონიკიძე გამოაკლდა ხუთი საჯარიმოს გამო, მაგრამ დამარცხებასთან უბრძოლველად შეგუებას სულაც არ აპირებდა. მათი იმედები კიდევ უფრო გაამყარა გაგნიძის ზუსტად შესრულებულმა სამქულიანმა, მაგრამ უდიდესი მონდომების მიუხედავად, ცენტრში ვერაფერი დაუპირისპირეს მადაზე მოსულ მაჭარაძეს, რომელმაც სულ რაღაც ერთი წუთის განმავლობაში 6 ქულის გაკეთება შეძლო. — 80:72.

მე-18 წუთიდან სდასუ-ს ლიდერობა მაჭარაძემ იკისრა, ხოლო „შევარდენი“ გაგნიძის და აკოლაშვილის სამქულიანებით ცდილობდა მატჩის გადარჩენას. როდესაც ბოლო წამებზე გიგაურმა ზუსტი სამქულიანით „შევარდენი“ ორი ქულით — 88:86 — მიუახლოვა მეტოქეს, შევარდენელთა ბანაკი ერთობ დაიძაბა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტოქის იერიშის მოგერიება შეძლეს: ტაბლოზე 6 წამი რჩებოდა. შეტევისთვის „შევარდენს“ 5 წამი ეყო, მაგრამ მისი დაგვირგვინება და ბურთის კალათში მოთავსება ვერ მოახერხა. ტაბლოზე ერთადერთი წამია დარჩენილი და სდასუ ვალდებულია, ბურთი თამაშში შეიყვანოს. კაპიტანმა ირაკლი ხოშტარიამ ტაბლოს შეხედა. ბურთი შორიახლო მდგომ კახა მაჭავარიანს გადააწოდა და მოედნიდან გავიდა. მოულოდნელობისგან დაბნეულმა მაჭავარიანმა ოდნავი შეყოვნების შემდეგ მაინც ესროლა და ჩააგდო კიდეც, რამაც „შევარდენის“ ფანობა სულ გადარია, ანგარიში გავათანაბრეთ და უძლიერესი დამატებითმა დრომ დაასახელოსო. მატჩის კომისარმა როლანდ ხომერიკმა კი შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: რადგან მაჭავარიანმა ბურთი მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ ესროლა, ბუნებრივია, ერთ წამში ვერ ჩაეტეოდაო და ანგარიში უცვლელი დატოვა.

ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერ სსუ-ს ტრადიციად ექცა — პირველ ნახევარში თავგამოდებით იბრძვის, შესვენების შემდეგ ცხოვრებაზე გულაყრილი და ხელჩაქნეული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე იყო „მაკაბისთან“ შეხვედრაშიც. მატჩის დასაწყისში დაწინაურებულ თბილისელებს მე-6 წუთის ბოლოს სსუ 12:7 უგებდა. საკმარისი იყო, ფერიაშვილი მოედანზე შესულიყო და სოხუმელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ტაიმის ბოლოს სსუ-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თამაში შეუძლია — მე-16 წუთისთვის, როდესაც 38:26 იყო „მაკაბის“ სასარგებლოდ, ბუბა ბერიშვილისა და რევაზ თოდუას აქტიური თამაშის შედეგად ორწუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგო, თუმც ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ დროში მაინც ცხრა ქულით ჩამორჩა მეტოქეს.

მეორე ნახევარში სსუ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობდა. ყველაზე მონდომებულმა და აქტიურმა ბუბა ბერიშვილმაც კი აიცრუა თამაშზე გული და სამქულიანებზე ვარჯიშით გაირთო თავი.

რეგულარული ჩემპიონატი

# ბერდი კვლავ ერჩის ლეიკერსს
# რეკორდს ყოველდღე ამხობენ




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — კლიპერსი. ლამარ ოდომმა (№7) და მაიკლ ოლოვოკანდიმ (მარჯვნივ) შუაში მოიქციეს იუტელი კარლ მელოუნი

14 იანვარი

**სიეტლი 91:85 სან ანტონიო**
სიეტლი: პეიტონი (25 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ბერი (12), პატერსონი (15), ბეიკერი (23 ქულა, 9 მოხსნა), გრანტი (2); ფოსტერი (6), პერსონი (6), დევისი (2), ლუისი
სან ანტონიო: ჯონსონი (4), ელი (6), ჯეკსონი (10), დანკანი (32 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (20); კერსი (6), დანიელსი (4), პორტერი (3), როუზი, უოლკერი

მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა „სიეტლ სუპერსონიქსმა“. ვოვა სტეფანიას გუნდმა თვით ჩემპიონი „სან ანტონიო“ დასცა. სამწუხაროდ, ჩვენებურის თამაში იმდენად იშვიათ მოვლენად იქცა, რომ ჩემპიონთან შეხვედრაში მისი მოედანზე გამოჩენა ნაკლებმოსალოდნელი იყო. საერთოდ, „სიეტლს“ მაინცდამაინც არ უყვარგა სათადარიგოები. მათ შორის მხოლოდ ვერნონ მაქსველის გამორჩევა შეიძლება. ამ ვეტერანს კი ტრავმა აქვს და შარშანდელს აქეთ არ უთამაშია. ასე რომ, „სუპერსონიქსის“ ხუთ ძირითადზე დიდი დატვირთვა მოდის და არცაა გასაკვირი, გუნდს ჩავარდნა დაეწყოს. თუმცა, სტეფანიას გუნდი ჯერჯერობით მშვენიერ ფორმაშია და ეს ჩემპიონთან შეხვედრამაც დაადასტურა. „სიეტლმა“ დამსახურებულად აჯობა „სან ანტონიოს“ და დასავლეთ კონფერენციაში ჩემპიონისთვის შეუფერებელ, მეექვსე ადგილზე ჩაანაცვლა. არადა, „სან ანტონიომ“ წინა შეხვედრაც წააგო დაახლოებით „სიეტლის“ დონის გუნდ „საკრამენტოსთან“, იქაც მცირე, სულ ოთხი ქულის სხვაობით. ასეთ შემთხვევაში ჩემპიონთა კრიზისზე საუბარი სულაც არ არის უადგილო. მშვენივრად ირჯება „სფურზის“ ახალგაზრდა ლიდერი ტიმ დანკანი. იგი საშუალოდ მატჩში 24,9 ქულას აგროვებს და ახლაც 32 შეაწია თავისიანებს. დანკანს კარგად წაეხმარა ვეტერანი დევიდ რობინსონი, მაგრამ სტუმრებს ვერც ამან უშველა.

„წყვილ კოშკად“ წოდებულ დანკანრობინსონის დუეტს იმედი ჰქონდა, რომ მასპინძელთა მაღლებს იოლად დაჩაგრავდნენ, მაგრამ ამაოდ. აქ მოულოდნელად მასპინძელთა თავდამსხმელმა, 211-სანტიმეტრიანმა ვინ ბეიკერმა გამოიღო ხელი. სიეტლელს ნამდვილად არ უჯობნია დანკანისთვის, მაგრამ მის მიერ მოპოვებული 23 ქულა ბევრ რამეზე მეტყველებს. ამ ზორბა კაცის სანაქებო გარჯა გუნდსაც დიდად წაეხმარა. ძირითადად სწორედ ბეიკერის დამსახურებაა, რომ „სიეტლმა“ პირველი მეოთხედი არც მეტი, არც ნაკლები, 17 ქულის სხვაობით მოუგო მრისხანე მეტოქეს და ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დანკანი და რობინსონი ბევრს ეცადნენ, მათი „სფურზი“ მაინც ვერ გაიმართა წელში. „სიეტლმა“ კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო.

14 იანვარი

**ფილადელფია 102:100 ორლანდო**
ფილადელფია: აივერსონი (35)
ორლანდო: დოლეი (18 ქულა, 13 მოხსნა), გეტლინგი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**ტორონტო 115:110 მილუოკი**
ტორონტო: კარტერი (47)
მილუოკი: რობინსონი (37), ალენი (25), კასელი (24 ქულა, 10 პასი)

**ინდიანა 111:102 ლეიკერსი**
ინდიანა: მილერი (22), როუზი (19)
ლეიკერსი: რაისი (23), ონილი (22 ქულა, 14 მოხსნა)

**დეტროიტი 105:98 ვაშინგტონი**
დეტროიტი: სტეკჰაუზი (32), ჰილი (30)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (29), ჰოვარდი (20)

**ჩიკაგო: 83:89 ატლანტა**
ჩიკაგო: კუკოჩი (19)
ატლანტა: რაიდერი (24)

**დენვერი 87:92 მაიამი**
დენვერი: მაკდაიესი (26 ქულა, 15 მოხსნა)
მაიამი: მურნინგი (28 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება), ლენარდი (24)

**ვანკუვერი 80:82 კლივლენდი**
ვანკუვერი: დიკერსონი (23)
კლივლენდი: კემპი (24 ქულა, 11 მოხსნა)

**ფინიქსი 83:105 პორტლენდი**
ფინიქსი: რობინსონი (23)
პორტლენდი: საბონისი (23 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (22)

ტორონტო რეპტორზის“ სუპერვარსკვლავ ვინს კარტერს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული სიდნეის ოლიმპიადაზე თამაში და დარწმუნებულიც იყო, რომ ამერიკის ნაკრებში უპრობლემოდ მოხვდებოდა, მაგრამ სულ რამდენიმე ხნის წინ ნაკრების ვაკანტური ადგილი კარტერის ნაცვლად მილუოკელმა რეი ალენმა დაიკავა და ალბათ ტორონტოელს უპირველესი მტერი შეიქმნა. და აი, 14 იანვარს „მილუოკი“ ტორონტოში ჩავიდა. იქ კი კარტერის სამფლობელოა და ყმაწვილმა მასპინძელმაც თამაშში არნახული ენერგია ჩააქსოვა, რომელსაც დიდი სიძულვილი კვებავდა. ყველაფერია იმით ნათქვამი, რომ მფრინავმა ვინსმა 47 ქულა გააკეთა, ეს კი მთლიანად ამ სეზონის რეკორდია. იგი საკმაოდ ზუსტად ისროდა, 35-დან 20 სროლა ჩააგდო, ანკი როგორ ააცდენდა, როცა ქულათა დიდი ნაწილი ჩატენვებით მოიპოვა. ამასთან, მან სამივე ნასროლი სამქულიანი ჩააგდო და ოთხივე საჯარიმო გამოიყენა. უფრო მშვიდობისმოყვარე ოლიმპიელდი რეი ალენი 25 ქულას. ალენმა ისიც დაიჩივლა, მალულად იდაყვებსაც მირტყამდნენ და აკი რამდენჯერმე კიდეც წამაქციესო. „მილუოკი“ მაინც კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და სულ ხუთი ქულის სხვაობით დათმო. ეს იყო ომის ტოლფასი შეხვედრა. სამაგიეროდ, მეორე დღეს ეს გუნდები უკვე მილუოკიში შეერკინნენ ერთმანეთს. აქ ალენმა და მისმა გუნდმა აშკარად აჯობეს მეტოქეს და ჯავრიც ამოიყარეს. სტუმრად კარტერი 24 ქულით შემოიფარგლა.

გადარეული „ლეიკერსის“ შეჩერება, ისევე როგორც 80-იან წლებში, ისევ ლარი ბერდმა მოახერხა. მისმა „ინდიანამ“ შინ დიდ ბრძოლაში დასცა მეტოქე და აღარ მისცა საშუალება, ზედიზედ მეჩვიდმეტე მატჩი მოეგო. „ლეიკერსის“ ძლევამოსილი სერია მეჩვიდმეტე მატჩზე რომ არ შეწყვეტილიყო და კალიფორნიელებს კიდევ ორი მიემატებინათ, იმ გუნდთა მარაქაში გაერეოდნენ, ვისაც ზედიზედ თვრამეტი მატჩი მოუგია. ასეთი კი სულ ხუთია. ისე, კლუბი დიდად არ უნდა დარდობდეს, რადგან ზედიზედ 18 მატჩის მოგება სულაც არაა საუკეთესო მიღწევა. სამ გუნდს მოუგია უფრო მეტი შეხვედრა, 1971-72 წლების სეზონში კი ჯერი ვესტისა და უილტ ჩემბერლენის „ლეიკერსმა“ ზეიდზედ არც მეტი, არც ნაკლები 33 მატჩში დასცა მეტოქე და კლუბის ისედაც მდიდარ ისტორიას ერთი ლამაზი ფურცელი შეჰმატა.

15 იანვარი

**ვაშინგტონი 107:112 დეტროიტი**
ვაშინგტონი: სტრიკლენდი (27)
დეტროიტი: ჰილი (39), სტეკჰაუზი (27)

**ატლანტა 98:101 ფილადელფია**
ატლანტა: რაიდერი (35)
ფილადელფია: აივერსონი (31), გეიგერი (22)

**ნიუ ჯერსი 96:99 ბოსტონი**
ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (20 ქულა, 11 მოხსნა), კიტლზი (20)
ბოსტონი: უოლკერი (39 ქულა, 11 მოხსნა)

**ორლანდო 89:96 ინდიანა**
ორლანდო: აბდულ-ვაჰადი (18)
ინდიანა: კროშერი (14)

**დალასი 113:105 პორტლენდი**
დალასი: ფინლი (32), დევისი (12)
პორტლენდი: პიპენი (22)

**მინესოტა 91:104 ლეიკერსი**
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 10 მოხსნა), ბრენდონი (21)
ლეიკერსი: ონილი (26 ქულა, 19 მოხსნა, 7 პასი, 5 დაფარება), ბრაიანტი (22)

**ნიუ იორკი 91:79 შარლოტი**
ნიუ იორკი: სპრიუელი (20)
შარლოტი: ჯონსი (23)

**ჩიკაგო 90:93 ჰიუსტონი**
ჩიკაგო: კუკოჩი (29)
ჰიუსტონი: ფრენსისი (27 ქულა, 11 პასი)

**მილუოკი 118:97 ტორონტო**
მილუოკი: ალენი (33), კასელი (24), ტომასი (20)
ტორონტო: კრისტი (31), კარტერი (24)

**იუტა 112:75 კლიპერსი**
იუტა: მელოუნი (24)
კლიპერსი: ანდერსონი (18), ოლოვოკანდი (18)

**გოლდენ სტეიტი 99:114 საკრამენტო**
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (23)
საკრამენტო: ვებერი (37 ქულა, 16 მოხსნა), ვილიამსონი (23)

16 იანვარი

**საკრამენტო 113:102 კლივლენდი**
საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), ვილიამსი (20 ქულა, 10 პასი)
კლივლენდი: კემპი (20)

**ვანკუვერი 83:94 მაიამი**
ვანკუვერი: დიკერსონი (23), აბდურ-რაჰიმი (20)
მაიამი: მურნინგი (27 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება)

**ფინიქსი 113:100 დენვერი**
ფინიქსი: რობინსონი (50)
დენვერი: მერსერი (25)

14 იანვარს ტორონტოელმა ვინს კარტერმა „მილუოკის“ 47 ქულა ჩაუგდო და მიმდინარე სეზონის ლიგის რეკორდი, რომელიც ტიმ დანკანს ეკუთვნოდა, ერთი ქულით გააუმჯობესა. კარტერის რეკორდმა მხოლოდ ორი დღე იარსება. იგი ფინიქსელმა კლიფ რობინსონმა დაამხო, რომელმაც „დენვერთან“ მატჩში 50 ქულა დააგროვა. „ფინიქსის“ დარბაზი, „ამერიკა ვესტ არენა“, რვა წელია, არსებობს და ასობით რეგულარული სეზონის მატჩისთვის უმასპინძლია, მაგრამ ასეთ რამეს არ მოსწრებია. 1994 წლის 3 აპრილს კევინ ჯონსონმა 42 ქულა ჩააგდო, რობინსონმა კი, როგორც ხედავთ, მის შედეგს რვით გადააჭარბა. ცხადია, 50 ქულა რობინსონის კარიერის რეკორდია. თურმე რობინსონს იმად გამოუდვია თავი, რომ მას 32 ქულა სჭირდებოდა და კარიერაში 13 000 ქულას აგროვებდა. იმ მატჩის გმირმა საცოდავ „დენვერს“ უკვე პირველ მეოთხედში ჩაუგდო 23 („ფინიქსის“ ყველა დროის რეკორდი) და არც მერე მდგარა უქმად.

ირაკლი ფირაშვილი

REUTERS ლონდონიდან



ჰითროუს აეროპორტში მაიკ ტაისონს ჟურნალისტთა და პოლიციელთა არმია დახვდა

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მისტერ ტაისონ!

ბრიტანეთის საშინაო ოფისის თავკაცმა ჯეკ სტროუმ მაიკ ტაისონს ქვეყანაში შესვლის ნება დართო და რკინის მაიკიც ინგლისში ჩამოფრინდა. ასეთი ჩამოფრენა არ მინახავსო, თქვა პრომოუტერმა ფრენკ უორენმა. უფრო სწორად, არ მინახავს, ინგლისში ასე დახვედროდნენ უცხოელ მოკრივესო.

ჰითროუს აეროპორტში დაცვის ასამდე მუშაკი და პირად მცველთა ოცეული უკაფავდა გზას ლიმუზინისკენ მაიკ ტაისონს. ოთხასამდე რეპორტიორი და უზარმაზარი ბრბო გიჟმაჟ ამერიკელს გასაქანს არ აძლევდა. ქალთა ორგანიზაციების ძახილი ამ შემთხვევაში აღარ ისმოდა, ტაისონი ბრიტანეთში ჩამვიდა!

კიდევ ერთი სიურპრიზი ტაისონს ცენტრალურ ლონდონში ელოდა — სასტუმროსთან მას ათასობით ფანი შეეგება წივილ-კივილით.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ იმავე რეისით ინგლისში განთქმული მამათმავალი მომღერალი ჯორჯ მაიკლიც ჩაფრინდა და ბრბოს პირველი სწორედ ის შეეფეთა. თუმცა, ხალხს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

განთქმულმა ინგლისურმა ტოტალიზატორებმა უკვე გამოაქვეყნეს ტაისონ-ჯულიუს ფრენსისის ორთაბრძოლის ფსონი. ტაისონი აშკარა ფავორიტია: 16-1-ზე. თუ პირველ რაუნდში მოიგებს ნოკაუტით, მაშინ ფსონი — 6-1-ზე იქნება. ფრენსისის ნოკაუტი კი 100-ით 1-ზე ფასდება.

# სევდიანი ჩემპიონი

ნიუ იორკის „რადიო სიტი მიუზიკ ჰოლის“ სამოცდაშვიდწლიან ისტორიაში იქ პირველად ჩატარდა საკრივო ორთაბრძოლა. საშუალო წონის მეფემ და მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ, როი ჯონსმა თავისი ტიტულები დევიდ ტელესკოს ხელყოფისგან დაიცვა.

ნოკაუტი არ ყოფილა. უბრალოდ, სამივე მსაჯმა ჯონსის მცირე უპირატესობა აღნიშნა.

ჯონსს თავი არ მოუკლავს. ტელესკოსთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ კაცს თავის წონაში ინტერესი აღარაფრისა აქვს და არც ღირსეული მოწინააღმდეგე შერჩენია.

ტელესკომ კი იძახა, გამარჯვებისთვის ყველაფერი ვილონეო, მაგრამ ჯონსმა იქვე გადაასხა ცივი წყალი, მეტად ზერელედ ვივარჯიშე და ბრძოლაშიც ჩემი შესაძლებლობების ოდენ 60 პროცენტი ვუჩვენე, მეტი საჭირო არ იყოო.

ბრძოლის ყველაზე დრამატულ მომენტად მეთერთმეტე რაუნდი უნდა მივიჩნიოთ, როცა ჯონსმა ძალუმად შეუტია, ტელესკომ კი შეჰყვირა, მაინც ვერ დამაგდებო.

დაგდება მდომებოდაო, იცინოდა ბრძოლის შემდეგ ჯონსი.

REUTERS ნიუ იორკიდან



როი ჯონსმა (მარჯვნივ) დევიდ ტელესკოს ცალი ხელით მოუგო

# უყვარათ ბურთაობა ძმურად

ევროპის თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო ტური ამ უქმეებზე გაიმართა. თითქმის ყველა მატჩი ძალიან საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ზოგან ისეც მოხდა, რომ თამაშის ბედი ბოლო წუთებზე შეტრიალდა. შვიდ შეხვედრაში სტუმრებმა იმარჯვეს, რაც ერთობ მოულოდნელი იყო. ჯგუფიდან დაუმარცხებლად ვერც ერთი გუნდი ვერ გავიდა. ამისგან თავის დაღწევა ბოლო ტურის წინ „ტულუზს“, „უოსპსს“ და „მანსტერს“ შეეძლოთ, მაგრამ სამივემ წააგო.

მეოთხედფინალში ყველაზე მეტი — სამი წარმომადგენელი საფრანგეთს ეყოლება. ინგლისს და უელსს ორ-ორი გუნდი „გაუვიდათ“ შემდეგ ეტაპზე, ირლანდიას კი — ერთი. „ტულუზმა“, მარცხის მიუხედავად, საუკეთესო პირველადგილოსნობა მოიპოვა და მეოთხედფინალის ერთადერთ მატჩში „მონფერანს“ უმასპინძლებს. შინაური კედლების იმედი ექნებათ „ნორტჰემპტონს“, „მანსტერს“ და „ლიანელისაც“, რომელმაც „უოსპსს“ ურთიერთშეხვედრებში ქულით მეტი აართვა და ამის ხარჯზე მოიტოვა უკან.

I ჯგუფში აქამდე ჩატარებულ ხუთ ტურში ყველა შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით მთავრდებოდა, მაგრამ ჯგუფური ტურნირის დასრულებისას ამ ტრადიციასაც ბოლო მოეღო. სტუმრებმა ორივე მატჩში იმარჯვეს. ფრანგებმა შოტლანდიელებს პირველ ტაიმში სამი ლელო გაუტანეს. აქედან ორი „მამლების“ „პატარა“ ფრთის, კრისტოფ დომინისის ანგარიშზეა, რომელმაც მსოფლიოს თასის ნახევარფინალში ახალზელანდიელთა ეგზომ ნაქებ დაცვასაც კი ბდღვირი ადინა. სკოტებმა საპასუხოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს და შესვენებაზე 9-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ — 10:19. მეორე ნახევარში ფრანგებს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ და უაიტის ლელოს კიდევ ერთმა „მამალმა“, დე ვილიემ გასცა პასუხი, დომინგესმა ორი საჯარიმო დარტყმაც ზუსტად შეასრულა და „სტად ფრანსემ“ ერთ-ერთი მეოთხედფინალი მაინც იხსნა ძმათამკვლელი ომისგან. ასე რომ არ მომხდარიყო, პირველ ადგილზე ირლანდიური „ლენსტერი“ გავიდოდა, რომელმაც ფარელის ზუსტი დარტყმების წყალობით სტუმრად ინგლისური „ლესტერი“ დაჯაბნა. ჰოდა, ფრანგულ, უელსურ და ინგლისურ მეოთხედფინალებს ირლანდიურიც შეემატებოდა.

ტურის მთავარი სენსაცია II ჯგუფში მოხდა, სადაც „ტულუზმა“ შინ „ბათთან“ წააგო. არა, „ბათი“ 1998 წელს ევროპის თასსაც ფლობდა და საკმაოდ ძლიერიცაა, მაგრამ ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, „ტულუზის“ მომგები მაინც არ უნდა იყოს. ეტყობა, ფრანგებმა მთელი მონდომებით არ იბრძოლეს. მათ მხოლოდ იმაზე იზრუნეს, რაც შეიძლება ნაკლები ლელო გაეშვათ და მეოთხედფინალისკენ გზა თანამემამულე „მონფერანს“ გაუხსნეს. ამ ფრანგულმა კლუბმა „ბათს“ მეტი გატანილი ლელოს (19:14) წყალობით გამოგლიჯა ხელიდან ერთ-ერთი საუკეთესო მეორეადგილოსნობა. მეორე მატჩი საინტერესო არ ყოფილა. იტალიელებმა ბევრი კი იბრძოლეს და სამი ლელოც გაიტანეს, მაგრამ ზედიზედ მეექვსე მარცხს ვერ გადაურჩნენ.

III ჯგუფში „ლიანელი“ და „უოსპსი“ პირველი ადგილისთვის შეებნენ ერთმანეთს. პირველ მატჩში 9 ქულით გამარჯვებული ინგლისელების გასასწორებად უელსელებს ათქულიანი უპირატესობა სჭირდებოდათ. მათ ამოცანას ჩინებულად გაართვეს თავი: ტაიმები ხუთ-ხუთი ქულით მოიგეს, თანაც ორივე ორმოცწუთეულში ორ-ორი ლელო გაიტანეს, თითო-თითო კი გაუშვეს და 25:15 გაიმარჯვეს. ევროპის თასის წინა გათამაშების ტრიუმფატორი, ირლანდიის „ოლსტერი“ კი კვლავ დამარცხდა, თუმცა შესვენებამდე ფრანგულ „ბურგუენს“ 16:10 უგებდა.

ყველაზე უხვლელოიანი IV ჯგუფის თამაშები გამოდგა. „მანსტერს“, როგორც იქნა, შეაწყვეტინეს მოგებათა სერია. ეს შეძლო ჯგუფის მაჩანჩალა „პონტიპრიდმა“, რომელმაც მეტად დაძაბულ და ლამაზ თამაშში ორადორი ქულით აჯობა ირლანდიურ კლუბს. აი, „სარასენსმა“ კი არათუ აჯობა, არამედ მიწასთან გაასწორა „კოლომიე“.

ინგლისელებმა ტაიმი 18 ქულით მოიგეს, ჯამში 8 ლელო გაიტანეს და ფრანგებს ევროპის თასზე ყველაზე დიდი ანგარიშით წააგებინეს.

მთლად ასე ვერ დაიბრიყვეს მონფერანელებმა ტრევიზოელები V ჯგუფში — „მხოლოდ“ 41:7. ფრანგებმა 6-ჯერ დადეს ოვალური ბურთი მეტოქის სალელოე მოედანზე. უელსის უპირველესმა (ფინანსური თვალსაზრისით) კლუბმა „კარდიფმა“ მეტად დაძაბულ შეხვედრაში მოუგო „ჰარლიქვინზს“ და ჯგუფში პირველი ადგილიც შეინარჩუნა.

VI ჯგუფში გამარჯვებულის ვინაობა ამ ტურამდეც გარკვეული იყო, რადგან „ნორტჰემპტონი“ „ედინბურგს“ ურთიერთშეხვედრებში სჯობდა, ამიტომ ბოლო ორ თამაშს დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამის მიუხედავად, გუნდებმა მაინც მშვენიერი ბურთაობა გააჩაღეს და მაყურებელიც ერთობ ასიამოვნეს. თუ „ნორტჰემპტონმა“ „ნითი“ იოლად დაჯაბნა, „გრენობლისა“ და „ედინბურგის“ შეხვედრაში მეტოქეებმა სამ-სამი ლელო გაიტანეს და ფრანგებმა მხოლოდ იმის ხარჯზე გაიმარჯვეს, რომ მათმა დამრტყმელმა კორიონმა სამივე ზუსტად გარდასახა, შოტლანდიელებმა კი მხოლოდ ორი გარდასახვით შეიმატეს ქულები და ორი ქულითაც წააგეს.

გაისად ევროპის თასზე მონაწილეთა რაოდენობა შემცირდება — 2000-2001 წლების გათამაშებაში 24-ის ნაცვლად 20 გუნდი იასპარეზებს. აქედან თექვსმეტის წარმომავლობა უკვე გარკვეულია: საფრანგეთს და ინგლისს ოთხ-ოთხი ადგილი დაეთმოთ, უელსი, ირლანდია, შოტლანდია და იტალია კი ტურნირზე ორ-ორი გუნდით წარდგებიან. დანარჩენი ოთხი ადგილი წლეულს ნახევარფინალისტების ქვეყნებს შეხვდებათ. ამრიგად, საფრანგეთს, ინგლისს და უელსს თითო ადგილი კიდევ მიემატათ, ბოლო მეოცე ადგილის მფლობელი ან ირლანდია გახდება, ანაც საფრანგეთი. ეს აპრილში გაირკვევა „მანსტერისა“ და „სტად ფრანსეს“ მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ.

გაიოზ თალაკვაძე



მონფერანი — ტრევიზო. ფრანგი ოლივიე მანის (შუაში) შეჩერება იტალიელებს ძალიან უჭირდათ

## ევროპის თასი. VI ტური

I ჯგუფი

გლაზგო (შოტლანდია) 15:30 სტად ფრანსე (საფრანგეთი)

ლესტერი (ინგლისი) 10:32 ლენსტერი (ირლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტად ფრანსე | 6 | 4 | 0 | 2 | 192:109 | 8 |
| ლენსტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 150:138 | 8 |
| ლესტერი | 6 | 2 | 0 | 4 | 127:173 | 4 |
| გლაზგო | 6 | 2 | 0 | 4 | 130:179 | 4 |

II ჯგუფი

ტულუზი (საფრანგეთი) 14:19 ბათი (ინგლისი)

პადოვა (იტალია) 25:29 სუონსი (უელსი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 6 | 5 | 0 | 1 | 200:73 | 10 |
| ბათი | 6 | 4 | 0 | 2 | 170:80 | 8 |
| სუონსი | 6 | 3 | 0 | 3 | 126:137 | 6 |
| პადოვა | 6 | 0 | 0 | 6 | 76:282 | 0 |

III ჯგუფი

ოლსტერი (ირლანდია) 27:36 ბურგუენი (საფრანგეთი)

ლიანელი (უელსი) 25:15 უოსპსი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიანელი | 6 | 5 | 0 | 1 | 152:86 | 10 |
| უოსპსი | 6 | 5 | 0 | 1 | 163:99 | 10 |
| ბურგუენი | 6 | 2 | 0 | 4 | 140:162 | 4 |
| ოლსტერი | 6 | 0 | 0 | 6 | 71:179 | 0 |

IV ჯგუფი

პონტიპრიდი (უელსი) 38:36 მანსტერი (ირლანდია)

სარასენსი (ინგლისი) 52:15 კოლომიე (საფრანგეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 188:132 | 10 |
| სარასენსი | 6 | 3 | 0 | 3 | 206:153 | 6 |
| კოლომიე | 6 | 2 | 0 | 4 | 106:165 | 4 |
| პონტიპრიდი | 6 | 2 | 0 | 4 | 144:194 | 4 |

V ჯგუფი

მონფერანი (საფრანგეთი) 41:7 ტრევიზო (იტალია)

ჰარლიქვინზი (ინგლისი) 26:30 კარდიფი (უელსი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი | 6 | 4 | 1 | 1 | 168:141 | 9 |
| მონფერანი | 6 | 4 | 0 | 2 | 154:85 | 8 |
| ტრევიზო | 6 | 2 | 0 | 4 | 100:167 | 4 |
| ჰარლიქვინზი | 6 | 1 | 1 | 4 | 120:149 | 3 |

VI ჯგუფი

გრენობლი (საფრანგეთი) 21:19 ედინბურგი (შოტლანდია)

ნითი (უელსი) 23:39 ნორტჰემპტონი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორტჰემპტონი | 6 | 5 | 0 | 1 | 184:87 | 10 |
| ედინბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 112:158 | 6 |
| გრენობლი | 6 | 3 | 0 | 3 | 110:140 | 6 |
| ნითი | 6 | 1 | 0 | 5 | 128:149 | 2 |

15-16 აპრილს მეოთხედფინალში ითამაშებენ:

*ტულუზი (საფრანგეთი) — მონფერანი (საფრანგეთი)*
*ლიანელი (უელსი) — კარდიფი (უელსი)*
*მანსტერი (ირლანდია) — სტად ფრანსე (საფრანგეთი)*
*ნორტჰემპტონი (ინგლისი) — უოსპსი (ინგლისი)*

# მეტ უელში: ათასწლეულის პირველი რეკორდსმენი

## ეტაპი კონტინენტიდან კონტინენტზე



მეტ უელში

უკიდურესმა სამხრეთმა, ტასმანიის დედაქალაქმა ჰობარტმა ცურვაში მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპს ორი დღით უმასპინძლა.

ტურნირი საინტერესო გამოდგა იმით, რომ მასში არაერთი მსოფლიოს ჩემპიონი თუ რეკორდსმენი მონაწილეობდა. რაც მთავარია, 25-მეტრიან აუზში მსოფლიოს რეკორდიც დამყარდა. ამასთან, ეს აღმოჩნდა ამ ათასწლეულის პირველი მსოფლიოს რეკორდი არა მხოლოდ ცურვაში, არამედ საერთოდ სპორტში. ეს მოხდა ასპარეზობის ბოლო დღეს, როცა 23 წლის ავსტრალიელმა მეტ უელშმა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამოიჩინა თავი — 24,11.

ამით მან შარშან 18 ნოემბერს ნეილ უოლკერის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (24,12) დაამხო.

აღსანიშნავია, რომ მანამდე უოლკერმა თავად უელშის მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

— მზად ვიყავი ამ რეკორდის დასამყარებლად. მე მისი უკან დაბრუნება მსურდა — თქვა უელშმა.

საინტერესოა, რომ ველშმა ამ გაცურვისას უკან მოიტოვა „დიდ წყლებში“ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და სამგზის მსოფლიოს რეკორდსმენი ამერიკელი ლენი კრეიზელბერგი. არადა, სიდნეიში შარშან შემოდგომაზე, წყნარი ოკეანის თამაშებზე სამი მსოფლიოს რეკორდის დამყარებით, კრეიზელბერგმა ოლიმპიური თამაშებისთვის ფავორიტის ფონი შეიქმნა.

უელშმა შეჯიბრების პირველივე დღეს აჯობა კრეიზელბერგს 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (52,67) და გამარჯვებაც მოიპოვა.

კრეიზელბერგისთ[illegible]ს ნუგეში 200 მეტრზე გამარჯვება [illegible] გამოდგება, სადაც უელშმა მესამე ადგილი დაიკავა.

ყველასათვის კარგად ნაცნობმა, თავგადაპარსულმა ავსტრალიელმა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვარსკვლავმა და შარშანდელი ყველაზე მრავალრიცხოვანი მსოფლიოს რეკორდების დამმყარებელმა მაიკლ კლიმმა, რომელიც გასული წლის ავსტრალიის საუკეთესო მოცურავედ დაასახელეს, თავის წარმატებები ამჯერად 100 მეტრზე თავისუფალი სტილით (47,83), 50 მეტრზე ბატერფლაითა (23,55) და 100 მეტრზე იმავე სტილით (51,74) გამარჯვებებით გაამდიდრა.

საინტერესო იყო კლიმის 100 მეტრზე ფინალში გამოსვლა, სადაც მას მეტოქეობას უწევდა სიდნეელი თინეიჯერი იან ტორპი. ამ უკანასკნელმა შარშან წყნარი ოკეანის თამაშებზე ოთხი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ამჯერადაც ფავორიტად ითვლებოდა, რადგან იგი სწორედ ამ სტილით ცურვაშია ძლიერი, მაგრამ მას იმედი გაუცრუვდა, თუმცა ტორპედოდ წოდებულმა ტორპმა 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მაინც იზეიმა გამარჯვება.

აღსანიშნავია ჩინელ მოცურავეთა გამოსვლაც. ისინი თავიანთი შედეგებით ჩამორჩნენ მხოლოდ მასპინძლებს, რომლებმაც საერთო ჯამში 12 ოქროს მედალი დაიმსახურეს, ხოლო ჩინელებმა — 9. აქედან ჩინელებმა ერთი საზიარო გამარჯვება მოიპოვეს.

საქმე ისაა, რომ 50 მეტრზე ბრასით ცურვაში ჩინელმა ჰან ქსიუმ და მსოფლიოს რეკორდსმენმა სამხრეთაფრიკელმა პენი ჰეინსმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს (31,26).

მსოფლიოს თასის 12-ეტაპიანმა ასპარეზობამ დღეს სიდნეის ოლიმპიურ აუზში გადაინაცვლა, სადაც ასპარეზობათა სერიის მეშვიდე ეტაპი გაიმართება, თებერვალში კი ბებერი კონტინენტის ჯერი დადგება.

**გიგა გურასაშვილი**



# პროლეტარებო, თბილისში შეერთდით!

15:25, ამჯერად ასეთი ანგარიშით დამარცხდა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეოთხე მატჩში. თელ ავივში ისრაელის ნაკრებთან წაგებამ საფრანგეთში, მსოფლიოს პირველობაზე თამაში აუხდენელ ოცნებად აქცია. თბილისში დაბრუნებული ქართველი ხელბურთელები ახლა ბელარუსთან მატჩებისთვის ემზადებიან. ჩვენმა ყოფილმა თანამოძმეებმა, რომელთაც, ქართველებივით, უფულობამ ყველა მატჩი სტუმრად ათამაშა, მეორე შეხვედრაც წააგეს შვეიცარიელებთან (24:27) და 4 ქულით ჯგუფში მეორე ადგილზე არიან.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**შესარჩევი ტურნირი**

III ჯგუფი. მეოთხე ტური.

**საქართველო 15:25 ისრაელი**

**ბელარუსი 22:27 შვეიცარია**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 0 | 0 | 99:86 | 8 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 2 | 98:97 | 4 |
| ისრაელი | 2 | 0 | 2 | 98:87 | 4 |
| საქართველო | 0 | 0 | 4 | 75:100 | 0 |



# რაც კარგები ვართ, ჩეხები ვართ!

14 იანვარი

**ანაჰაიმი — სენტ ლუისი 3:1**

0:0 2:1 1:0

1:0 მაკინისი 24'41 (8); 2:0 კარია 30'15 (19); 2:1 ტარჯონი 34'52 (22); 3:1 კონი 42'08 (3)

**ედმონტონი — ტორონტო 2:3**

0:0 2:0 0:2 0:1

1:0 მარჩანტი 25'01 (9); 2:0 სმიტი 35'17 (17); 2:1 ველკი 42'29 (7); 2:2 კოროლიოვი 45'37 (11); 2:3 სუნდინი 62'59 (20)

**ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 2:3**

0:0 2:1 0:1 0:1

0:1 ნიკოლიშინი 23'00 (6); 1:1 ჰოლიკი 28'19 (14); 2:1 სიკორა 32'50 (14); 2:2 კონოვალჩუკი 50'33 (9); 2:3 ოუდესი 64'37 (7)

**ფლორიდა — კაროლინა 5:1**

1:0 1:1 3:0

1:0 ბურე 15'57 (30); 2:0 მელანბი 24'03 (11); 2:1 კოფი 31'47 (4); 3:1 ნიდერმაიერი 51'12 (6); 4:1 უიტნი 54'37 (18); 5:1 ჯონსონი 55'43 (2)

**ატლანტა — ფილადელფია 1:0**

0:0 0:0 1:0

1:0 სილვესტრი 42'57 (11)

**ბუფალო — მონრეალი 1:2**

0:0 0:1 1:1

0:1 უორდი 22'35 (2); 0:2 ბულიონი 41'51 (2); 1:2 ბარნსი 53'27 (12)

15 იანვარი

**ვანკუვერი — დალასი 1:2**

1:0 0:2 0:0

1:0 შარიფიანოვი 1'36 (4); 1:1 ზუბოვი 29'09 (7); 1:2 მიულერი 34'41 (4)

**სან ხოსე — ლოს ანჯელესი 3:2**

2:1 0:0 0:1 1:0

1:0 ნოლანი 1'34 (28); 2:0 ნოლანი 14'23 (29); 2:1 ჩარტრანდი 14'51 (4); 2:2 რობიტკილი 58'27 (18); 3:2 ფრიზენი 61'05 (7)

**ტამპა — ფლორიდა 2:5**

0:1 0:3 2:1

0:1 ჰედიკანი 25'13 (4); 0:2 პერში 22'44 (14); 0:3 ნიდერმაიერი 25'10 (7); 0:4 ჯონსონი 35'45 (2); 1:4 მოდინი 44'06 (1); 1:5 ბურე 50'35 (31); 2:5 სილინჯერი 57'55 (14)

**აილენდერსი — რეინჯერსი 2:5**

1:2 0:2 1:1

0:1 ჰლავაჩი 0'50 (5); 1:1 იუნსონი 12'45 (5); 1:2 ნედვედი 19'08 (12); 1:3 ჰლავაჩი 23'42 (6); 1:4 კამენსკი 25'04 (2); 2:4 ლინდგრენი 49'49 (9); 2:5 ფლერი 58'11 (11)

**კოლორადო — ჩიკაგო 3:1**

1:0 0:1 2:0

1:0 ფორსბერგი 6'28 (7); 1:1 დიუმონი 23'20 (9); 2:1 ტანგეი 44'31 (10); 3:1 რეიდი 59'51 (6)

**კალგარი — ტორონტო 4:0**

2:0 2:0 0:0

1:0 ბურე 5'27 (21); 2:0 დოლასი 15'35 (1); 3:0 უიმერი 26'14 (4); 4:0 კორბე 28'33 (2)

REUTERS ნიუ იორკიდან



რეინჯერსელ ჯონ მაკლინს გატანის შანსი კი ჰქონდა, მაგრამ ატლანტელ პეტრ ბუზეკის „კლანჭებს“ ვერ გაექცა

**მონრეალი — ბოსტონი 2:2**

1:1 1:0 0:1 0:0

0:1 აქსელსონი 9'01 (6); 1:1 ბრისბუა 18'30 (3); 2:1 დაიჰიუსი 28'25 (6); 2:2 ჰაინცი 54'13 (8)

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 1:4**

0:2 0:1 1:1

0:1 გომესი 3'07 (13); 0:2 არნოტი 9'14 (11); 0:3 ელიაში 29'41 (15); 0:4 ჰოლიკი 41'37 (15); 1:4 ლეკლერი 49'36 (25)

**ნეშვილი — პიტსბურგი 4:2**

2:0 0:2 2:0

1:0 ვალიჩევიჩი 10'12 (12); 2:0 ფიცჯერალდი 11'43 (9); 2:1 პოპოვიჩი 22'36 (1); 2:2 იაგრი 34'03 (34); 3:2 ჩელბერგი 45'57 (14); 4:2 ჩელბერგი 59'38 (15)

**ფინიქსი — ანაჰაიმი 4:2**

1:1 1:1 2:0

1:0 ნუმინენი 11'19 (5); 1:1 ოლაუსონი 19'40 (6); 2:1 დოუნი 30'19 (16); 2:2 კარია 32'12 (20); 3:2 ტოკეტი 56'33 (9); 4:2 ტკაჩუკი 56'51 (18)

16 იანვარი

**ვაშინგტონი — ოტავა 2:1**

1:0 1:0 0:1

1:0 ზედნიკი 16'43 (8); 2:0 ზედნიკი 30'09 (9); 2:1 კრავჩუკი 59'02 (5)

**რეინჯერსი — ატლანტა 6:3**

4:1 0:0 2:2

1:0 ჰლავაჩი 0'41 (7); 2:0 მაკლინი 5'58 (8); 3:0 იორკი 6'41 (12); 3:1 სილვესტრი 12'36 (12); 4:1 გრეივსი 18'06 (15); 5:1 მაკლინი 47'12 (9); 6:1 კამენსკი 51'33 (3); 6:2 უორდი 53'23 (5); 6:3 ბრიუნეტი 57'42 (17)

**ედმონტონი — დეტროიტი 3:3**

1:2 1:1 1:0 0:0

0:1 აიზერმანი 8'46 (21); 0:2 დანდენო 11'30 (4); 1:2 მორო 15'33 (9); 2:2 მორო 28'02 (16); 2:3 კოზლოვი 29'02 (12); 3:3 დაუდი 49'48 (3)

როგორც ჩანს, ჩეხები ნჰლ-ს მალე დაიპყრობენ. თითქოს დომინიკ ჰაშეკისა და იარომირ იაგრის ბატონობა არ კმაროდა, ახლა მათი თვისტომები ლიგის რამდენიმე გუნდსაც მოევლინნენ ლიდერებად.

მას შემდეგ, რაც ზაფხულში შეძენილმა ვარსკვლავებმა მდიდარ რეინჯერსს ვერაფერი უშველეს, ბევრმა ამ გუნდზე ხელი ჩაიქნია და ნიუიორკელებს საახალწლოდ კიდევ ერთი ჰოკეისტის ყიდვა ფულის ფლანგვად ჩაუთვალეს. თუმცა სულ ტყუილად — სამმაგი გაცვლის შემდეგ კლუბში მოხვედრილი ექსფლორიდელი ფორვარდი რადეკ დვორჟაკი უმალ თანამემამულეების, პეტერ ნედვედისა და იან ჰლავაჩის სამეულში დამკვიდრდა და ტრიოც ჩინებულად ათამაშდა. შედეგმაც არ დააყოვნა — უქმეებზე ორი დამაჯერებელი მოგების შემდეგ რეინჯერსმა თავის კონფერენციაში მერვე საფეხურზე აინაცვლა და პლეი ოფის საგზურზე სერიოზული პრეტენზია განაცხადა. გამარჯვებებიც, ცხადია, „ჩეხურმა ხაზმა“ განაპირობა. აილენდერსთან შეხვედრაში ჰლავაჩმა და ნედვედმა სამი შაიბა გაიტანეს, ატლანტელებსაც ჰლავაჩმა მოუწყო შტურმი მატჩის პირველ პერიოდში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ კონფერენციაში უქმეების შემდეგ სიტუაცია ერთობ დაიძაბა. თუ პლეი ოფში გასვლის ხუთი კანდიდატი უკვე გამოიკვეთა, დანარჩენი სამი საგზურისთვის მებრძოლ ექვს კლუბს ერთმანეთისგან სულ 3 ქულა აშორებს.

ვაშინგტონშიც, რომელმაც ორი მოგების ხარჯზე 50-ქულიანი ბარიერი პირველად გადალახა, ჩეხურ-სლოვაკურმა დუელმა იყოჩაღა. რიხარდ ზედნიკმა ოტავას ორი გოლი იან ბულისის პასებით გაუტანა.

ნიუ ჯერსის ჩეხური ტანდემიც ლიგაში საუკეთესოა. პეტრ სიკორასა და პატრიკ ელიაშის (ბოლოს 10 მატჩში 9 გოლი) დუეტი ხშირად გამოირჩევა, თავიანთ მუდმივ პარტნიორ ჯეისონ არნოტთან ერთად კი მათ ბოლო 11 შეხვედრაში 39 (17+22) ქულა მიითვალეს. ფილადელფიასთან შეხვედრაში ელიაშმა და არნოტმა სწორედ ჩეხების საყვარელ კონტრშეტევით სტილში გაიტანეს და „მფრინავები“ 5 ქულით ჩამოიტოვეს უკან. სიკორამ კი პარტნიორები პასებით მოამარაგა.

მეტად საწყენია, რომ „ოლ სტარის“ თამაშზე არჩეული ჰოკეისტების სიის გამოქვეყნებისთანავე „ვარსკვლავური ეპიდემია“ დაიწყო. სენტლუისელ ელ მაკინისს ანაჰაიმელი მაიკ ლეკლერის ძალისმიერი ილეთით მკერდი დაუზიანდა, კოლორადოელ პეტერ ფორსბერგს ჩიკაგოელმა დეივ მენსონმა უთავაზა ყვანჯი და მუხლი დაუზიანა, ხოლო ფილადელფიელმა ერიკ ლინდროსმა ატლანტასთან თამაშში ტვინის შერყევა მიიღო. დაშავდა იაგრიც, ოღონდ მეტოქეების „დახმარების“ გარეშე.

პიტსბურგის ლიდერს ნეშვილის კარში გოლის გატანისას მუცლის კუნთი დაეჭიმა (იგი მატჩის წინაც უჩიოდა ტკივილებს) და იძულებული გახდა, ყინული დაეტოვებინა. თუ ჩეხს ამის გამო დასვენება მოუწევს, არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე ბომბარდირთა დავაში ახალი ლიდერი გამოჩნდეს. საოცარი ტემპით მიიწევს წინ ფლორიდელი პაველ ბურე (35 მატჩში 31 გოლი). ამჯერადაც მან ორ მატჩში თითო-თითო გოლი გაიტანა და იაგრს 3 ქულით ჩამორჩება. „პანტერებმა“ კი კაროლინას დამარცხების შემდეგ მდევარი ვაშინგტონი 14 ქულით ჩამოიტოვეს უკან. არც მისმა ძმამ, ვალერიმ დააყოვნა. კალგარის ლიდერმა „ოლ სტარში“ მოხვედრა გოლით და პასით აღნიშნა, მისი პარტნიორი, მეკარე ფრედი ბრეტუეიტი კი მეოთხე შატაუტით ოტაველ რონ ტაგნატს გაუტოლდა. მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე ნიუ ჯერსიდან ვანკუვერში გადასულმა რუსმა ვადიმ შარიფიანოვმა პირველივე ცვლაში შეაგდო, მაგრამ მისმა ახალმა გუნდმა ტრავმებით გაწამებული დალასის წინააღმდეგ მაინც ვერაფერი გააწყო. ამჯერად „ვარსკვლავებს“ მაიკლ მოდანი და ბრედ ჰალი აკლიათ.

**სამველ ლარიგიანი**

# უცნაური


REUTERS პრეტორიიდან

კრიკეტისთვის მინდორ-თიხნარი დიდი მნიშვნელობის ამბავია. ამიტომ გულშემატკივრები მოთმენით უცქერენ მინდვრის მომვლელთა საქმიანობას. გაზონმა მომავალ თამაშამდე უნდა დაისვენოს, რათა მობურთალთ სირთულეები არ შეუქმნას. ეს ამბავი კი სამხრეთაფრიკულ პრეტორიაში ხდება, სადაც აფრიკელები ხუთტესტა მატჩში მასპინძლობენ ინგლისელებს და ჯერჯერობით 2:0-ს უგებენ.

# ჰაკინენი და მაკინენი


REUTERS მონაკოდან

ეს ფინელები ვინა ყოფილან! ჩვენ რომ მხოლოდ თხილამურის ხალხი გვგონია, მანქანებშიც პირველები ყოფილან. მონაკოში გამართულ დიდ ავტომეხვედრაზე, ავტორბოლის საერთაშორისო ფედერაცია სწორედ რომ ფინელებს აჯილდოებს: ფორმულის ჩემპიონ მიკა ჰაკინენს და რალის ჩემპიონ ტომი მაკინენს.

# შიტნი ჰიუსტონი კრივის წინ


REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკის „რადიო სიტი მიუზიკ ჰოლი“ აგერ რამდენი წელია არსებობს და იქ კრივი არასოდეს გამართულა. ეს ადგილი ნიუიორკელთა მუსიკალური გართობის საყვარელი ადგილი გახლავთ. მაგრამ კრივის პრომოუტერები რას არ იზამენ? სწორედ აქ შეუხვედრებიათ ერთმანეთისთვის როი ჯონსი და დევიდ ტელესკო. სიმღერის გარეშე კი მაინც არ გამოვიდა — პირველი რაუნდის წინ უიტნი ჰიუსტონმა ამერიკის ჰიმნი დააგუგუნა.

**იტალია**

სერია B. XIX ტური
სავოია 1:1 ვენეცია



REUTERS სენტ ლუისიდან

# კურთხევით პაპისა

**სენტ ლუისში** ბურთაობა უყვართ. გუნდიც ჰყავთ, „რემზი“, რაიც ცხვრებს ნიშნავს. რომ ვთქვათ, ეს ცხვრები ვარსკვლავებს წყვეტენ ციდანო, მართალი არ იქნება, მაგრამ ადამიანებს სჯერათ საოცრებებისა და ამიტომაც, რემზი იგებს. 1999 წელს „რემზის“ სათამაშო სტადიონზე „ტრანს ვორლდ დოუმზე“ მესა ჩაუტარებია ამერიკაში ვიზიტად მყოფ რომის პაპს იოანე პავლე მეორეს. იმ დღიდან სენტლუისელებს შინ თამაში არ წაუგიათ. ეს გულშემატკივარი გოგონებიც იმიტომ გამოწყობილან კათოლიკე მონაზონთა სამოსში და რელიგიური შინაარსის პლაკატებიც ამიტომ უჭირავთ. „რემზი“ კი მორიგ მოწინააღმდეგეს, მინესოტელ ვიკინგებს ამარცხებს. გამარჯვებული ცხვრების კვორტერბეკ კურტ უორნერს კი ცოლი ბრენდა ჩაჰკვრია. „რემზი“ ფლეი ოფს იგებს და ახლა ტამპელ ოყლაყებს ელის „ტრას ვორლდში“.



REUTERS სენტ ლუისიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli